პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
სამოქალაქო განათლების კურსი

მასწავლებლის გზამკვლევი

ავტორები: ქეთევან მუხიგული, თამარ ქარაია
რედაქტორები: ლელა ჯავახიშვილი, დავით ღონღაძე

საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES)
International Foundation for Electoral Systems (IFES)
2021

მასწავლებლის გზამკვლევი შემუშავებულია საქართველოში საარჩევნო და პოლიტიკური პროცესების მხარდაჭერის (EPPS) პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES). მასწავლებლის გზამკვლევის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. მასში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის მთავრობის შეხედულებებს.

The teacher's guide was developed in the framework of the Elections and Political Processes Support (EPPS) in Georgia project implemented by the International Foundation for Electoral Systems (IFES). The edition is made possible by the support of the American people through the United States Agency for International Development (USAID). The content of the teacher's guide is the sole responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of the International Foundation for Electoral Systems, USAID or the United States Government.

კორექტორი: ლელა ჯავახიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

დიზაინერი
და დამკაბადონებელი: ნუგზარ არჩემაშვილი

© 2021 International Foundation for Electoral Systems (IFES). All rights reserved.
© 2021 IFES. ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-8-3509-4

სარჩევი

რატომ ვსწავლობთ მოქალაქეობას?! 4

თავი 1. სახელმწიფო და ხელისუფლება 17

თავი 2. კონსტიტუცია და სახელმწიფო 22

თავი 3. ხელისუფლების არსი და ბუნება 25

თავი 4. დემოკრატიული და არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმები 32

თავი 5. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა 40

თავი 6. არჩევნები და საარჩევნო სისტემები 46

თავი 7. სამოქალაქო საზოგადოება 52

თავი 8. მასმედიის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში 58

თავი 9. ადამიანის უფლებათა არსი, თვისებები, კლასიფიკაცია 63

თავი 10. სამოქალაქო უფლებები 70

თავი 11. პოლიტიკური უფლებები 75

თავი 12. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები 80

თავი 13. კოლექტიური (სოლიდარობის) უფლებები 82

თავი 14. ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები ეროვნულ დონეზე 87

თავი 15. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები 96

თავი 16. ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტი 98

შეფასების ნიმუშები 104

ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტების ნიმუშები 116

დასკვნა 121

ბიბლიოგრაფია 123

რატომ ვსწავლობთ მოქალაქეობას?!

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სამოქალაქო განათლების კურსის სტუდენტის სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილში განხილულია დემოკრატიის ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზე შესაძლებელია გაიზომოს და შეფასდეს ქვეყნის დემოკრატიულობის მაჩვენებელი. სახელმძღვანელოში ისინი ამბებს შორისაა გაბნეული, მასწავლებლის გზამკვლევში მათ ორგანიზებული ფორმით გთავაზობთ.

საკითხავი მასალა: დემოკრატიის პრინციპები

1. **ხელისუფლების შტოებად დაყოფა.** კითხვაზე, თუ როგორია ეფექტური მთავრობა, მკვლევართა უმრავლესობა გიპასუხებთ, რომ ეფექტურია შტოებად დაყოფილი ხელისუფლება. ეს ნიშნავს, რომ გამოიყოფა სამი სახელისუფლებო შტო: აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება. ხელისუფლების დანაწილება საშუალებას იძლევა, იმგვარად გადანაწილდეს უფლებამოსილებები, რომ არ მოხდეს ერთი შტოს მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება და სხვათა შევიწროვება.
2. **სამართლის უზენაესობა.** თანამედროვე დემოკრატია დაფუძნებულია ადამიანის უფლებების, როგორც უზენაესი და წარუვალი ღირებულების აღიარებაზე. ადამიანის უფლებების დაცვა და კანონმდებლობის დონეზე აყვანა დემოკრატიული სახელმწიფოს აღიარებაა. კანონის უზენაესობა არ ნიშნავს სამართლის უზენაესობას, რადგან კაცობრიობამ გამოიარა ბევრი რეჟიმი, მაგალითად, ნაცისტური, სადაც მიღებული კანონები არ უზრუნველყოფდნენ ადამიანის უფლებების დაცვას. სამართლის უზენაესობა ასევე მოითხოვს კანონის დონეზე აღიარებული ნორმების ეფექტურად განხორციელების მექანიზმების შემუშავებას.
3. **რეგულარული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები.** ამ კრიტერიუმებით შეიძლება აღიწეროს არჩევნები, თუ ამომრჩევლებს აქვთ შესაძლებლობა დაუბრკოლებლად აირჩიონ სასურველი კანდიდატი. არჩევნების პერიოდულობა საშუალებას იძლევა გაჯანსაღდეს პოლიტიკური ელიტა და არ მოხდეს ერთი ჯგუფის მიერ ძალაუფლების ხელში დიდხანს ფლობა. არჩევნების თავისუფლება ხელს უწყობს პოლიტიკოსების ანგარიშვალდებულებას და პლურალისტური პოლიტიკური გარემოს ფორმირებას.
4. **არჩევნების შედეგების აღიარება.** საარჩევნო ციკლი შედგება როგორც წინასაარჩევნო პროცესის და არჩევნების დღისგან, ასევე, პოსტსაარჩევნო პერიოდისგან. ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა, რომ მმართველებმა ერთმანეთს მშვიდობიანად გადააბარონ ძალაუფლება. ხელისუფლებებს შორის ვალდებულებათა მემკვი-

დრეობით გადაცემა უზრუნველყოფს ძალაუფლების გადაბარების პროცესის შედარებით უმტკივნეულოდ მიმდინარეობას.

5. **მრავალპარტიულობა**. მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის არსებობა არა მხოლოდ კონკურენტული არჩევნების ჩატარების საშუალებას იძლევა, არამედ პარტიებს აძლევთ შესაძლებლობას მაქსიმალურად მობილიზდნენ საზოგადოების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მისი პოლიტიკის დღის წესრიგში ჩართვისთვის. ამასთანავე, განვითარებული პარტიული სისტემა არის ერთ-ერთი უმთავრესი ინდიკატორი რითაც დემოკრატიული და არადემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთისგან განსხვავდებიან.
6. **თანასწორობა.** ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე მიუხედავად მისი სქესის, რწმენის, რასის, ეროვნების და სხვა განმასხვავებელი ნიშნებისა. ეს უპირველესად, უკავშირდება შესაძლებლობების თანასწორობას, როდესაც ყველასთვის შექმნილია თანაბარი სასტარტო პირობები.
7. **გამჭვირვალობა**, როგორც დემოკრატიის პრინციპი აღნიშნავს ვითარებას, როდესაც მოქალაქეებს დაუბრკოლებლად შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ მაგალითად, როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება, ვინ არის ჩართული ამ პროცესში, როგორ იხარჯება ფინანსები, როგორია შედეგები და ა.შ. გამჭვირვალობა საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს მართვის პროცესი და ამაღლდეს მმართველთა ანგარიშვალდებულება.
8. **ანგარიშგება –** არის მოქალაქეთათვის ხელისუფლების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდების პროცესი. ეს არის გზა, რომლითაც მოსახლეობა მთავრობის საქმიანობის შესახებ იღებს და აფასებს ინფორმაციას.
9. **ადამიანის უფლებები.** ადამიანის უფლება შესაძლებელია განმარტებულ იქნას, როგორც მისი შესაძლებლობა, საკუთარი მოსაზრებებისა და კანონის შესაბამისად განახორციელოს გარკვეული აქტივობა. „ადამიანის უფლებები“ ზოგადი ტერმინია და მის ქვეშ უპირატესად ისეთი ქმედების თავისუფლება მოიაზრება, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებლობა სახელმწიფოს აკისრია. მაგალითად, სიცოცხლის უფლება სახელმწიფოსგან მოითხოვს ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც ერთი მხრივ დაიცავს ადამიანის სიცოცხლეს და მეორე მხრივ მისი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფს ეფექტურ გამოძიებას და დამნაშავის დასჯას.
10. **ეკონომიკური თავისუფლება.** დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება ბიზნესის საქმიანობაში არ ერევა. ის ტოვებს თავისუფალ სივრცეს კერძო საკუთრების განკარგვის, ბიზნესის მართვის და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებისთვის. ხელისუფლების ბიზნესთან მიმართების განსხვავებული მოდელები არსებობს, მაგრამ დემოკრატიულ სახელმწიფოში ის ძირითადად კანონმდებლობის შემქმნელის და მონოპოლიასთან მებრძოლი ინსტიტუტის ფუნქციას ითავსებს.

11. **კონტროლი ძალის გამოყენებაზე.** ხელისუფლებას გამონაკლის შემთხვევაში აქვს უფლება და საშუალება ლეგიტიმური ძალის (პოლიცია, საჯარისო ნაწილები, სპეცდანიშნულების ძალები) გამოყენების, რაც გადაუდებელი აუცილებლობით და დანაშაულის პრევენციით უნდა იყოს ნაკარნახევი. ამასთანავე, ძალის გამოყენების შემდეგ აუცილებლად უნდა შეფასდეს, რამდენად მინიმალური იყო ჩარევა და რამდენად კანონის ფარგლებში მოქმედებდნენ ძალოვანი დანაყოფები.
12. **მოქალაქეთა თანამონაწილეობა.** დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის ქვაკუთხედი მოქალაქეთა თანამონაწილეობაა. ეს გულისხმობს როგორც გადაწყვეტილების შემუშავების, მიღების, ასევე განხორციელების პროცესში ჩართულობას და უმრავლეს შემთხვევაში დამდგარი შედეგებისათვის პასუხისმგებლობის გაზიარებას.

სასემინარო აქტივობა N1. „დემოკრატიის პრინციპების ანალიზი“

საკითხავ მასალაში ორგანიზებული ფორმით მოცემულია დემოკრატიის უმთავრესი საზომი კრიტერიუმები, რომელთა გაცნობა-გააზრება მოსწავლეებს მისცემთ დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის მთავარი მახასიათებლების გააზრების საშუალებას. მოცემული სასემინარო აქტივობა დაგეხმარებათ ამ პროცესის უფრო ორგანიზებულ და ინტერაქციულ წარმართვაში. მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც სტუდენტის სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილში განხილული ტექსტები ან/და დამატებით გაუზიაროთ სასემინაროს აქტივობას თანდართული სანიმუშო მასალა.

აქტივობის ინსტრუქცია:

I ეტაპი: მასწავლებლის მინი-ლექცია დემოკრატიის ძირითადი საზომი კრიტერიუმების შესახებ.

II ეტაპი: სტუდენტებს დაუნაწილეთ თანდართული ნაწყვეტები, სთხოვეთ, დამოუკიდებლად გაეცნონ მათ (დრო: 10-15 წთ.).

III ეტაპი: ტექსტის გაცნობის შემდეგ, სთხოვეთ სტუდენტებს აუდიტორიას გაუზიარონ, თუ რომელი პრინციპის დაცვის ან შელახვის მაგალითებს ხვდებიან ქვემოთ მოცემულ ტექსტში, რატომ ფიქრობენ ასე, მოიყვანონ შესაბამისი არგუმენტები.

შეჯამება: საკლასო დისკუსიაზე სტუდენტებმა უნდა შეაჯამონ, რა ალტერნატიული მაგალითები ახსენდებათ, რომლებითაც შესაძლებელია მოცემული ტექსტების ჩანაცვლება.

სამუშაო ტექსტები

ტექსტი N1.

საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს აწერია, რომ ის ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფოს და ამ დოკუმენტის მფლობელს იცავს სახელმწიფო. ამ პირობის რეალიზაციის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ერაყში დაპატიმრებული საქართველოს მოქალაქის შვილების ქვეყანაში დაბრუნება. 25 წლის მდედრობითი სქესის წარმომადგენელ საქართველოს მოქალაქეს ერაყში სამუდამო პატიმრობა იმის გამო აქვს მისჯილი, რომ მისი ქმარი ე.წ. ისლამური სახელმწიფოს (ისლამური ტერორისტული ორგანიზაცია ერაყსა და სირიაში, აკონტროლებს ერაყის, სირიის და ლიბანის ნაწილს) რიგებში იბრძოდა. მისი სამი შვილი (2, 5 და 6 წლის) მასთან ერთად ერაყის ციხეში იზრდებოდა. ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, გარკვეულ ასაკს მიღწეულ ბავშვებს პატიმარ დედას აშორებენ და ბავშვთა სახლში გადაჰყავთ. ბავშვების დაკარგვის შიშით შეწუხებულმა ქალბატონის ოჯახმა, რომელიც კახეთში ცხოვრობს, დახმარებისთვის სახელმწიფოს მიმართა.

2018 წელს ქართულმა მხარემ ერაყის იუსტიციის სამინისტროსთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ბავშვების საქართველოში დაბრუნების თაობაზე შეთანხმებას მიაღწია. იუსტიციის მაშინდელი მინისტრის თეა წულუკიანის თქმით, ერაყის სასამართლოს მიერ 25 წლის ქალისთვის გამოტანილი განაჩენი საქართველომ შესაძლოა გაასაჩივროს. „პირველ ინსტანციაში მას არც კი ესმოდა სამართალწარმოების საქმე და თავი ვერ დაიცვა. მნიშვნელოვანია, რომ სააპელაციო ინსტანციაში მისი უფლებები ერთობლივი ძალისხმევით დავიცვათ“.

ბავშვების საქართველოში დაბრუნების ჰუმანიტარული მისიის შესასრულებლად შეიქმნა სპეციალური სამუშაო უწყებათაშორისი ჯგუფი, რომელსაც იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობდა და რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და სოციალური მომსახურების სააგენტო. საქართველოსა და ერაყის რესპუბლიკის სამთავრობო უწყებებთან ერთად ბავშვების ჩამოყვანაში ჩართულები იყვნენ UNICEF-ისა და ICRC-ის ერაყის ოფისები.

ჰუმანიტარულ მისიასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის, ერაყში დოკუმენტების მომზადების, ბაბუისა და სოციალური მუშაკების ერაყის რესპუბლიკაში ვიზიტის, ერაყის სასამართლოს მიერ ბავშვებთან დაკავშირებით დადგენილი ჯარიმის თანხები საქართველოს მთავრობამ გაიღო. (*www.reginfo.ge 2018*).

ტექსტი N2.

ნებისმიერ საზოგადოებაში არჩევნები მნიშვნელოვანი მოვლენაა და ხშირად მას ისეთი მასშტაბური ვნებათაღელვა ახასიათებს, როგორც ეს 2021 წელს ვაშინგტონში დატრიალდა. 6 იანვარს აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში მომიტინგეები კაპიტოლიუმის – აშშ-ის კონგრესის (პარლამენტის) შენობაში შეიჭრნენ. ამ დღეს ოფიციალურად უნდა გაფორმებულიყო საპრეზიდენტო არჩევნებში ჯო ბაიდენის გამარჯვება. მომიტინგეები არჩევნების შედეგებს აპროტესტებდნენ და ამბობდნენ, რომ გამოცხადებული რიცხვები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და რეალურად გამარჯვებული დონალდ ტრამპი იყო.

უსაფრთხოების სამსახურმა სენატორების, წარმომადგენელთა პალატის წევრების და მათი ადმინისტრაციების თანამშრომლების ევაკუაცია განახორციელა. შენობაში შეჭრისას მომხდარი მასობრივი არეულობის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ქალი, რომელიც კონგრესის შენობაში მკერდის არეში დაჭრეს. შეჭრას წინ უძღოდა ტრამპის მომხრეების საპროტესტო აქცია ვაშინგტონში. მათ სიტყვით თავად მოქმედმა პრეზიდენტმაც მიმართა. შენობაში ასობით პირის შეჭრის შემდეგ, ტრამპმა მხარდამჭერებს დაშლისკენ მოუწოდა, თუმცა ისინი „პატრიოტებად“ მოიხსენია.

მიუხედავად ზემოხსენებული მოვლენებისა, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა, ნენსი პელოსიმ განაცხადა, რომ კონგრესის ორივე პალატა იმ დღესვე განაგრძობდა საარჩევნო კოლეგიის ხმების დათვლას. უსაფრთხოების სამსახურმა მალევე აღკვეთა უწესრიგობა და მომიტინგეები კაპიტოლიუმის შენობიდან გააძევა. (*გვაძაბია მ. 2021*).

ტექსტი N3.

საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის ფონზე, სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაცია და პაციენტთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა შეისწავლეს.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში პაციენტები არ არიან დაცულნი ძალადობისგან, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისგან. პაციენტებს არ მიეწოდებათ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სერვისები, ხოლო დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს პაციენტთა მკურნალობას მათი ღირსების დაცვის პირობებში. არსებული მწვავე პრობლემების ფონზე, სახალხო დამცველი სახელმწიფოს დროული რეაგირებისკენ მოუწოდებს. სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა მიიღო არაერთი შეტყობინება დაწესებულების პერსონალის მხრიდან პაციენტების მიმართ განხორციელებული

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ. დაწესებულებაში ფსიქიატრიული დახმარება პრაქტიკულად კვლავ დაყვანილია ფარმაკოლოგიურ თერაპიამდე. პაციენტთა ნაწილი მედიკამენტების მინიმალურ თერაპიულ დოზას იღებს და მათ არ უტარდებათ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია. დაწესებულებას არ გააჩნია საკმარისი ადამიანური რესურსი იმისათვის, რომ პაციენტებს გაუწიოს შესაბამისი დონის მზრუნველობა, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, ინფორმირება, განათლება და მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოს მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და საზოგადოებაში ჩართვა.

შენობის ძირითადი ნაწილის ინფრასტრუქტურა მოძველებული და გაუმართავია. მრავალადგილიან საერთო პალატებში არის გადატვირთულობა. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მიუხედავად, დაწესებულებაში უგულვებელყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური წესები. შესაბამისად, დაწესებულებაში მაღალია ინფექციის გავრცელების რისკი. ამ ფონზე დაწესებულებაში, წლების განმავლობაში, კვლავ რჩებიან პაციენტები, რომლებიც აქტიურ მკურნალობას არ საჭიროებენ, მაგრამ სურვილის მიუხედავად, სტაციონარს ვერ ტოვებენ იმის გამო, რომ თემში არ არის საჭირო სერვისები.

დაწესებულებაში არ ხდება ბენეფიციარების ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემების სრულფასოვანი მკურნალობა. პაციენტები, ვერ იღებენ დროულ და სრულ სტომატოლოგიურ მომსახურებას. პაციენტების უმრავლესობას განსაზღვრული აქვს ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარებისთვის სტაციონირებული პაციენტის სტატუსი, თუმცა რეალურად მათ არ შეუძლიათ დაწესებულების სრულიად ან დროებით საკუთარი ნებით დატოვება. დაწესებულებაში არ არის დანერგილი საჩივრების განხილვის მექანიზმი. ბენეფიციარების უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ. პაციენტების უმრავლესობას ჩამორთმეული აქვთ კუთვნილი ტელეფონები და ახლობლებთან დაკავშირების სურვილის შემთხვევაში დამოკიდებულნი არიან პერსონალის კეთილ ნებაზე, შესაბამისად, პრაქტიკულად შეზღუდული აქვთ გარესამყაროსთან კონტაქტი. დაწესებულების პერსონალს არ აქვს შესაბამისი მითითებები და კვალიფიკაცია, რომ თავიდან იქნას აცილებული პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობის გამწვავება, ხოლო როდესაც ასეთი გამწვავება ხდება, ვითარების არაძალისმიერი განმუხტვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენების ნაცვლად, პაციენტს ბოჭავენ და სწრაფი ტრანკვილიზების მიზნით იძულებით უკეთებენ ინექციებს, რაც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას უნდა ხდებოდეს.

ანგარიში ეფუძნება სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში 2020 წლის 15-16 სექტემბერს განხორციელებულ საგანგებო მონიტორინგის ვიზიტს. (*სახალხო დამცველი. 2021*).

ტექსტი N4.

4 დეკემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლო) სტუდენტებისთვის განკუთვნილი სამკითხველო კუთხე გაიხსნა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზში სამკითხველო კუთხე აღჭურვილია სპეციალური კომპიუტერებით, პრინტერებით, დისკებითა და ლიტერატურით.

გარდა ამისა, კურსის სტუდენტებმა, საკუთარი ინიციატივით, თსუ-ის სტუდიაში ჩაწერეს „დემოკრატია და მოქალაქეობის“ სახელმძღვანელოს აუდიო ვერსია, რომელიც IFES საქართველოს მხარდაჭერით გამოიცა დისკების სახით და დაურიგდა უსინათლოთა სკოლას, ასევე, განთავსდა ბიბლიოთეკებში. უსინათლო სტუდენტებისთვის ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა „დემოკრატია და მოქალაქეობის“ სახელმძღვანელოც.

კურსის ფარგლებში, თსუ-ის ბაზაზე, სტუდენტებმა უსინათლოებისთვის შექმნეს სპეციალური ვებგვერდი – „სტუდენტები უსინათლოთა ინტეგრაციისთვის“, შესაბამისი სტანდარტების დაცვით (http://visuallyimpaireds.tsu.ge/) უსინათლოთათვის განკუთვნილი კუთხე და ვებგვერდი „სტუდენტები უსინათლოთა ინტეგრაციისთვის“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დემოკრატია და მოქალაქეობის“ კურსის სტუდენტთა ჯგუფის მიერ მოპოვებული გრანტის „უსინათლო სტუდენტების ინტეგრაცია და ადაპტირებული გარემოს შექმნა“ (ფონდი „ღია საზოგადოება“) ფარგლებში მოეწყო. (*www.cela.ge 2015*).

ტექსტი 5.

მეცხრამეტე საუკუნის თბილისის ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანი საზოგადოების ორ ნაწილად დაყოფა იყო. ადგილობრივ სლავურ ბიუროკრატიასთან დაახლოებულ თავად-აზნაურთა და ვაჭართა უმცირეს ჯგუფს ჰქონდა ყოველგვარი შესაძლებლობა, გასცნობოდა მსოფლიო ლიტერატურას, მოეწყო საჯარო პოლიტიკური თუ კულტურული ღონისძიებები, ეკითხა გადაუკეთებელი საგაზეთო პუბლიკაციები და შეეძინა თბილისის ოპერის ძვირადღირებული ბილეთები, ქალაქის გარეუბნებში მცხოვრები ხელმოკლე მოსახლეობა კი, რომელიც დღეში 12-14 საათს მუშაობდა, მოკლებული გახლდათ ყველა ამ ლეგალურ სიკეთეს.

თბილისის განაპირას, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, უმცირესი შემოწირულობებითა და ილია წინამძღვრიშვილის მხარდაჭერით მარიამ დემურიამ ყველაზე ხელმოკლე ადამიანებისთვის დააარსა „ავჭალის აუდიტორია“. მოკრძალებული ორსართულიანი შენობა გადაკეთდა დარბაზად, სადაც კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურის მიხედვით იდგმებოდა წარმოდგენები ქართულ ენაზე და იმართებოდა სხვადასხვა წიგნის, სტატიის, დოკუმენტის საჯარო კითხვა. სახალხო სცენაზე გამოცდილ მსახიობებთან ერთად გამოდიოდნენ არაპროფესიონალებიც, რომელთაც, ნიჭის სიმცი-

რის მიუხედავად, ჰქონდათ საკუთარი შესაძლებლობების გამოცდის სურვილი. მაგალითად, შეკრებილები მუდამ ოვაციებით ამხნევებდნენ სცენაზე დაშვებული შეცდომების გამო დამწუხრებულ მკვლევარ თედო სახოკიასა და პუბლიცისტ გიორგი ლასხიშვილს. ცხადია, თითოეული ამ ღონისძიების მიზანი დემოკრატიულ ღირებულებათა პოპულარიზება გახლდათ.

ფაქტობრივად, ავჭალაში მდგარი ეს პატარა ქვიტკირის სახლი იქცა ქართული ენის დაცვის, თეატრის განვითარების, არაფორმალური განათლებისა და პოლიტიკური სოციალიზაციის რევოლუციურ კერად, რომლის საქმიანობაში მონაწილეობის საშუალება ყველას თანასწორად ჰქონდა. ბუნებრივია, აუდიტორია უამრავ სირთულეს წააწყდა – მეფის „ოხრანკასთან“ დაახლოებული პირები ხშირად არბევდნენ სცენასა და პარტერს, ხელს უშლიდნენ მარიამ დემურიას საქმიანობას და ათასგვარი სანქციით ცდილობდნენ ამ გამბედავი ქალისთვის მუშაობაში ხელის შეშლას. მიუხედავად ამისა, „ავჭალის აუდიტორიამ“ რამდენიმე წელი იარსება. შედეგად ქალაქის გარეუბნებში ჩამოყალიბდა განათლებული, სოლიდარობის განსაკუთრებული გრძნობის მქონე და ავტორიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მუდამ მზად მყოფი სოციალური ჯგუფები, რომლებმაც მოახერხეს, მეოცე საუკუნის დასაწყისის ყველა ანტიცარისტულ გამოსვლას გასძღოლოდნენ. (*გულიაშვილი მ. 2016*).

ტექსტი N6.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, გალის რაიონის ე.წ. ქვედა ზონაში 11 საშუალო სკოლაა, სადაც ეთნიკურად ქართველი მოსწავლეები სწავლობენ და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ დაახლოებით 35 ათას საქართველოს მოქალაქეს ემსახურება. კონფლიქტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა პერმანენტულად განიცდის მთელი რიგი უფლების შეზღუდვას, დაწყებული უსაფრთხოების, საკუთრების, სიცოცხლის რისკისა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლება – ხელყოფილი განათლების და საკუთარი იდენტობის შენარჩუნების და გამოხატვის უფლებაა. (*www.edu.aris.ge 2015*).

2015 წლის სექტემბრიდან აფხაზურმა ადმინისტრაციამ თერთმეტივე ქართულენოვან სკოლაში დაწყებით კლასებში სწავლება რუსულ ენაზე გადაიყვანა და ქართული ენისათვის განკუთვნილი საგაკვეთილო საათები კიდევ უფრო შეამცირა. თუ ადრე ის კვირაში 10 საათი ისწავლებოდა, ახლა უკვე მესამე კლასიიდან შევა, როგორც უცხო ენა და მხოლოდ 3 საათი დაეთმობა. მოცემული მოწმობს, რომ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ადმინისტრაცია ცდილობს გალის რაიონის ტერიტორიაზე შეავიწროვოს და საბოლოო ჯამში განდევნოს ქართული ენა და ჩაანაცვლოს ის არა აფხაზური, არამედ რუსული ენით. აღნიშნულს ორი ძალიან მნიშვნელოვანი ნეგატიური შედეგი შეიძლება მოჰყვეს: პირველი, ქართული ენის არცოდნა შეამცირებს ახალგაზრდების კულტურულ-ემოციურ ბმას საქართველოსთან და მეორე, რუსული ენა როგორც მოსწავლე ასევე მასწავლებელთა უმრავლესობისათვის უცხო ენაა და საგაკვეთილო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას ეს შეუძლებელს გახდის. (*ბურაბაშვილი თ. 2016*).

სასემინარო აქტივობა N2. „მითების ლაბორატორია“

დემოკრატიაზე გადასვლის პროცესს თან სდევს მითების და ყალბი ინფორმაციის მთელი ნაკრების გავრცელება. ეს აქტივობა მიზნად ისახავს გამოავლინოს ყველაზე ფართოდ გავრცელებული ყალბი ინფორმაცია დემოკრატიის, მისი ფასეულობების ან/და მასთან დაკავშირებული თემების შესახებ. ამასთანავე, მითების გამოვლენა საჭიროებს ალტერნატიული ინფორმაციის მომზადებას და აუდიტორიისთვის მიწოდებას.

მოცემული აქტივობისათვის შევარჩიეთ ფართოდ გავრცელებული მითი, რომ დემოკრატიის პირობებში უმცირესობები პრივილეგირებულები არიან, რაც უმრავლესობას არათანაბარ პირობებში აყენებს. სასემინარო აქტივობაზე თქვენ შეგიძლიათ, როგორც ამ მასალის გამოყენება, ასევე ალტერნატიული, თქვენ მიერ მომზადებული წყაროებით ჩანაცვლება.

აქტივობის ინსტრუქცია:

დაყავით აუდიტორია სამუშაო ჯგუფებად. შესაძლებელია მთელმა კლასმა ერთ თემაზე იმუშაოს. ასევე, შეგიძლიათ სხვადასხვა ჯგუფს სხვადასხვა თემა მისცეთ.

I ეტაპი: გააცანით სტუდენტებს მითების იდენტიფიცირებისა და ალტერნატიული ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობა.

II ეტაპი: გონებრივი შტურმის საშუალებით გამოავლინეთ სტუდენტთა აზრით ყველაზე შთამბეჭდავი მითები, ამოარჩიეთ მათგან ყველაზე გავრცელებული.

III ეტაპი: ჯგუფური პრეზენტაცია (სასურველია ჯგუფის ყველა წევრს მიეცეს პრეზენტაციის ნაწილის წარმოდგენის საშუალება).

IV ეტაპი: დაურიგეთ სტუდენტებს მასალა, სადაც ასახულია საკითხის პრობლემატურობა. სთხოვეთ იმსჯელონ ამ თემაზე.

შეჯამება: აუდიტორია განიხილავს და აფასებს პრეზენტაციის პროცესში წარმოდგენილი არგუმენტაციის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ასევე, აფიქსირებს თავის მოსაზრებს მოცემულ საკითხებზე.

ნიმუში

არასწორი მოსაზრება

დემოკრატიულ სისტემებში უმცირესობები უფრო პრივილეგირებულები არიან ვიდრე უმრავლესობები, რაც არასამართლიანია. მაგალითად: ქალთა კვოტირების პროგრამა ქალებს მამაკაცზე უფრო მეტად პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს. გენდერული კვოტირების სისტემა თანაბარი შესაძლებლობების პრინციპებთან შეუსაბამობაშია, რადგან ქალებს მათი სქესისა და გენდერის გამო ანიჭებს უპირატესობას და არა – მათი კვალიფიკაციის გამო. ეს ზომა არადემოკრატიულია იმის გამოც, რომ ის ზღუდავს ამომრჩევლის არჩევანს, რამდენადაც მას კვოტირებით განსაზღვრული კანდიდატების არჩევის საშუალება აქვს.

სწორი მოსაზრება

დემოკრატიული სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი მოქალაქეთა მონაწილეობაა. მაგრამ ხშირ შემთხვევაში თანამონაწილეობა შეზღუდულია სქესის, ეროვნების და ა.შ. მახასიათებლის გათვალისწინებით. ეს შეიძლება განპირობებული იყოს ისტორიული, კულტურული, სამართლებრივი და სხვა ფაქტორების გამო. ამიტომ დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი მოქალაქეებს სთავაზობს **დროებით** მექანიზმებს, რათა წახალისდეს ნაკლებად ჩართული ჯგუფების მონაწილეობა. ამას კვოტირების პროგრამები ჰქვია.

2001 წლის 18 იანვრის ევროპარლამენტის რეზოლუციით, იმისათვის, რათა მიღწეულ იქნეს გენდერული თანასწორობა, აუცილებელია ერთი სქესის წარმომადგენელი პარლამენტში არ იყოს 60%-ზე მეტით და 40%-ზე ნაკლებით წარმოდგენილი. ეს იმ ფაქტმა განაპირობა, რომ ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში 1960 წ. საშუალოდ შეადგენდა 4.9%, 1970 წ. – 5,4%, 2010 წ. – 19,3%. 2008 წლისათვის ევროპის საბჭოს მხოლოდ სამმა ქვეყანამ: ნიდერლანდებმა, ფინეთმა და შვედეთმა შეძლო გადაებიჯებინა 40% ზღვრისთვის.

საქართველოში პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით 2020 წლის ცვლილებებით 25%-იანი გენდერული კვოტებიც შემოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ პროპორციულ პარტიულ სიებში პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი იქნებიან, რომ სულ ცოტა ყოველი მეოთხე ადამიანი განსხვავებული სქესის იყოს. იმ ფონზე, როდესაც საქართველოს მომავალ პარლამენტში 120 დეპუტატი პროპორციული სისტემით აირჩევა, ცვლილება ქალთა წარმომადგენლობას საკანონმდებლო ორგანოში მინიმუმ 30 დეპუტატამდე გაზრდის, რაც საერთო რაოდენობის 20%-ია. (*საქართველოს პარლამენტი. 2020*).

ტექსტი: „პირველი ქართული ეროვნული ყრილობისა“

„არსებითად, ეს ყრილობა იყო არა ეროვნული, არამედ ვაჟური, სადაც თავი მოეყარათ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ვაჟებს, სადაც 5 ქალი ძლივს ერია. ვაჟები ჩხუბობდენ. ვაჟები შერიგდენ და ამ შერიგებას ერთი მეორეს ულოცავდენ. ქართველ ქალს არათუ მონაწილეობა არ მიუღია ამ ყრილობაზე, არამედ მას თავის სიხარულის გამოთქმის ნებაც არ მისცეს. 20 ნოემბერს, როდესაც ბატონმა ნოე ჟორდანიამ პოლიტიკურ შინაურ თვითმმართველობაზე მოხსენება წაიკითხა და აღიარა საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია, კრება 15 წუთით შესწყდა და თანაც გამოაცხადა, რომ, ვისაც სიტყვის თქმა სურდათ, ჩაწერილიყვნენ. ამდენს მომლოცველ და თანხმობის გამომცხადებელ მამაკაც ორატორებში ერთი ქალი აღმოჩნდა სიტყვის გამღები, რომელმაც წერილობით მიმართა მდივანს, რომ ჩაეწერათ იგი. მიუხედავათ ადრე განცხადებისა, ორატორთა სიაში იგი როგორღაც სულ ბოლო მოხვდა. ეს ქალი ვიყავ მე, კატო მიქელაძე, დელეგატი ქუ-

თაისის ქალთა ინტერპარტიულ ორგანიზაციისა. ილაპარაკეს ათმა მამაკაცმა სტუმრებმა და პარტიის წევრებმა, რის შემდეგ სია დახურეს. მდივანმა მანიშნა, რომ სიტყვის თქმის უფლება მოსპობილი მაქვს.

მე ვფიქრობდი: მართალია, არც სტუმარი ვარ და არც ამა თუ იმ ფრაქციის სახელით მოლაპარაკე, მაგრამ მე ვარ ქართველი ქალი დღემდე პოლიტიკურ ცხოვრებას მოწყვეტილი. დღეს კი რევოლუციონურმა დემოკრატიამ, როცა მე და ჩემს სამშობლოს პოლიტიკური უფლება მოგვანიჭა და საქართველოსთან ერთად, ქართველი ქალიც მონობიდან განთავისუფლდა, მე, როგორც წარმომადგენელს ქალთა ორგანიზაციისას, უფლება მაქვს და თანაც საბაბი, რომ გადავსცე ქართველ ეროვნულ ყრილობას (თუ რომ ერში ჩვენ, ქალებიც ვითვლებოდით) ჩემი ამომრჩეველთა მათდამი მადლობა და მათი ფიქრნი და ზრახვანი შესახებ მომავალ ქართული პოლიტიკური ცხოვრებისა. როდესაც ასეთი მწველი სურვილის გამოთქმის შესაძლებლობას მისპობდნენ და სულიერ შეწუხებას განვიცდიდი, მირჩიეს იმ დროს, როდესაც კრება რამოდენიმე წუთით ხელახლა შესწყდა, ავსულიყავი ბატონ ჩხენკელთან, რომელიც იმ დღეს თავმჯდომარეობდა და მეთხოვა მისთვის სიტყვის წარმოთქმის ნება. მეც ავდექი და მივმართე მას, რომელმაც ჩემს წინადადებაზე შემდეგი პასუხი მომცა:

“ჩვენ ქართულ ორგანიზაციებს სიტყვის თქმის უფლებას არ ვაძლევთ“.

– ჩვენ ამას ისე გავიგებთ, რომ თქვენ პირველ ეროვნულ ყრილობაზე ქართველ ქალს თავისი სიხარულის გამოთქმის ნება არ მიეცით!

– მასე არ შეიძლება ამის გაგება!

– ჩვენ სხვანაირად ამას ვერ გავიგებთ – ვუპასუხე მას და გამოვბრუნდი. რას ვიზამდი, დავმორჩილდი უფროსთა სიძლიერეს და გულდაწყვეტილი მივაშურე ჩემს სკამს, მაგრამ ჩემი სულიერი შეწუხება მით უფრო მწველი იყო ჩემთვის, როცა ერთი თანამგრძნობი ვერ ვიპოვე ამდენს მამაკაცებში. ისინი ისე გატაცებულნი იყვნენ ეროვნულ საკითხში შერიგებით და იმის წარმოდგენით, რომ მომავალი ეროვნული ცხოვრება მათ ყველაფერს პირდებოდა და აძლევდა, რომ მათთვის საკითხი ქართველი ქალის უფლებისა, თუ რა ადგილს მოითხოვდა ის მომავალ ეროვნულ შენობაში, როცა ამ შენობას საძირკველს უყრიდნენ გუშინდელი მაჩხუბარი ძმები და დღეს კი შერიგებულნი, სრულიად არ აგონდებოდათ და არც აინტერესებდათ. მათ შორის, განსაკუთრებით კმაყოფილებას გრძნობდენ ქალთა უფლების მტერნი და ბატონ აკაკი ჩხენკელისადმი მადლობასაც, რომ მათი ყურთასმენა არ შეაწუხა უკანასკნელმა ქალის მიერ პოლიტიკური და მოქალაქური უფლების მოთხოვნის მოსმენით.

ერთი მხრით, ქალთა მცირერიცხოვანმა დელეგატებმა და მეორე მხრით, ქალთა უმეტყველობამ ამ დიდს ისტორიულ ყრილობაზე ისეთი შედეგი გამოიღო, რომ ეროვნულ საბჭოს არჩევის დროს ერთი ქალიც არ იყო დასახელებული, გარდა ქალბატონი მინადორა ტოროშელიძისა, რომელიც არჩეული იყო არა როგორც ქალთა წარმომადგენელი, არამედ როგორც ფრაქციის წევრი და ისიც უკანდიდატოთ.

ამგვარად, ეროვნულ საბჭოში ქართველ ქალებს თავისი სპეციალური დედაკაცური ინტერესის დამცველი არავინა ყავს. ქართველ ქალებს ამის საშვალება მოუსპეს ორმა ცნობილმა სოციალისტმა – ნოე ჟორდანიამ, ყრილობის მიერ ქართველ ბელადათ აღიარებულმა და აკაკი ჩხენკელმა.

ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ არცერთი ქვეყნის სოციალისტები, რომელ ქვეყანაშიაც ქალს შესძლებოდა ეროვნულ ყრილობაზე დელეგატათ შესვლა, არ მოუსპობდა ქალებს სიტყვის თქმის საშუალებას, თუ რომ ასეთს სურვილს რომელიმე მათგანი გამოაცხადებდა. არცერთ ქვეყანაში, სადაც კი შესაძლო იქნებოდა ქალის არჩევა, ეროვნულ საბჭოში სოციალისტები ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელთ აურჩევლად არ დასტოვებდა და თუ ეს ჩვენში მოხდა, მხოლოდ მისთვის, რომ ბატონებმა, ჟორდანიამ და ჩხენკელმა თავიანთი სოციალისტური მისია უკვე დაასრულეს და სოციალისტურ საქმეთა საწარმოოთ მათი ასტავკაც მოახლოვებულია, რომ ეგ ორი ბელადი დღეს ასეთს იდეურ ხანაში შესული ბრძანდებიან. ამას არა თუ ბოლშევიკები, არამედ თვით მათი თანამოაზრე მენშევიკების დიდი ნაწილი აღიარებს ჩვენთან ერთად. ბატონი ჟორდანია ოდნავაც არ შემკრთალა იმ შეკითხვაზე, რომელიც მისმა ამხანაგმა ცერცვაძემ დაუყენა: „ყველაფერი კარგი, მაგრამ რისთვის ქალებს თავისი წარმომადგენელი არა ყავთ ეროვნულ საბჭოში, რად დაგავიწყდათ ქართველი ქალიო“ გაისმა დარბაზში მჭექარე ხმა მოხუცი სოციალისტისა.

– ჩვენ ქალები გვყავს – უპასუხა ჟორდანიამ.

ჩვენ ვიცით, რომ მას ქალები ყავს, მაგრამ არ ვიცით რამდენათ მისი ქალები დაიცავენ ქალთა უფლებას დამფუძნებელ კრებაზე და გაბედავენ პარტიულ ჩარჩოდან გამოსვლას. დიად ბატონ ჟორდანიას ქალები ყავს, მაგრამ მისი წყალობით ქართველ ქალებს თავისი ინტერესის დამცველი დღეს არავინა ყავს.

წინ კიდევ დრო გვიდევს ვნახოთ, რას აუწყებს ქართველ ქალებს მომავალი ადგილობრივი დამფუძნებელი კრება, სადაც ერთადერთი კანონმდებელნი მამაკაცები იქნებიან. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვაუწყოთ მათ, თუ რომ ქალები ქვეყნის მართვა-გამგეობიდან გამორიცხული დარჩენ, ამაოთ ფიქრობენ ქართველი ერის ბელადნი, რომ ქართველი ქალები მათ მიერ გამოცემულ კანონებს დაემორჩილონ.“ *(მელაშვილი თ. „კატო მიქელაძე: ფემინიზმის უცნობი ისტორიები“*).

სასემინარო აქტივობა N3. ილუსტრაციის ანალიზი

აქტივობის ინსტრუქცია:

აჩვენეთ ილუსტრაცია სტუდენტებს. სთხოვეთ უპასუხონ კითხვებს:

- რა იდეაა ასახული მოცემულ ილუსტრაციაზე?

- როგორი ტიპის სახელმწიფოებისათვის არის დამახასიათებელი ილუსტრაციაზე ასახული სცენები?
- დაასახელეთ და ახსენით რისი მეტაფორაა ილუსტრაციაზე გამოსახული მათრახი?
- ილუსტრაციაზე მოცემული ყველა ელემენტის გათვალისწინებით იმსჯელეთ, რა არის ილუსტრაციის მთავარი სათქმელი?



(*Pinterest.com*)

დამატებითი ლიტერატურა:

1. საქართველოს პარლამენტი (1993). *საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეობის შესახებ*. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32596?publication=20 (მოძიებულია: 01.03.2021).
2. ზურაბაშვილი თ. (2016). *მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში. გამოსავლის ძიებაში.* საქართველოს რეფორმების ასოციაცია GRASS.
3. იანგი ა. მ. (1989), *მმართველობის ფორმა და ჯგუფების განსხვავებულობა: საყოველთაო მოქალაქეობის იდეალის კრიტიკა*. თამთა მელაშვილის თარგმანი, EMC.

თავი 1. სახელმწიფო და ხელისუფლება

საკითხავი მასალა: სახელმწიფოს წარმოშობის თეორიები

სტუდენტის სახელმძღვანელოში განვიხილეთ სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულების თეორია. მის თანახმად, სახელმწიფო ეს ადამიანების შეთანხმების შედეგია, რომელთაც უსაფრთხოების და კეთილდღეობის მისაღწევად დათმეს თავიანთი უფლებების ნაწილი. თუმცა თავად ცნება „თეორია“, რომელიც შეიძლება განიმარტოს როგორც გარკვეული ახსნა ამა თუ იმ მოვლენის, თავის თავშივე მოიცავს დაშვებას, რომ არსებობს სახელმწიფოს წარმოშობის ალტერნატიული მოდელები. მოდით განვიხილოთ ისინი:

1. **თეოლოგიური თეორია** ერთ-ერთი უძველესი თეორიაა, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იღებს დასაბამს. აღნიშნული თეორია სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებს ღვთაებრივ ნებას. მრავალი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოში მიიჩნეოდა, რომ მეფობა ღვთით კურთხეული ან/და ღმერთისგან მიმადლებული ჰქონდა სამეფო დინასტიას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ითვლებოდა, რომ დინასტიას ლეგიტიმაცია ღმერთისგან ჰქონდა მიღებული და მონარქი ღმერთის წარმომადგენელი იყო დედამიწაზე. ჯერ კიდევ ძვ.წ. მე-17 საუკუნეში შექმნილ ხამურაბის კანონებში ხაზგასმულია მეფის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ: „ღმერთებმა დაადგინეს მეფე ხამურაბი „შავთავიანების“ ბრძანებლად“... „ადამიანი არის ღმერთის ჩრდილი, მონა არის ადამიანის ჩრდილი, ხოლო მეფე ღმერთის სწორია.“ თეოლოგიური თეორიით იყო განმტკიცებული ბაგრატიონთა დინასტიის მეფობაც საქართველოში, რომლის მიხედვით, ხელისუფლება მარადიული და შეუცვლელია, ხოლო მისდამი მორჩილება აუცილებელი. ხელისუფალნი მოქმედებენ ღმერთის სახელით, მათი ძალაუფლება ღვთაებრივ ხასიათს ატარებს, ხოლო სახელმწიფოში გამოცემული კანონები ღვთაებრივ სამართლიანობას შეესაბამება.

2. **პატრიარქალური თეორია** ფართოდ იყო გავრცელებული ძველ საბერძნეთსა და რომში. მის ფუძემდებლად ევროპაში არისტოტელე მიიჩნევა. ამ თეორიის თანახმად, ადამიანი, როგორც კოლექტიური არსება ისწრაფვის სხვა ადამიანთან ურთიერთობისა და ოჯახის შექმნისკენ, ხოლო ოჯახის განვითარება წარმოშობს სახელმწიფოს. სახელმწიფო იმ პროდუქტად მიიჩნევა, რომელიც ოჯახების გამრავლების, გავრცობისა და გაერთიანების შედეგად წარმოიშვა. სახელმწიფო ხელისუფლება არის გაგრძელება გვაროვნულ საზოგადოებაში არსებული მამის (პატრიარქის) ხელისუფლებისა.

3. ერთ-ერთი პირველი, ვისაც მიაწერენ **ძალადობის თეორიის** შექმნას, იყო ჩინელი სახელმწიფო მოხელე შან იანი, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნეში მოღვაწეობდა. XIX საუკუნეში ძალადობის თეორია მეცნიერულ დონეზე

დიურინგმა (გერმანელი ფილოსოფოსი), გუმპლოვიჩმა (ავსტრიელი სამართალმცოდნე და სოციოლოგი) და კაუცკიმ (გერმანელი ფილოსოფოსი) დაამუშავეს. ეს თეორია სახელმწიფოს წარმოშობის მთავარ მიზეზად ასახელებს დაპყრობით ომებს, ძალადობასა და ერთი ტომის მიერ სხვების დამორჩილებას. ზოგიერთ შემთხვევაში, ამგვარი მიზეზები გარეშე ხასიათს ატარებდნენ (გარედან მოხვეული ძალადობა), ხოლო, ზოგ შემთხვევაში ძალადობა საზოგადოების შიგნით წარმოიშობოდა (შინაგანი ძალადობა). შინაგანი ძალადობის დროს საზოგადოების ერთი ჯგუფი ძალადობრივი გზით იმორჩილებდა უმრავლესობას. გარეშე ძალადობისას სახელმწიფოს არსებობა აუცილებელი იყო დაპყრობილი ხალხებისა და ტერიტორიების სამართავად.

4. რაც შეეხება **ეკონომიკურ თეორიას,** ამ თეორიის ფუძემდებლებად გვევლინებიან გერმანელი ფილოსოფოსები კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი. ეკონომიკური თეორიის მიხედვით, სახელმწიფო ჩამოყალიბდა პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შედეგად, რომელმაც „მოითხოვა“ მმართველობის დახვეწა სახელმწიფოსა და სამართლის გაჩენის გზით და წარმოშვა სოციალური ცვლილებები საზოგადოებაში. ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს წარმოშობა მოხდა ეტაპობრივად. თავდაპირველად გაჩნდა შრომის დანაწილების პრინციპი, საზოგადოების ერთი ნაწილი დაკავდა მიწათმოქმედებით, სხვა – მესაქონლეობითა და ხელოსნობით, ხოლო მათ, ვისაც კარგად ჰქონდათ განვითარებული სავაჭრო უნარ-ჩვევები, ვაჭრობას მიჰყვეს ხელი. შედეგად, საზოგადოებაში დაგროვდა ზედმეტი პროდუქტი, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას. დროთა განმავლობაში იმ ადამიანებმა, რომლებიც შრომის მხოლოდ ერთ დარგში იყვნენ სპეციალიზირებული, დაიწყეს სხვათა საქმიანობის შესწავლა და გამოყენება, რათა გამხდარიყვნენ კონკურენტუნარიანი და დაეგროვებინათ უფრო მეტი სიმდიდრე. საბოლოო ჯამში, სხვისი შრომის მითვისების გამო საზოგადოება დაიყო კლასებად – ექსპლუატატორებად და ექსპლუატირებულებად. შემდგომ ეტაპებზე უკვე გაჩნდა კერძო საკუთრების ინსტიტუტი და ხელისუფლება, ხოლო ექსპლუატატორთა (მდიდართა) ბატონობის შესანარჩუნებლად საჭირო გახდა ძალადობის სპეციალური მექანიზმის (მათ შორის: პოლიცია, ჯარი, ციხე) შექმნა სახელმწიფოს სახით. (*სამოქალაქო განათლება ყველასთვის. 2019*).

სასემინარო აქტივობა N1. სახელმწიფოს დაარსების სიმულაცია

სავარჯიშო მიზნად ისახავს გააააქტიუროს ცოდნა სახელმწიფოს წარმოშობის თეორიის და სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნების შესახებ. მოსწავლეები ქმნიან ჰიპოტეტურ სახელმწიფოს, მისი ყველა დამახასიათებელი ნიშნით. აქტივობა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად.

აქტივობის ინსტრუქცია:

I **ეტაპი:** მასწავლებლის მინი-ლექცია: სტუდენტებს შეახსენეთ როგორც საზოგადოებივი ხელშეკრულების თეორია, ასევე, გააცანით ალტერნატიული თეორიები, რომლებიც სახელმძღვანელოშია მოცემული. სასურველია მათი ძირითადი მახასიათებლები ჩამოწეროთ დაფაზე ან ფლიბჩარტზე.

II **ეტაპი:** სტუდენტები გადაანაწილეთ ჯგუფებად. გადანაწილებისათვის შეიძლება გამოიყენოთ: გათვლა, კალათიდან ფერადი ქაღალდების ამოღების სტრატეგია და სხვ.

III **ეტაპი:** დავალების თანახმად სტუდენტებმა უნდა დააარსონ ახალი, ჰიპოტეტური სახელმწიფო. სტუდენტებს ურიგებთ ბარათებს, სადაც ჩამოწერილია კითხვები, რომლებიც დაეხმარებათ სახელმწიფოს მახასიათებლების განსაზღვრაში. ეს კითხვებია:

- რა არის სახელმწიფოს შესაქმნელად საჭირო?
- თუ გექნებოდათ საშუალება როგორ ქვეყანას შექმნიდით?
- ვინ ქმნის თქვენს წარმოსახვით სახელმწიფოს?
- როგორი წესებით იმართება თქვენი სახელმწიფო? რატომ აარჩიეთ ეს წესები?
- ვინ ცხოვრობს თქვენს ქვეყანაში? რამდენი ადამიანი ცხოვრობს? ჩამოთვალეთ მოსახლეობის მახასიათებლები;
- გეოგრაფიულად სად მდებარეობს ეს ქვეყანა? რატომ?

ასევე, სტუდენტებს დაავალეთ:

- დაარქვან სახელი ახალ სახელმწიფოს;
- შექმნან მისი სიმბოლოები: დროშა, გერბი;
- ჩამოწერონ 5 ძირითადი წესი, რომლითაც იმართება ახალი სახელმწიფო.

შეჯამება: განიხილეთ მუშაობის პროცესში წარმოდგენილი მაგალითები, სახელმწიფოს წარმოშობის რომელ თეორიებს შეესაბამება და რომელი აუცილებელი ნიშნები ახასიათებთ მათ? (*Stickney. 2009*).

სასემინარო აქტივობა N2. სახელმწიფოს დანიშნულების ანალიზი

აქტივობის ინსტრუქცია:

I **ეტაპი:** გააცანით სტუდენტებს „მეშახტის ცოლის სიმღერა“.

II **ეტაპი**: ტექსტის გაცნობის შემდეგ დასვით კითხვები:

- რა ვალდებულებები აქვს სახელმწიფოს?

- რამდენად იკვეთება ამ ტექსტში ვალდებულებების შესრულება ან შეუსრულებლობა;
- რა უნდა გაკეთდეს ტექსტში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად?

მეშახტის ცოლის სიმღერა

"ამაღამ გვიან მოვა ჩემი კაცი, ჩემი შებოლილი ქმარი და მისი კბილები თეთრად გაიელვებს.

კბილებით შემიძლია ჩემი ქმარი სხვებისგან გამოვარჩიო.

როცა გავიცანი, თეთრი კაცი იყო. ახლა, რაღაცნაირი მტვრისფერი გახდა.

ხმაშიცთითქოსდაფხვნილირკინაგაერია. თვალებშიგავარვარებული ზეთი უპრიალებს.

იცვლება ჩემი ქმარი, როცა გრძელი გვირაბიდან ამოდის, როცა სააქაოს ბრუნდება.

აი, სადაცაა მოვა, ამოგანგლული შემოაღებს კარს და მოიტანს სუნს. დედამიწის შუაგულიდან წამოღებულს, სხვა მისნაირი დაქანცული კაცების.

მოვა – ცალ ხელში ცარიელი კონტეინერებით, მეორეში გამურული პურით.

პურსაც გადაედო ჩემი ქმარი. ჩემ გარდა, ისიც გააშავა. გზაში ცოტა ჩამოუტეხავს, ეტყობა, მოშივდა.

დაჯდება მაგიდასთან და ზის.

ელოდება წვნიანიან თეფშს, რომელსაც მოჰყვება ჩემი რამდენიმე მოსასწრები წინადადება ბანკის ვალებსა და მაღაზიის ნისიასა და მეზობლის ბავშვის ახალ ფეხსაცმელსა და ჩვენი შვილების დაძველებულ ჩანთებზე, სასოწარკვეთაზე.

დაჯდება და იყურება ფანჯარაში, ცისკენ.

ცა მენატრება – მეტყვის და დადუმდება.

ამაღამ გვიან მოვა ჩემი ქმარი და დაყრის გასარეცხ ტანსაცმელს.

და ზამთრის ყინვაში შეაღებს ფანჯარას.

ჰაერი მენატრება, – იტყვის და დადუმდება.

და მე ვეღარაფერს ვეტყვი სახატავ რვეულებსა და შოკოლადებსა და წიგნებსა და ახალ კაბებსა და აი, იმ ვიტრინაში გამოდებულ ყელსაბამსა და საერთოდ, ადამიანურად ცხოვრებაზე.

მხოლოდ გავიფიქრებ – ნეტა ხელი და ფეხი სულ ჰქონდეს ჩემს ქმარს, რომ შახტში ჩავიდეს." (*ქევანიშვილი ე. 2017).*

დამატებითი ლიტერატურა:

1. მარი ნ. როტბარდი, *„ეგალიტარიანიზმი, როგორც ამბოხი ბუნების წინააღმდეგ და სხვა ნარკვევები“* (ოუბურნი, ალაბამა, აშშ., მიზესის ინსტიტუტი, 2000 (1974), გვ. 55-88. https://nes-g.org/ka/articles-ge/2019-11-26-10-46-10 (მოძიებულია: 07.03.2021).
2. სლეიდი გ. (2020). *სასჯელი და სახელმწიფოს მშენებლობა პოსტ-საბჭოთა საქართველოში.* https://emc.org.ge/ka/products/sasjeli-da-sakhelmtsifos-msheneblobа-postsabchota-sakartveloshi (მოძიებულია; 07.03.2021).

თავი 2. კონსტიტუცია და სახელმწიფო

საკითხავი მასალა: დამფუძნებელი მამების დილემა

„კონსტიტუციის გადასინჯვა ექსპერიმენტია. ექსპერიმენტი, რომელიც არსებული გამოცდილების და სამომავლო გამოწვევების ანალიზზე, განმეორებასა და პრევენციაზეა დაფუძნებული. ექსპერიმენტი, რომლის ავტორებს წარმოდგენაც არ აქვთ რად იქცევა მათი დოკუმენტი, როგორი იქნება მისი სოციალური ცხოვრება. არსებული პოლიტიკური კონტექსტები, განმარტების მეთოდები, სასამართლოს ინტერპრეტაცია, ძალმომრეობითი აქტები და კონსენსუსები, ცვლიან კონსტიტუციის თავდაპირველ სახეს, აწრთობენ მის სხეულს, კონსტიტუციური რეალობა ყოველწუთიერად ფორმირდება და რა წამს მოახერხებს დაფუძნებას მაშინვე პრეტენზიას აცხადებს წესრიგზე. ეს მოუხელთებადი მომენტია, არცერთ მეცნიერულ კვლევის მეთოდს არ შეუძლია მთელი თავისი სიზუსტით დააფიქსიროს კონსტიტუციური რეალობა კონკრეტულ მოცემულობაში, ამიტომ ჩვენ მხოლოდ კონსტიტუციის ტოტალობა შეგიძლია აღვიქვათ, სადაც მცირე (თუ უზენაეს კანონში ასეთი შეიძლება საერთოდ არსებობდეს) ნიუანსები არ ჩანს.

კონსტიტუცია ისაა, როგორადაც ის მოქმედებს. წინასწარ ამის გათვლა კი შეუძლებელია, ამდენად მისი შექმნა, შეიძლება ითქვას, რომ წინდაწინვე მარცხისთვის განწირული საქმეა. მისი ავტორები უდიდეს პროფესიულ და პოლიტიკურ ძალისხმევას დებენ ნორმების შექმნაში. თუმცა, მათი ჯაფა შეიძლება წლების შემდეგ სამართალგამოყენებისას ერთი რიგითი მოხელის ინტერპრეტაციამ თავდაყირა დააყენოს და უსარგებლოდ აქციოს. ამ აზრით, დამფუძნებლები თავიდანვე წაგებულ ომში შედიან და ეს გმირობაა. ისინი რისკავენ, რისკავენ საკუთარ მსოფლმხედველობას, რისკავენ პოლიტიკურ ფასს, რისკავენ პროფესიულ აზრს და ბოლოს საკუთარ თავსაც რისკავენ.

მეორეს მხრივ, მართალია კონსტიტუცია წარსულიდან ნასაზრდოები დოკუმენტია, მაგრამ ის მომავალში მოქმედებს, პრეტენზია აქვს რეალობის წინსწრებით კონსტრუირებაზე. ეს კი, როგორც ზემოთ წერია, შეუძლებელია. ამდენად კონსტიტუციის ავტორები გვპირდებიან რეალობას, რომელიც ზუსტად იმ ფორმით რა ფორმითაც ამას დაპირება გულისხმობს, ცხადია, ვერასოდეს განხორციელდება. კონსტიტუცია ყოველთვის გულისხმობს ტყუილს. ამ აზრით კონსტიტუციის ავტორები ავანტიურისტებიც არიან.“ (*მენაბდე ვ. 2014*).

სასემინარო აქტივობა N1. კონსტიტუციაში /კანონში ცვლილების შეტანის სიმულაცია

სავარჯიშოს ინსტრუქცია:

სტუდენტებთან ერთად გაიარეთ პროცედურა, თუ როგორ არის შესაძლებელი კონსტიტუციის გადასინჯვა (*იხ. საქართველოს კონსტიტუცია. თავი X. კონსტიტუციის გადასინჯვა*). ასევე განიხილეთ, თუ რა გამოწვევა მოჰყვება თან კონსტიტუციის ცვლილებას, რატომ არის ეს პოზიტიური ან ნეგატიური მოვლენა (*იხ. საკითხავი მასალა „დამფუძნებელი მამების დილემა“*).

შესთავაზეთ, მოიფიქრონ თუ რა საკითხის ინიცირება სურთ კონსტიტუციაში შესატანად. მოამზადონ საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივის ტექსტი, რომელიც საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად იქნება მიმართული.

შეჯამება: იმსჯელეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი, მოქალაქეები იცნობდნენ კონსტიტუციას? ასევე, განიხილეთ თუ როგორ არის შესაძლებელი კონსტიტუციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

სასემინარო აქტივობა N2. ხელისუფლების შტოთა ბალანსი საქართველოს კონსტიტუციაში

სავარჯიშოს ინსტრუქცია:

გააცანით სტუდენტებს კონსტიტუციის შემდეგი მუხლები:

- მუხლი 36. პარლამენტის სტატუსი და უფლებამოსილება;
- მუხლი 54. მთავრობა;
- მუხლი 59. სასამართლო ხელისუფლება.

სთხოვეთ სტუდენტებს აღნიშნონ, სად იკვეთება შტოების დაბალანსების საკითხი და ახსნან, რატომ არის მნიშვნელოვანი შტოების გამიჯვნა? როგორ ზეგავლენას ახდენს ეს გამიჯვნა თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე? მოიყვანონ მაგალითები პირადი გამოცდილებიდან.

სასემინარო აქტივობა N3. ციტატები განსახილველად

სავარჯიშოს ინსტრუქცია:

I ეტაპი: შეარჩიეთ განსახილველი ციტატები. სტუდენტები დაყავით ჯგუფებად ისე, რომ თითოეულ ჯგუფში მოხვდეს იმდენი სტუდენტი, რამდენი ციტატაც გაქვთ შერჩეული;

II ეტაპი: დაურიგეთ სტუდენტებს ციტატები, ისე რომ თითოეულს მხოლოდ ერთი ციტატა შეხვდეს. სთხოვეთ 2-3 წუთის განმავლობაში იფიქრონ ამ ციტატაზე და გასცენ პასუხი შემდეგ კითხვებს:

- რა არის ციტატის მთავარი არსი?

• ეთანხმებით თუ არა ციტატაში მოცემულ მოსაზრებას? რატომ? ახსენით არგუმენტირებულად;

• რა მაგალითები გახსენდებათ, რომლითაც დასტურდება ან რომლებიც უარყოფს ციტატაში მოცემულ მოსაზრებას?

III **ეტაპი:** აუდიტორია დაყავით ჯგუფებად, ისე რომ თითოეულ ჯგუფში ყველა ციტატა იყოს წარმოდგენილი. სთხოვეთ სტუდენტებს ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი ნააზრევი.

შეჯამება: აუდიტორიაში განიხილეთ, რა საკითხები გამოიკვეთა თითოეული ჯგუფის მუშაობის პროცესში; თანხმდებიან თუ არა განხილული საკითხების გარშემო და ა.შ.

ციტატების ნიმუში

1. „ყველაზე საუკეთესო ადამიანიც კი არასაკმარისად კარგია იმისათვის, რომ მართოს სხვა ადამიანი მისი თანხმობის გარეშე.“ აბრაამ ლინკოლნი (1809-1865), აშშ-ის პრეზიდენტი.
2. „დემოკრატიას შესაძლებელს ხდის ადამიანთა უნარი დაადგინონ კანონები, ხოლო ადამიანური ცდუნება გვერდი აუარონ კანონებს, დემოკრატიას აუცილებელს ხდის.“ რაინჰოლდ ნიბური (1892-1971), გერმანელი ისტორიკოსი.
3. „დემოკრატიის ყველა ავადმყოფობის წამალი კიდევ უფრო მეტი დემოკრატიაა.“ ალფრედ სმიტი (1873-1944), ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი 1919-1920 და 1922-1928 წლებში.
4. „დემოკრატიის პირველი პრინციპი ისაა, რომ ადამიანები არსით გააერთიანოს და არა დაჰყოს.“ გილბერტ ჩესტერტონი (1874-1936), ინგლისელი მწერალი.
5. „დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა, მოქალაქე... უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში.“ დიმიტრი უზნაძე (1886-1950), ფსიქოლოგი.

დამატებითი ლიტერატურა:

1. შმიდი უ. (2017). *საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ძირითადი კანონების რიტორიკული და ჟანრული გამორჩეულობა.* თარგმანი გ. ნონიაშვილის. https://emc.org.ge/ka/products/konstitutsia-da-narativi

2. ტურავა პ. (რედ). (2013). *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“.* გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf

3. კუბლაშვილი პ. (2008). *ძირითადი უფლებები.* თბილისი. ჯისიაი. https://www.sjuni.edu.ge/ebiblioteka/images/books/%20ziritadi%20uflebebi%20-%20kublashvili.pdf

თავი 3. ხელისუფლების არსი და ბუნება

საკითხავი მასალა: ხელისუფლების სახეობები

გერმანელმა სოციოლოგმა და ფილოსოფოსმა მაქს ვებერმა (1864-1920) ბატონობის „სამი იდეალური“ ტიპი გამოყო: **ტრადიციული, ქარიზმატული და ლეგალურ-რაციონალური,** რომელთაგანაც თითოეულის ლეგიტიმურობა სრულიად განსხვავებულ საფუძველზე აღმოცენდებოდა. პოლიტიკური ხელისუფლების რაობის გარკვევის შედეგად, ვებერი, ბატონობის სისტემების ურთიერთშეპირისპირების საშუალებით, საზოგადოების ტრანსფორმაციის საკითხების გაგებასაც ფიქრობდა. მას სურდა აეხსნა, თუ როგორ ხდებოდა „ტრადიციული საზოგადოებების“ ძლიერ ბიუროკრატიულ და ინდუსტრიალიზებულ თანამედროვე საზოგადოებებად გარდაქმნა.

ვებერის აზრით, ტრადიციულ საზოგადოებებში, ხელისუფლება საუკუნოვანი ადათ-წესების და ტრადიციების პატივისცემას ემყარება. ასე, რომ ამ შემთხვევაში ძალაუფლება ლეგიტიმურია, იმდენად, რამდენადაც იგი „მუდამ არსებობდა“ და ძველი თაობების მიერაც იყო გაზიარებული. ამრიგად, ამ სახის ხელისუფლება ისტორიის მიერაა სანქცირებული და „უხსოვარ ადათ-წესებს“ ეფუძნება.

ტრადიციული ხელისუფლების ყველაზე ნათელი მაგალითი ტომობრივი/მცირე ჯგუფების გაერთიანებაში შეიძლება მოვიძიოთ, რომელიც „პატრიარქალიზმის“ სახით ხორციელდება (მამის ბატონობა ოჯახზე, ან „ბატონისა“ მის მსახურებზე). იგივე შეიძლება ითქვას „გერონტოკრატიის“ შესახებაც, რომელიც ასაკოვანთა მმართველობას გულისხმობს და რაც ტრადიციულად სასოფლო სახის დასახლებებში „უხუცესთა“ მმართველობის სახით გვხვდება. ამრიგად, ტრადიციული ხელისუფლება მჭიდროდაა გადაჯაჭვული ძალაუფლების და პრივილეგიების მემკვიდრეობით სისტემასთან. ტრადიციული ხელისუფლების მხოლოდ მცირეოდენი გადმონაშთები თუ არის შემორჩენილი თანამედროვე ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებებში, რადგანაც, ერთი მხრივ, იგი გააქრო მძლავრმა სოციალური ცვლილებების ტალღამ და მეორე მხრივ, მემკვიდრეობითი სტატუსის განხორციელების იდეა სრულიად შეუსაბამოა თანამედროვე დემოკრატიისა და შესაძლებლობების თანასწორობის პრინციპებთან. თუმცა, ტრადიციული ხელისუფლების ნაკვალევი შესაძლოა აღმოვაჩინოთ შემორჩენილი მონარქიის ინსტიტუტების სახითაც, რომელიც ისეთ განვითარებულ ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებებშიც კი არსებობს, როგორებიცაა: დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ნიდერლანდები და ესპანეთი.

ბატონობის მეორე ფორმა, რომელიც ვებერმა დაამუშავა, **ქარიზმატული ხელისუფლებაა.** მოცემული ხელისუფლების ფორმა მთლიანად ემყარება ინდივიდუალური პერსონალიის ძალაუფლებას, მის „ქარიზმას“. თვით სიტყვა „ქარიზმა“ ქრისტიანობიდან მომდინარეობს და ღვთით „მომადლებულს“ ნიშნავს, და არის ძალაუფლება, რომელიც ქრისტეს მიერ მოციქულებისადმი დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა. ქარიზმატულ

ხელისუფლებას საერთო არაფერი აქვს პერსონალურ სტატუსთან, საზოგადოებრივ მდგომარეობასთან, ან სამსახურებრივ თანამდებობასთან და ყველაფერი მის პიროვნულ შემძლეობას და უნარ-ჩვევებზეა დამოკიდებული, რომლითაც იგი გარემო სამყაროსთან პირდაპირი ურთიერთობის დამყარებას ახერხებს. ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკური ლიდერობის კონსტრუირება, თითქმის მთლიანად ქარიზმატული ხელისუფლების საფუძველზე ხდება. ქარიზმატული ხელისუფლება, როგორც წესი, ავტორიტარული რეჟიმის არსებობას უკავშირდება, რომელიც უსიტყვო მორჩილებას მოითხოვს და მოქალაქეებთან შეუთანხმებელ ხელისუფლებას გვახვევს თავს. იმდენად, რამდენადაც ქარიზმატული ხელისუფლება უფრო პერსონალიას ეყრდნობა, ვიდრე სტატუსს, ან სამსახურებრივ მდგომარეობას, იგი სრულიად შეუზღუდავია რაიმე პროცედურებისგან და შეიძლება „ტოტალური ძალაუფლების“ სპექტრიც კი წარმოქმნას. უფრო მეტიც, ქარიზმატული ხელისუფლება, მომხრეთაგან, არა მხოლოდ მორჩილების მზაობას, არამედ მოციქულებრივ მოღვაწეობას და თავგანწირვასაც მოითხოვს. ამრიგად, ქარიზმატული ლიდერი მორჩილებას აღწევს იმგვარი რწმენის დანერგვით, რომ თითქოსდა მის მოღვაწეობას ადამიანთა ცხოვრების შეცვლა ხელეწიფება. ამდენად, ქარიზმატულ ხელისუფლებას ხშირად მესიანისტური ელფერი გასდევს. ისეთი ლიდერები, როგორებიც ნაპოლეონი, ჰიტლერი და სტალინი იყვნენ, საკუთარ თავს „მესიებად“ წარმოსახავდნენ, რომელნიც სამყაროს მშველელებად, განმათავისუფლებლად და ქვეყნის გარდამქმნელებად მოევლინნენ. იმის მიუხედავად, რომ მოცემული ყაიდის ხელისუფლების საკითხი ნაკლებად აქტუალურია ლიბერალური დემოკრატიული რეჟიმებისთვის, რადგანაც იგი კონსტიტუციურად ზღუდავს ლიდერის ფუნქციებს, იგი მასში მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. უფრო მეტიც, უნდა გვახსოვდეს, რომ ქარიზმატული მახასიათებლები არა მხოლოდ მარგარეტ თეტჩერივით, ან შარლ დე გოლივით მტკიცე და ხისტ ლიდერებს ახასიათებთ, არამედ უფრო ზომიერებსაც, როგორიც, მაგალითად, ფ.დ. რუზველტი იყო, ან კიდევ ყველა თანამედროვე ლიდერს, რომლებიც ტელევიზუალური საშუალებებით ცდილობენ საკუთარი თავის წარმოჩენას.

ბატონობის მესამე ფორმას ვებერი, **ლეგალურ-რაციონალურ ხელისუფლებას** უწოდებდა. ხელისუფლების ეს სახე ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც მან მთლიანად შეცვალა ტრადიციული ხელისუფლება და ორგანიზაციის გაბატონებულ საშუალებად გადაიქცა თანამედროვე ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებებში. ვებერი ასაბუთებდა, რომ ლეგალურ-რაციონალური ხელისუფლება ბიუროკრატიული ორგანიზაციით ხასიათდებოდა, რომელსაც თანამედროვე საზოგადოებებში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. აღნიშნული მკვეთრად განსხვავდება, როგორც ქარიზმატული, ისე ტრადიციული ხელისუფლებისგან, რადგანაც საკუთარ არსებობას ზუსტად განსაზღვრული ბიუროკრატიის მეშვეობით უზრუნველყოფს და არა სტატუსის ცნების მიხედვით. ლეგალურ-რაციონალური

ხელისუფლება „კანონის მმართველობის“ კონცეფციიდან აღმოცენდება, სადაც ძალაუფლება სამართლებრივადაა განსაზღვრული და გარანტიაა იმისა, რომ ძალაუფლება კანონით განსაზღვრული ჩარჩოების მიხედვით განხორციელდება. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მმართველობის სისტემა უმთავრესად ლეგალურ-რაციონალურ ხელისუფლებას ემყარება. პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და სხვა სამთავრობო პირების მიერ განხორციელებული ძალაუფლება, ყველა შემთხვევაში, ფორმალური, კონსტიტუციური წესების მიერაა განსაზღვრული, რომელიც ხელისუფლების მეთაურს წინდაწინ უწესებს კონკრეტულ შეზღუდვებს. ვებერის შეხედულების მიხედვით, ლეგალურ-რაციონალური ხელისუფლება, როგორც ტრადიციულ, ისე ქარიზმატულ ხელისუფლებაზე უკეთესია. პირველ შემთხვევაში, ხელისუფლების კომპეტენციები ნათლადაა განსაზღვრული და კონკრეტულ მმართველობით ორგანოს უკავშირდება და არა პიროვნებას და შესაბამისად, ბიუროკრატიულ ხელისუფლებას უფრო ნაკლებად ემუქრება გარყვნა და უსამართლობების გამოვლენა. (*ჰეივუდი ე. 2015. თარგმანი ხელნაწერის უფლებით*).

სასემინარო აქტივობა

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა: დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას ხელისუფლების შტოების ურთიერთკონტროლი და პოლიტიკური ინსტიტუტების სიჯანსაღე წარმოადგენს. მოცემული დავალება მიზნად ისახავს გაანალიზოს ის ძირითადი გამოწვევები, რაც გარდამავალ სახელმწიფოში პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესს ექმნება.

დავალება: მოამზადეთ პრეზენტაცია ხელისუფლების შტოების გამიჯვნის დანიშნულებასა და მოქალაქეთა ცხოვრებაზე მათი ზეგავლენის შესახებ და წარუდგინეთ აუდიტორიას.

პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

- გაეცანით ნაწყვეტს თომას მაგშტატის სახელმძღვანელოდან, სადაც ავტორი ხსნის, თუ როგორ აგებდნენ ამერიკის დამფუძნებელი მამები სახელმწიფოს და როგორ წარმოედგინათ არაგონიერი მმართველის შეზღუდვის მექანიზმები;
- მეორე წყარო გიჩვენებთ, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტი მოქმედი მექანიზმია. ამ წყაროსთან ერთად გაეცანით საქართველოს კონსტიტუციის მუხლს 48, სადაც საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურაა გაწერილი, შეადარეთ, ითვალისწინებს თუ არა საქართველოს კანონმდებლობა იმავე დანაშაულისთვის სახელმწიფოს მეთაურის პასუხისმგებლობას;

- მესამე წყარო დიდ ბრიტანეთში საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნის შესახებ მოგითხრობთ. გააანალიზეთ, რატომ დადგა პარლამენტის დათხოვნის აუცილებლობა. ასევე, გაეცანით საქართველოს კონსტიტუციის მესამე თავს, სადაც პარლამენტის პასუხისმგებლობის წინაპირობებია გაწერილი;
- სასემინარო მუშაობისას ალბათ არაერთხელ შეეხეთ სასამართლოს დამოუკიდებლობის და ხელშეუხებლობის მნიშვნელობას, თუმცა, კანონმდებლობა ითვალისწინებს გადაცდომის შემთხვევაში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს. მეოთხე წყარო სწორედ ამაზე მოგითხრობთ. ასევე, სასურველია გაეცნოთ საქართველოს კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მუხლებს 42 და 43 სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიების შესახებ; ამავე საკითხის გააზრებაში დაგეხმარებათ მეხუთე წყარო, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ შემთხვევას, რომელსაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგია განიხილავდა.

N1. ხელისუფლების შტოებად დაყოფის დანიშნულება

ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებელი მამები ხვდებოდნენ, რომ „განათლებული პოლიტიკოსები ყოველთვის არ იქნებიან ძალაუფლების სადავეებთან. გონიერი ხელისუფალის არარსებობის შემთხვევაში, მხოლოდ თავად, სწორად აგებულ სახელმწიფოს შეუძლია გააკონტროლოს მათი ამბიციები, ვინც მისი სახელით მართვაზე აცხადებს პრეტენზიას. არჩევნები ასეთი კონტროლის ერთ-ერთ სახეს უზრუნველყოფს, აღნიშნავდა მედისონი, მაგრამ გამოცდილებამ კაცობრიობას დამატებითი გარანტიების აუცილებლობა უკარნახა. უპირველესი გარანტია ხელისუფლების ძირითად კომპონენტებს შორის მუდმივი ჭიდილის დანერგვა იყო: „ხელისუფლების ერთსა და იმავე შტოში ძალაუფლების თანმიმდევრული კონცენტრაციის საშიშროების თავიდან აცილების კარგი საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი დეპარტამენტის (სამინისტროს) ხელმძღვანელობას მიეცეს საჭირო კონსტიტუციური მხარდაჭერა, პირადი მოტივაციის გასაზრდელად წინააღმდეგობა გაუწიოს სხვების მხრიდან მის კომპეტენციაში შემოჭრას“. მოკლედ რომ ვთქვათ, საჭიროა ამბიციამ გაანეიტრალოს ამბიცია.“ (*მაგშტატი თ. გვ. 87*).

N2. ბრაზილიის პრეზიდენტის იმპიჩმენტი

ბრაზილიის პრეზიდენტი დილმა რუსეფი იმპიჩმენტის წესით გადააყენეს. „ბი ბი სის“ ცნობით, პრეზიდენტის იმპიჩმენტის გადაწყვეტილება სენატმა მიიღო. რუსეფის უფლებამოსილების შეჩერებას მხარი 55-მა სენატორმა დაუჭირა, 22 კი წინააღმდეგი გამოვიდა. რუსეფს დროებით ვიცე-პრეზიდენტი მიშელ ტემერი ჩაანაცვლებს. სენატის გადაწყვეტილების შემდეგ მოსალოდნელია, რომ რუსეფი სასამართლოს წინაშე წარდგება. პრე-

ზიდენტს სახელმწიფო ბიუჯეტში დეფიციტის ზრდაში ადანაშაულებენ. კერძოდ, როგორც მისი ოპონენტები აცხადებენ, რუსეფმა იცოდა იმ კორუფციული სქემის შესახებ, რომლის მიხედვითაც ბრაზილიის უმსხვილესმა ნავთობკომპანია „პეტრობრასმა“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები მოიპარა. (*https://www.allnews.ge*).

N3. დედოფალმა ელისაბედ II-მ დიდი ბრიტანეთის პარლამენტი დაითხოვა

3 მაისის დადგომისთანავე დიდი ბრიტანეთის პარლამენტი დაითხოვეს. პროცედურა ვადამდელი არჩევნების დანიშვნას უკავშირდება. ამის შესახებ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ოფიციალური ვებგვერდი იუწყება. ბრიტანული კანონმდებლობის შესაბამისად, პარლამენტმა მუშაობა არჩევნებამდე 25 დღით ადრე უნდა შეაჩეროს. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დიდ ბრიტანეთში 8 ივნისს გაიმართება. „ხმის მიცემის პროცედურა 8 ივნისს არის დანიშნული. შესაბამისად, პარლამენტი 3 მაისის 00:01 საათიდან დათხოვნილია“, – ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ტერეზა მეი დღეს დედოფალ ელისაბედ მეორეს შეხვდება. ამ შეხვედრაზე პრემიერი დედოფალს პარლამენტის დათხოვნის და წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების შესახებ მიაწვდის ინფორმაციას. ელისაბედ მეორე კი ტერეზა მეის გადასცემს ე.წ. „დედოფლის დეკლარაციას“, სადაც პარლამენტის დათხოვნის და არჩევნების დანიშვნის თარიღები, ასევე საკანონმდებლო ორგანოს ახალი შემადგენლობის მუშაობის დაწყების დღე იქნება მითითებული. დიდი ბრიტანეთის პრემიერმა, ტერეზა მეიმ, 29 მარტს ხელი მოაწერა წერილს, რომლითაც ქვეყნის ევროკავშირიდან გასვლის პროცედურა – ბრექსიტი ოფიციალურად დაიწყო. გეგმის მიხედვით, გაერთიანებული სამეფო ევროკავშირს საბოლოოდ 2019 წლის მარტში დატოვებს. დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის გადაწყვეტილება 2016 წლის 23 ივნისის რეფერენდუმით გადაწყდა. ლორდთა პალატამ ბრექსიტის კანონი 14 მარტს დაამტკიცა. დედოფალმა ელისაბედ II-მ დოკუმენტს ხელი 16 მარტს მოაწერა.

იმავდროულად, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა 8 ივნისს ქვეყნაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნა, იმ მოტივით, რომ ბრექსიტის პროცესში ბრიტანეთს მაღალი ლეგიტიმაციის მთავრობა ჰყავდეს. (*www.imedinews.ge*).

N4. საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ მუხლი 42. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება

1. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით.

2. საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან/და ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის საფუძვლით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი დასკვნის მიღების შემდეგ, სრული შემადგენლობის უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

3. სააპელაციო სასამართლოს და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეებს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით.

მუხლი 43. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები

1. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენა;

გ) (ამოღებულია – 08.02.2017, №255);

დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ე) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

ვ) მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ზ) 65 წლის ასაკის მიღწევა;

თ) კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენა „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

ი) გარდაცვალება;

კ) სასამართლოს ლიკვიდაცია, მოსამართლის თანამდებობის შემცირება;

ლ) სხვა სასამართლოში დანიშვნა (არჩევა);

მ) სხვა დაწესებულებაში თანამდებობაზე არჩევა ან დანიშვნა;

ნ) უფლებამოსილების ვადის გასვლა.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, მოსამართლე გაათავისუფლოს თანამდებობიდან, თუ იგი ბოლო 12 თვის განმავლობაში 4 თვეზე მეტ ხანს ვერ ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას და არსებობს შესაბამისი სამედიცინო დასკვნა, რომლის თანახმადაც, იგი მომავალშიც ვერ შეძლებს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას.

N5. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიამ განმარტა, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას თითოეული მოსამართლე მოქმედებს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების სახელით. თითოეული მოსამართლის მიერ განხორციელებული ქმედება ზეგავლენას ახდენს სასამართლო სისტემის პრესტიჟზე, რაც პირდაპირ აისახება სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობაზე. მოსამართლე ვალდებულია, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საჯარო გამოსვლებში მოერიდოს უარყოფითი აზრის ან შეხედულების გამოთქმას სხვა მოსამართლის პროფესიონალიზმსა და პირად თვისებებზე. მოსამართლემ საჯაროდ არ უნდა გამოხატოს საკუთარი უარყოფითი აზრი სხვა კოლეგების მიმართაც, მათ შორის, ადვოკატების, ნოტარიუსების, პროკურორებისა და სამართალდამცავი ორგანოების სხვა თანამშრომლების მიმართ. მათი პროფესიონალიზმი და პირადი თვისებები არ წარმოადგენს მოსამართლის განსჯის საგანს.

სადისციპლინო კოლეგიის აზრით, ყოვლად დაუშვებელია მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის ან მისი გადაწყვეტილების საჯარო კრიტიკა ან უპატივცემულოდ მოხსენიება. სხვა მოსამართლის გადაწყვეტილებაზე აზრის გამოთქმა შეუძლია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს, რომელიც განიხილავს საჩივარს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ასეთ შემთხვევაშიც აზრის გამოთქმა ხდება მხოლოდ მიღებულ გადაწყვეტილებაში. (*საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, საქმე #დს-შ/1-16 18.03. 2016*).

დამატებითი ლიტერატურა:

1. საქართველოს პარლამენტი (2018). *საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების შესახებ.* საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=42 (მოძიებულია: 25.05.2021).
2. *ფედერალისტური წერილები.* http://www.federalistpapers.ge
3. ნოდია გ. არაქელიანი ა. (2005). *საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები.* IDEA. CIPDD.

თავი 4. დემოკრატიული და არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმები

საკითხავი მასალა: ჰანა არენდტი. ტოტალიტარიზმის ფესვები

"ტოტალიტარული ადამიანი" არენდტის აზრით არის ატომიზირებული, გაუცხოებული ინდივიდი, „მასის" წარმომადგენელი, რომელიც კოლექტიურ სოციალურ სხეულად ყალიბდება ძალადობისა და ტოტალური იდეოლოგიური მანიპულაციების მეშვეობით. ტოტალიტარული რეჟიმის იდეალურ მოდელად არენდტი თვლიდა ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკს, სადაც ადამიანს დანგრეული ჰქონდა ქცევის ჩვეულებრივი მოტივები, მორალი, მასთან ერთად კი შიმშილისა და წამების შედეგად, ნორმალური ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაქციები. ტოტალიტარული რეჟიმების შესაქმნელად აუცილებელია რამდენიმე პირობა:

1. „მასების" არსებობა როგორც „ნეიტრალური, პოლიტიკურად გულგრილი ადამიანების დიდი რაოდენობისა", რომელთა გაერთიანება საერთო ინტერესზე დაფუძნებულ რომელიმე ორგანიზაციაში (პარტიები, პროფკავშირები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ა.შ.) ვერ მოხერხდება უბრალოდ მისი მრავალრიცხოვნების, ან გულგრილობის, ან ორივე ფაქტორის შეხამების შედეგად. ამ ადამიანებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ პოლიტიკაზე და თითქმის არ მონაწილეობენ არჩევნებში. ასეთი სოციალური პასიურობის გამო ამ ადამიანებზე უარს ამბობენ ტრადიციული პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც მათში ვერ ხედავენ ვერც პოტენციურ წევრებსა და მომხრეებს და ვერც თავიანთი პროპაგანდის ობიექტებს (ამომრჩევლებს). მასები – „ევროპული ერი-სახელმწიფოების სოციალური და პოლიტიკური სტრატიფიკაციის სისტემის" (ე.ი. სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურის) დანგრევის ან მნიშვნელოვანი დასუსტების შედეგია. მის ნგრევას მოსდევს პოლიტიკური წარმომადგენლობის (მათ შორის პარტიულის) მოშლაც. ამის შედეგად ადრე «მთვლემარე უმრავლესობას» მოიცავს „უარყოფითი სოლიდარობა", რომელიც ანტისისტემურ განწყობას კვებავს. ასეთი სიტუაცია მწვავდება შერყევებისა და კრიზისების დროს.

2. ტოტალიტარული მოძრაობების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ასევე მრავალი ადამიანის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ის ყალიბდება „საკუთარი ყოფიერებისადმი ინტერესის დაკარგვიდან", „საკუთარ თავზე უარის თქმიდან, იმ აზრით, რომ არცერთი მათგანი არაფერს ნიშნავს". მის ადგილს იკავებს აზროვნების სტილი „კონტინენტების კატეგორიებით და საუკუნეების შეგრძნებით", სისასტიკე საკუთარი თავისა და გარშემო მყოფებისადმი, „საყოველთაო ზიზღი ჯანსაღი აზრის ყველაზე თვალსაჩინო წესებისადმიც კი".

3. **მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი მასის ნაწილია, ის მაინც იზოლირებულია და იტანჯება „ნორმალური სოციალური ურთიერთობების" ნაკლებობით. ესაა ადამიანთა უკიდურესი ინდივიდუალიზირებულობის**

შედეგი, რასაც ესწრაფვის ნებისმიერი ტოტალიტარული რეჟიმი ან მისი მომამზადებელი დიქტატურა, მაგალითად რეპრესიების გზით. სწორედ ამ პირობების შეხამების შემთხვევაში ჩნდება ტოტალიტარული მოძრაობები როგორც „ატომიზირებული, იზოლირებული ინდივიდების მასობრივი ორგანიზაციები“, რომლის წევრებსაც მოეთხოვებათ ბელადების სრული ერთგულება. ასეთი ერთგულება შესაძლებელია მხოლოდ ძალზედ მარტოსული, შიშის ქვეშ მყოფი (მათ შორის ძალადობის) ადამიანის მხრიდან, მას არ ესაჭიროება არც რთული იდეური კონსტრუქციების მიწოდება, არც პარტიული პროგრამა ტრადიციული აზრით. მას სჭირდება ბელადის იდეა და გლობალური დაპირებები „ნათელი მომავლის“, „მსოფლიო ბატონობის“ და ა.შ. ეს ტოტალიტარული იდეოლოგიის არსს შეადგენს როგორც ადამიანებზე ბატონობის უმნიშვნელოვანესი ხერხისას (სახელმწიფოსთან ერთად, რომელსაც ტერორის ბიუროკრატიზირებული აპარატი გააჩნია). ეს ბუნებრივია, რადგანაც „არ არსებობს პოლიტიკური მიზნები, რაც იქნებოდა მოძრაობის საბოლოო მიზნები“. არენდტი ამტკიცებდა, რომ ტოტალიტარული მოძრაობის კატალიზატორის როლში ნაცისტურ გერმანიაში ანტისემიტიზმი გამოვიდა. (*მაცაბერიძე მ. სალექციო კურსი: პოლიტიკური მეცნიერება – სკოლები და კონცეფციები*).

მოცემული აქტივობები დაგეხმარებათ, მოსწავლეებმა გააანალიზონ განსხვავებული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში პიროვნული თავისუფლების ადგილი. განსხვავებული სასემინარო აქტივობები საშუალებას იძლევა მოარგოთ ისინი განსხვავებულ დროის ლიმიტს.

სასემინარო აქტივობა N1. ილუსტრაციის ანალიზი

აქტივობის ინსტრუქცია:

აჩვენეთ ილუსტრაცია სტუდენტებს. სთხოვეთ უპასუხონ კითხვებს:

- რა იდეაა ასახული მოცემულ ილუსტრაციაზე?
- როგორი ტიპის სახელმწიფოებისათვის არის დამახასიათებელი ილუსტრაციაზე ასახული სცენა?
- დაასახელეთ და ახსენით რისი მეტაფორაა ილუსტრაციაზე გამოსახული საყრდენი ბურჯები?
- ილუსტრაციაზე მოცემული ყველა ელემენტის გათვალისწინებით იმსჯელეთ, რა არის ილუსტრაციის მთავარი სათქმელი?
- რა აკავშირებს მოცემულ ილუსტრაციას და გაკვეთილის თემას? დაასაბუთეთ არგუმენტებით.

(https://abcnews.go.com/Lifestyle/wireStory/exhibit-highlights-cartoonists-focus-amendment-63304611)

სასემინარო აქტივობა N1. ტექსტის ანალიზი

აქტივობის ინსტრუქცია:

წააკითხეთ სტუდენტებს ორივე ტექსტი (შესაძლებელია, მოცულობიდან გამომდინარე „ბალახისფერი კაცი“ მისცეთ წინასწარ, სახლში გასაცნობად). დაყავით მონაწილეები ჯგუფებად. ჯგუფური მუშაობის პროცესში შესაძლებელია მოამზადონ პრეზენტაცია, რომლის აგებაში დაეხმარებათ შემდეგი კითხვები:

- გააანალიზეთ, როგორი რეჟიმია საბჭოთა კავშირი? რა არის მისი მთავარი მახასიათებლები?
- როგორ აღიქმებოდა საბჭოთა კავშირში განსხვავებული აზრი საზოგადოებაში? პოლიტიკურ სისტემაში?
- რატომ არის მნიშვნელოვანი თუნდაც ერთი კაცის წინააღმდეგობა არადემოკრატიულ საზოგადოებაში?
- გააანალიზეთ, როგორი რეჟიმია კარაველებთან, რა არის ამ რეჟიმის მთავარი მახასიათებლები?
- არსებობს თუ არა კარაველებს შორის განსხვავებული აზრი?
- როგორ ხვდებიან კარაველები განსხვავებული აზრის გამოხატვას?
- დაახასიათეთ ბალახისფერი კაცი, რა ვიცით მის შესახებ?
- როგორ ფიქრობთ, რატომ მივიდა ბალახისფერი კაცი ამ მიწაზე?
- გაანალიზეთ როგორია კავშირი პასტერნაკის დევნასა და ბალახისფერ კაცს შორის.

ცენზურა საბჭოთა კავშირში

ყველა განმარტებით ცენზურა ეს არის გასავრცელებლად გამზადებული ინფორმაციის გადასინჯვა სახელმწიფო ორგანოების მიერ. სტუდენტის სახელმძღვანელოში მოცემულია, რომ არადემოკრატიულ და განსაკუთრებით ტოტალიტარულ რეჟიმებში მთელი სიმკაცრით მუშაობს სახელმწიფო მანქანა, რათა მას არ გაეპაროს ოფიციალური თვალსაზრისისგან განსხვავებული ინფორმაცია. ცენზურა ეხება არა მხოლოდ პოლიტიკის სფეროს, არამედ ყველაფერ ლიტერატურის ჩათვლით. საილუსტრაციოდ ბორის პასტერნაკის და მისი ნაწარმოების „ექიმ ჟივაგოს“ შემთხვევა განვიხილოთ.

ცნობილი რუსი პოეტი, მწერალი და მთარგმნელი ბორის პასტერნაკი 1955 წ. ასრულებს მის რომანზე – „ექიმ ჟივაგოზე“ მუშაობას. ნაშრომში აღწერილია საბჭოთა კავშირის რეალური ყოველწლიური ცხოვრება 1903-1914 წწ.-ში, ის კატაკლიზმები, რომლებიც ამ პერიოდს ახლდა თან და როგორ ზეგავლენას ახდენდა რეჟიმის მანკიერებები უბრალო ადამიანების ცხოვრებაზე. რომანი საბჭოთა კავშირში არ გამოაქვეყნეს. პასტერნაკმა რომანის ხელნაწერი გადასცა 1956 წელს საბჭოთა კავშირში ვიზიტად მყოფ იტალიის კომპარტიის წევრ სერჯო დ'ანჯელოს. ამ უკანასკნელმა რომანი 1957 წელს იტალიაში, იტალიურ ენაზე გამოაქვეყნა. საზოგადოების რეაქცია ორგვარი იყო, საბჭოთა კავშირში ამ ფაქტმა ხელისუფლების რისხვა გამოიწვია, ხოლო დასავლეთში ნაშრომს დიდი ოვაციით შეხვდნენ, იმდენად, რომ დიდმა ფრანგმა მწერალმა ალბერტ კამიუმ ნაშრომი ნობელის პრემიაზე წარადგინა. 1958 წელს ბორის პასტერნაკმა ნაშრომისთვის „ექიმი ჟივაგო“ ნობელის პრემია მიიღო, თუმცა საბჭოთა კავშირმა პრემიის მისაღებად არ გაუშვა და მასზე უარი ათქმევინა. ამას თან ახლდა კრიტიკა და მწერლის მოღალატედ მოხსენიება.

მხოლოდ 1987 წელს მოხდა საბჭოთა კავშირში მწერლის რეაბილიტაცია. მწერალი ამას ვერ მოესწრო, იგი 1960 წელს გარდაიცვალა. 1988 წელს მის ვაჟს სტოკჰოლმში გადასცეს მამის კუთვნილი ნობელის პრემია. ამავე წელს, პირველად საბჭოთა კავშირში, გამოიცა რომანი „ექიმი ჟივაგო“.

ბალახისფერი კაცი

„სანამ ბალახისფერი კაცი კარაველებთან მივიდოდა, ორი დღით ადრე ყველაზე კარგი მოქალაქე გააძევეს. ყველაზე პატიოსანი კაცი იყო და გაძევება მიუსაჯეს, წარმოგიდგენია? ასეთი რამეებიც ხდება... აღარ იკითხავ, რატომ აითვალისწუნეს? კარაველებმა ერთხელ დიდ თავშეყრაზე – ნადირობის დასაწყისში აღნიშნეს, რომ იმათი ქალაქი ყველასა სჯობს... იმ კაცმა კი თქვა, რომ ალუბლის ქალაქი უფრო კარგია... ეს მართლაც ასე იყო და მით უფრო აეწვათ კუჭი, მის საწინააღმდეგოდ ამხედრდნენ, ცილი დასწამეს, რომ მას არ უყვარდა თავისი ქალაქი და

ამიტომაც არ იყო მათთან ყოფნის ღირსი, და გაძევება მიუსაჯეს. დიდმა კარაველმა... თოფი შეათამაშა და თქვა: „თუ შენ ახლავე არ დატოვებ ჩვენს საყვარელ ქალაქს, მაშინ მე გესვრი...“

კაცი შეაცქერდა, რამდენჯერმე ნელა, საყვედურით დაიქნია თავი და წავიდა. ეს, რა თქმა უნდა, საბაბი იყო, მიზეზი კი სულ სხვა რამ გახლდათ: კარაველებს არ მოსწონდათ პატიოსანი კაცი. ბევრს კი არაფერს აშავებდა – ვინმე რამე ცუდ საქმეს რომ ჩაიდენდა, პატარა, მცირე საყვედურით შეაცქერდებოდა ხოლმე. ეს იყო და ეს, იმ დღეს კი, ალბათ, ვეღარ მოითმინა და იმიტომაც თქვა, აბა, ყურადღებით თუ მისმენდი, რომელი ქალაქი სჯობსო? – ალუბლის ქალაქი. – ოო, სწორედ ეგრე თქვა, ყოჩაღ. ...რაღა დარჩენოდა, – აიღო და წავიდა.

მესამე დღეს კი, ზუსტად თერთმეტის ნახევარზე, ქალაქს მეორე მხრიდან სწორედ ის ჩვენი ზღაპრის გმირი – ბალახისფერი კაცი მიადგა. ქალაქში როგორ შემოვიდა, არავის დაუნახავს, რადგან კაცები სანადიროდ იყვნენ წასულნი, ქალები კი მორევთან შეკრებილიყვნენ და კამათობდნენ, დიდი კარაველის ცოლს მაღლა აწეული ვარცხნილობა უფრო უხდებოდა თუ მხრებზე დაყრილი თმა. ბალახისფერი კაცი კი აუზთან მივიდა და რამდენიმე პეშვი წყალი დალია. ეტყობოდა, რომ არ სწყუროდა, მაგრამ მაინც სიამოვნებდა ის წყალი. მერე ქალების ხმა მოესმა და იმათკენ გასწია. ფრთხილად მიაბიჯებდა, რომ არ შეენიშნათ, მაგრამ ნაცრისფერი კედლების ფონზე აშკარად გამოირჩეოდა, თავით-ფეხამდე ბალახისფერი იყო, მწვანე შარვლის გარდა, არაფერი ეცვა და, ფეხშიშველი, ფრთხილად მიაბიჯებდა. მორევს რომ მიუახლოვდა, შვებით ამოისუნთქა და ბალახზე გაწვა – ასე ვერავინ შეამჩნევდა. მხოლოდ თვალის გუგები უელავდა. ქალების საუბარს ნაღვლიანად უსმენდა და თან სულ ცოტათი იღიმებოდა, თეთრი კბილები რომ არ გამოსჩენოდა. და უცებ ისეთი რამ მოხდა, ყველა ქალმა გაკვირვებით მიმოიხედა – რაღაცნაირად ისე დაემთხვა, რომ ორიოდ წუთით სროლის ხმა შეწყდა. კარაველების ქალაქში ეს დიდი უცნაური შემთხვევა იყო – იქ ყოველთვის გაისმოდა სროლა – თუ არ ნადირობდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სროლაში, ანდა ისე, უმიზეზოდ ისროდნენ. ღამითაც არ ჰკარგავდნენ დროს – რომელიმე კარაველი შუაღამისას თუ გაიღვიძებდა, იქვე, თავთით მიყუდებულ თოფს ასწევდა და ღია ფანჯარაში გაისროდა – ისე, ტყუილუბრალოდ, მეზობლების გასაგონად. სანამ სხვები გამოეპასუხებოდნენ, ოთხივე ლულას დატენიდა, თავს ბალიშზე დადებდა და მაშინვე იძინებდა და აი სრულიად შემთხვევით, უცებ კარგა ხანს მიყუჩდა სროლის ხმა, გაკვირვებულმა ქალებმა თავი ასწიეს და შველებივით ყნოსავდნენ ჰაერს,

„რატომ არ ისვრიან? – იკითხა დიდი კარაველის ცოლმა, – ნეტავი რაიმე უბედურება ხომ არ მოხდა. ჰა...“ და რამდენიმე ნაბიჯი დაუფიქრებლად გადადგა. შეშფოთებული იყურებოდა ირგვლივ და უცებ, ზედ ცხვირწინ, ბალახისფერი კაცი არ წამოხტა? ...ქალმა იგი

ჯერ მწოლიარე დაინახა, თვალებში შეაცქერდა და მერე, ბუნდოვნად რომ გაარჩია ცხვირი, შუბლი, შიშისაგან უცებ თვალთ დაუბნელდა და ზუსტად ისევე სწრაფად ჩაიკეცა, როგორც ის კაცი წამოხტა. ამასაც კარგა მაგრა შეეშინდა – კლაკნილად გარბოდა, რადგან ქალებსაც დაჰქონდათ მსუბუქი იარაღი, მაგრამ არავის აზრადაც არ მოსვლია სროლა, ისეთი გაკვირვებულები იყვნენ – იმგვარი ცხოველი არსად ენახათ. ამასობაში სროლაც განახლდა, დიდი კარაველის ცოლმა თავი წამოსწია, მიმოიხედა და გაიღიმა, – „გესმით, ისვრიან, – და უცებ გაახსენდა, – ვაი! ის რა იყო, რა?“ ნადირობიდან რომ დაბრუნდნენ და ახალი ამბავი შეიტყვეს, კაცებმა აგდებული ღიმილით შეათვალიერეს აფორიაქებული ცოლები, ცალი ყურით მოუსმინეს და მერე ალმაცერად გახედეს ერთმანეთს, რაც ნიშნავდა: „ყოველი ქალი სულელია.“ მაგრამ მეორე დღეს, ნადირობისას, როცა ბუჩქებში გატრუნული კურდღელი შენიშნა ერთმა კარაველმა, მეორეს იდაყვი გაჰკრა და ჩუმად უთხრა – აი, აქ არის... ჩქარა გატენე... – განზე კი იყურებოდა, მაგრამ უცებ, იქვე, მწვანე კაცი წამოხტა და გაიქცა. მონადირეებმა თოფის გატენაც ვერ მოასწრეს, რაც, უსათუოდ, დიდ გაკვირვებასთან იყო დაკავშირებული... სხვებმა რომ გაიგეს ეს ამბავი, ამაყად გადახედეს ერთმანეთს: „ზოგი მამაკაციც სულელია...“ იმ ორს სახელი გაუტყდა, რადგან მთელი ერთი კვირა არავის უნახავს ბალახისფერი კაცი...

ერთ მშვენიერ დღეს კი, დიდ დღესასწაულზე, როცა კარაველებმა ნაირფრად შეიღებეს სხეული და, შუაღამისას კოცონის პირას ცეკვა და ყვირილი ატეხეს, მათი ყურადღება მიიქცია ერთმა მწვანედ შეღებილმა კაცმა, რომელიც უცნაური აღგზნებით ცეკვავდა და თავდაუზოგავად იგრიხებოდა. ყველა შეჩერდა და გაკვირვებულნი შესცქეროდნენ – არც ერთს არ ეცნაურა. ყველა გახევდა, მხოლოდ ის კაცი ცეკვავდა თვალდახუჭული და, უზომოდ გატაცებულმა მედოლემაც რაღაც იგრძნო იმის დანახვაზე და დაკვრა შეწყვიტა. დოლი მიჩუმდა თუ არა, იმ კაცმა ერთი კი მოავლო ყველას თვალი და უცებ გაიქცა. ყველა მამაკაცი იქ იყო, კოცონთან, ასე რომ, ვერავინ გაბედავდა იმის თქმას, რომ „ყველა კარაველი სულელია...“ ბრაზისაგან ვერაფერი ამოღერღეს, დიდმა კარაველმა კი სიმწრით მხარზე იკბინა. იმ ღამით სროლა არ შეწყვეტილა, ისე იყვნენ განრისხებულნი....

მეორე დღეს კი დიდი კრება მოიწვიეს. რაც კი დოლი იყო, ყველა ერთად აგუგუნდა, ხალხი მაშინვე შეიკრიბა, დოლები მაინც კარგა ხანს გუგუნებდნენ, დიდი კარაველი ხალხის წინ, კასრზე იდგა, განრისხებულს, ჩანაცრისფერებული ძარღვი მოუჩანდა ყელსა და შუბლზე და მძიმედ სუნთქავდა. ყველანი გაცოფებულნი იყვნენ, თოფს მაგრად უჭერდნენ თითებს, მეორე ხელს კი მკერდზე იბაგუნებდნენ. მერე ორმა შიკრიკმა მოიყვანა ბრძენი კარაველი, რომელიც ჭკუითა და საზრიანობით იყო განთქმული და ხალხის წინ დააყენა. ბრძენი კარაველი ხალხის წინაშე წარდგა და ისეთი რამ სიტყვა თქვა, თითქოს

ყოველი მათგანისათვის სილა გაეწნას: – ერთმა ბალახისფერმა კაცმა ასეთ დღეში ჩაგაგდოთ, ნეტავ, რა გეშველებოდათ, რომ მოსულიყო ორი ბალახისფერი კაცი? დიდმა კარაველმა კბილები გაახრჭიალა და თქვა: – სანამ არ მოვკლავ, ცოლს არ გავეკარები. სულ ყველამ დაიჯერა მისი აღთქმა, მაგრამ დიდმა კარაველმა მაინცა ბრძანა კოშკის აგება; შიგ დაამწყვდიეს ქალი. ის ბალახისფერი კაცი კი ამ დროს ნაყოფს აგროვებდა ტყეში. კაკალი დაბერტყა და საიმედო ადგილას გადამალა. კარგად იცოდა, რაც მოელოდა, თუკი შენიშნავდნენ. ისიც იცოდა, ადრე თუ გვიან ნაღდად რომ მოკლავდნენ და მაინც არ მიდიოდა.

ყველაფერზე მეტად წვიმისა ეშინოდა – დიდ ფუღუროში შეძვრებოდა ხოლმე და გახევდებოდა, წყვილად უელავდა თვალი. დარი თუ იყო, მთაზე ადიოდა და იქიდან დასცქეროდა ქალაქს. იგი უყურებდა კარაველთა ფუსფუსს დღესასწაულების დროს, აინტერესებდა, პირველი ვინ გამოვიდოდა სახლიდან გამთენიისას, საღამოობით ფანჯრებში მკრთალად მოციაგე სინათლეებს შესცქეროდა და ასე იწვა, გახევებული....

კარაველები....დღედაღამ ტყეში დადიოდნენ და ეძებდნენ...უცებ ხიდან ბალახისფერი კაცი ჩამოხტა. მუხლამდე დაფენილ ყვითელ ფოთლებში გარბოდა და მიზანში მშვენიერი ამოსაღები იყო. როგორ გგონია, დომენიკო, მოარტყამდნენ?

– რა ვიცი... მოარტყეს?

– კი, დიდმა კარაველმა კარგად იცოდა თავისი საქმე.

– აბა, თუ მიხვდები – ვინ იყო ის ბალახისფერი კაცი?

– რა ვიცი, – გაიკვირვა დომენიკომ, – საიდან უნდა ვიცოდე...

– როგორ თუ საიდან... – იწყინა ალექსანდრომ, – მაგას ვერ უნდა მიხვდე?

– არა, მაინც როგორ უნდა მივხვდე! – იწყინა დომენიკომაც და შეაცქერდა. ალექსანდრო ბრაზნარევი მუდარით უყურებდა, დომენიკოს კი ახლაღა მოესმა, როგორ ხმაურობდა ქოლგებზე წვიმა. მერე ალექსანდრომ გადაწყვიტა, აეხსნა:

– რაც გიამბე, მართალია, ზღაპარია, მაგრამ კარგად დაფიქრდი, განა შეიძლება არსებობდეს ნამდვილად ბალახისფერი კაცი...

ა? ა?... სხეული უნდა შეე... შეეღე... შეეღება, არა?

– აბა, ახლა კარგად დაუკვირდი, ვის დასჭირდებოდა ქალაქში ასე მალულად შემოსვლა...

ა? ჰა? – ერთხანს შეიცადა, – აბა, პირველ ასოს გეტყვი და მაშინაც თუ ვერ მიხვდები, სუულ დამეკარგება შენზე წარმოდგენა, – და საზეიმოდ გამოაცხადა – „პ!“ – პ? – დაფიქრდა დომენიკო, – პ... – ჰო, – შეაცქერდა დაინტერესებული ალექსანდრო, – ეჰ, რაც არის, არის – „პა?“

– პა?.. პატარა? – ფიი, შენ რა გითხარი... პატიოსანი კაცი იყო, ყმაწვილო, პატიოსანი, აიი, რომ გააგდეს, ის... ალუბლის ქალაქს ისევ თავისი ოხერი ქალაქი ერჩია... “ *(დოჩანაშვილი გ. 2018).*

დამატებითი ლიტერატურა:

1. ჟორჟოლიანი გ. ბერეკაშვილი თ. მუსხელიშვილი მ. (2001). *დემოკ-რატიზაცია*. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“.
2. ბიჭაშვილი მ. (2001). *ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში.* ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“.
3. გოგატიშვილი მ. (2003). *ლექციები პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში.* ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“.

თავი 5. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა

სამოქალაქო ჩართულობის ერთ-ერთი მთავარი სახე ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში ჩართულობა და ინიციატივების გამოჩენაა. აღსანიშნავია სათემო განხილვა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მოხდეს ადგილზე განსახორციელებელი ინიციატივების განხილვა. მისი მნიშვნელობის ჩვენება, ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა. საქართველოში ასეთი განხილვის მაგალითს დასახლების საერთო კრება წარმოადგენს, რომლის მოდელირების ორგანიზება საგაკვეთილო პროცესშია შესაძლებელი.

დასახლების საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკის შემოღება 2009 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ამოქმედებასთან არის დაკავშირებული. ამ პროგრამით სოფლისთვის გამოყოფილი თანხის „გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრა ხდება შესაბამის სოფლის მოსახლეობასთან მხოლოდ წინასწარი კონსულტაციის შემდეგ. წინასწარი კონსულტაციის გამართვას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – რწმუნებული, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ატარებს მოსახლეობის გამოკითხვას, ორგანიზებას უწევს სოფლის კრების მოწვევასა და გამართვას, აწყობს საჯარო განხილვებს და მოსახლეობასთან ათანხმებს პროგრამით სოფლისათვის გამოყოფილი თანხის გამოყენების მიზნობრიობას“. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამით სოფლებში საერთო კრებების ჩატარების პრაქტიკაში ბევრი ხარვეზი იყო და აღინიშნებოდა მოხელეთა მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენისა და მანიპულირების შემთხვევები, ადგილებზე სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურების კვალობაზე თავად ფორმა მისაღები აღმოჩნდა მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის და საკრებულოთა უმრავლესობის რეგლამენტებში აისახა.

2015 წლის ივლისიდან გადაწყვეტილების მიღებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ეს ფორმა, რომელიც ახლოს დგას პირდაპირი დემოკრატიის ტრადიციულ მექანიზმთან, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით ჩართულობის მნიშვნელოვან მექანიზმად დაკანონდა.

საერთო კრება არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, მათ გადაწყვეტასა და მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე მათი ინიცირების პროცესებში მოქალაქეთა ქმედით ჩართულობას. კანონის შესაბამისად, საერთო კრების წევრად მიჩნეულია დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი, თუმცა, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის უფლება აქვთ აგრეთვე დასახლების ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეებს და ამ დასახლებაში მცხოვრებ სხვა სრულწლოვან პირებსაც. (*მოქალაქე. NAEC*).

სასემინარო აქტივობა: დასახლების საერთო კრების მოდელირება

ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება გარდამავალი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. ეს პროცესი ერთი მხრივ მოითხოვს საზოგადოების ინფორმირებულობას თავისი უფლებების და პასუხისმგებლობის შესახებ, ამავე დროს მოითხოვს საკანონმდებლო გარანტიებს, რათა მათ მიეცეთ ამ უფლების რეალიზების საშუალება. ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მე-3 მუხლის თანახმად, დემოკრატიული გზით არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არსებობა არ გამორიცხავს კანონით დაშვებული თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა პირდაპირ მონაწილეობას. ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობის ფორმებია: ადგილობრივი რეფერენდუმი, მოსახლეობის საერთო კრება, პეტიცია და საჯარო მოსმენა.

მოსახლეობის საერთო კრება პირდაპირი დემოკრატიის ერთ-ერთ ყველაზე ხელმისაწვდომ და მასობრივ ფორმას წარმოადგენს. მოქალაქეთათვის საკითხების კოლექტიურად გარჩევისა და გადაწყვეტილებების მიღების საშუალების უზრუნველყოფა მათი ინიციატივითა და აქტივობის მეშვეობით, რომელიც გამოიხატება შეკითხვებით, გამოსვლებით, კენჭისყრაში მონაწილეობით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში.

ევროსაბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტების (რეზოლუცია #326.2011, რეკომენდაცია #307.2011) თანახმად, ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში გამოიყენება მოსახლეობის საერთო კრების ორი ფორმა: მოქალაქეთა შეკრება და სახალხო კრება. თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობის ორივე ფორმა გამოიყენება მცირე ზომის ტერიტორიულ ერთეულებში (ადგილობრივი თვითმმართველობის საბაზო დონეზე) იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც ეხებათ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები თითოეული ადამიანის ინტერესებს. (*საქართველოს პარლამენტი. 2015*).

დასახლების საერთო კრების სტრუქტურა და აღწერა

საქართველოს ყველა დასახლებაში მოქალაქეებს შეუძლიათ შექმნან დასახლების საერთო კრება, რომელსაც შეუძლია განიხილოს ადგილობრივი არსებული მნიშვნელოვანი საკითხები. საერთო კრების წევრი შეიძლება იყოს დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი. კრებაში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება აქვს ამ დასახლებაში უძრავი ქონების მფლობელს ან ფაქტობრივად მცხოვრებს.

მუნიციპალიტეტში საერთო კრებების რაოდენობა დასახლებაში, სადაც რეგისტრირებულია:

- 500-მდე ამომრჩეველი – იქმნება ერთი საერთო კრება;
- 500-2000 ამომრჩეველი – იქმნება ერთი საერთო კრება, რომელიც იყოფა უბნის კრებებად;
- 2000 ამომრჩეველი – შეიძლება შეიქმნას რამდენიმე საერთო კრება.

დასახლების საერთო კრების პერიოდულობა

თუ დასახლებაში ერთხელ მაინც ჩატარდა საერთო კრება, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია თქვენს დასახლებულ პუნქტში წელიწადში 2-ჯერ მაინც გამართოს საერთო კრება, ჩაგაბაროთ საქმიანობის ანგარიში და წინასწარ შეგითანხმოთ თქვენს დასახლებულ პუნქტში განსახორციელებელი პროექტები და პროგრამები.

დასახლების საერთო კრების უფლებამოსილება

საერთო კრების უფლებამოსილებას შესაძლებელია განეკუთვნებოდეს:

- დასახლებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხების განხილვა, დასახლებაში განსახორციელებელი, მიმდინარე და განხორციელებული პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის შესაბამისი წინადადებებისა და მოსაზრებების წარდგენა;
- ორგანიზება გაუწიოს დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში მოსახლეობის ჩართვას;
- მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის წარდგენის შესახებ;
- გამგებლის ინიციატივით განიხილოს დასახლების საზღვრების დადგენისა და შეცვლის საკითხები და მოამზადოს შესაბამისი წინადადებები;
- მუნიციპალიტეტის წარდგინებით განიხილოს დასახლების ტერიტორიაზე არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანის საკითხი და მუნიციპალიტეტს წარუდგინოს საკუთარი შენიშვნები;
- განიხილოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრებაზე ინიცირებული საკითხი;
- უფლებამოსილების ფარგლებში დავალებები მისცეს საერთო კრების რჩეულს.

დასახლების საერთო კრების გამართვა

საერთო კრებას შეუძლია საკუთარი შემადგენლობიდან აირჩიოს კრების რჩეული, რომლის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება მომდევ-

ნო საერთო შეკრებამდე ვადით. მისი უფლებამოსილების გაგრძელება შესაძლებელია ზედიზედ მხოლოდ 5-ჯერ. რჩეული:

- უძღვება საერთო კრებას;
- უზრუნველყოფს კრების გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტისათვის წარდგენას;
- ასრულებს საერთო კრების ცალკეულ დავალებებს;
- რჩეულის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კრების წევრთა არანაკლებ 5%-ს.

საერთო კრების მოწვევა შეუძლია:

- დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ს;
- მუნიციპალიტეტის მერს – საკუთარი ინიციატივით ან საკრებულოს შუამდგომლობით;
- საერთო კრების რჩეულს.

დასახლების საერთო კრების ჩატარების ორგანიზება

1. შექმენით არანაკლებ სამი ადამიანისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი და განსაზღვრეთ თქვენს დასახლებულ პუნქტში ყველაზე მწვავე ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემები;

2. საერთო კრების ორგანიზებისთვის მუნიციპალიტეტში უნდა დაარეგისტრიროთ შემდეგი დოკუმენტაცია;

- განცხადება, რომელშიც მიეთითება საერთო კრების ჩატარების სურვილი, დრო და ადგილი;
- საინიციატივო ჯგუფის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
- კრების დღის წესრიგი, რომელშიც განსახილველი საკითხები იქნება ჩამოთვლილი.

რეგისტრაციის ცნობის მიღებიდან 1 თვეში უნდა შეაგროვოთ თქვენს დასახლებულ პუნქტში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 5%-ის ხელმოწერები.

3. მუნიციპალიტეტიდან დასტურის მიღების შემდეგ თქვენ დასახლებაში გაავრცელეთ ინფორმაცია საერთო კრების ჩატარების შესახებ. მერია ვალდებულია საინიციატივო ჯგუფს დაეხმაროს კრების შესახებ ინფორმაციის გავრცელების, კრების ორგანიზებისა და წარმართვის პროცესში.

გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭიროა შეიკრიბოს დასახლებულ პუნქტში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მინიმუმ 20%. საერთო კრების მუშაობაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქალთა და მამაკაცთა მეტ-ნაკლებად თანაბარი მონაწილეობა.

დასახლების საერთო კრების ოქმის ნიმუში

საერთო კრების გამართვის ადგილი და თარიღი:
ქვემო მაჩხაანის კულტურის სახლი, 14.05.2017

2017 წლის 14 მაისს სოფელ ქვემო მაჩხაანში გაიმართა საერთო კრება. აღნიშნულ დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა (საერთო კრების წევრთა) საერთო რაოდენობა შეადგენს 609 ამომრჩეველს. კრებას ესწრება საერთო კრების წევრთა 21%.

საერთო კრების თავმჯდომარედ არჩეულია გ.ა. პ/ნ.....

საერთო კრების მდივნად არჩეულია დ.მ. პ/ნ....

დღის წესრიგი:

- სოფლიდან ნაგვის გატანა;
- აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად პეტიციის მომზადება და საკრებულოში რეგისტრაცია.

საკითხის ინიციატორი: (სახელი, გვარი, პ/ნ. სტატუსი). გ.ა. პ/ნ... კრების თავმჯდომარე.

საკითხის ინიციატორმა საერთო კრებას შეახსენა, რომ სოფელ ქვემო მაჩხაანში სამი თვითნებურად შექმნილი ნაგავსაყრელია. მოსახლეობას ნარჩენები სწორედ ამ ნაგავსაყრელზე გააქვს, ეს კი თავის მხრივ განაპირობებს სოფელში ანტისანიტარიას და საფრთხეს უქმნის როგორც გარემოს ასევე, სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

სოფლისთვის უმნიშვნელოვანესია ამ პრობლემის მოგვარება და შემდგომი პრევენცია. ამისთვის საჭიროა:

არსებული თვითნებური ნაგავსაყრელების დასუფთავება;

სოფლის ტერიტორიაზე და ამჟამად არსებულ ნაგავსაყრელებთან ურნების განთავსება (სულ 20 ურნა);

სოფლის ტერიტორიაზე აბრების განთავსება, რომელიც მოსახლეობას მოუწოდებს სოფელში სისუფთავის შენარჩუნებისაკენ.

რადგანაც ამ პროცესში მოსახლეობის როლი უმნიშვნელოვანესია, გამოითქვა აზრი, რომ შეიქმნას მოხალისეების ჯგუფი, სადაც სოფლის მოსახლეობა სურვილის შემთხვევაში გაწევრიანდება და მონაწილეობას მიიღებს ზემოაღნიშნული ნაგავსაყრელების დასუფთავებაში. შედეგად, გაიზრდება მოსახლეობის პასუხისმგებლობა და ცნობიერება ნარჩენების სწორად მართვასთან დაკავშირებით.

საერთო კრებაზე დამსწრე საზოგადოებამ გაიზიარა წარმოდგენილი ინიციატივა და დაეთანხმა საკითხის პრობლემურობას და გადაჭრის აუცილებლობას, ასევე, გამოთქვა სურვილი საჭიროების შემთხვევაში ჩაერთოს პრობლემის მოგვარების პროცესში.

საერთო კრების დამსწრეები დაინტერესდნენ წარმოდგენილი პროექტის დაფინანსების წყაროთი. ინიციატორის მხრიდან აღინიშნა, რომ მოსახლეობის მხარდაჭერის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს საკითხის დაფინანსებას. ამასთანავე ხაზი გაესვა, რომ საჭიროა სოფლის მაცხოვრებლების ცნობიერების ამაღლება და თანამშრომლობა, რათა თავად უზრუნველყონ ნარჩენების ნაგვის ურნებამდე მიტანა.

განხილვის დასრულების შემდეგ გაიმართა კენჭისყრა, რომელიც დასრულდა შედეგით: მომხრე: 133 წევრი მოწინააღმდეგე: 0 თავი შეიკავა: 0 კრების თავმჯდომარე ? ხელმოწერა/ კრების მდივანი ? ხელმოწერა/ ოქმს თან უნდა დაერთოს კრების დამსწრე წევრების დასწრების ფურცელი. (ნიმუში მომზადებულია სიღნაღის მუნიციპალიტეტის დასახლების სხდომის ოქმის საფუძველზე). (*http://signagi.gov.ge/ge*).

აქტივობის ინსტრუქცია:

I ეტაპი: მინი-ლექცია, დასახლების საერთო კრება, როგორც მოქალაქეთა სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმი.

II ეტაპი: სტუდენტებს გააცანით საერთო კრების სტრუქტურა და პროცედურა, ასევე საერთო კრების ოქმის ნიმუში.

III ეტაპი: ჩაატარეთ საერთო კრება (ხელმოწერების წარდგენიდან არაუადრეს 15 დღის ვადაში), განიხილეთ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ აირჩიოთ რჩეული.

IV ეტაპი: საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება გააფორმეთ შესაბამისი ოქმით (კრების წამყვანის და მდივნის ხელმოწერით) და მოამზადეთ მუნიციპალიტეტში წარსადგენად.

დამატებითი ლიტერატურა:

1. ჯიბუტი მ. ზარდიაშვილი დ. ჯიქია დ. (2018). *თვითმმართველობა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის. NALA.*
2. ევროპის საბჭო (2004). *ადგილობრივი დემოკრატიის გზამკვლევი საქართველოსთვის. https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008ec11* (მოძიებულია: 07.03.2021).
3. ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ (1985). *https://smr.gov.ge/uploads/prev/evropuli_q_354b65fe.pdf* (მოძიებულია: 07.03.2021).

თავი 6. არჩევნები და საარჩევნო სისტემები

სასემინარო აქტივობა: არგუმენტირებული მსჯელობა

განსახილველი საკითხი: არჩევნების ეფექტურობისა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის საკითხი.

აქტივობის ინსტრუქცია:

I ეტაპი: დაურიგეთ სტუდენტებს საკითხავი მასალა.

II ეტაპი: დაყავით სტუდენტები ორ ჯგუფად. პირველმა ჯგუფმა მოამზადოს არგუმენტები, თუ რატომ და რა პირობებში შეიძლება ჩაითვალოს არჩევნები ეფექტურ მექანიზმად. მეორე ჯგუფმა მოამზადოს არგუმენტები, თუ რატომ ჩნდება უნდობლობა არჩევნების მიმართ და ჩნდება ბრალდებები მისი არაეფექტურობის შესახებ.

III ეტაპი: ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ სტუდენტები წარმოადგენენ პრეზენტაციებს. განვიხილავთ მათ არგუმენტებს.

შეჯამება: მუშაობის დასრულების შემდეგ ვურიგებთ ჩვენს მიერ მომზადებულ არგუმენტებს (არჩევნების ეფექტურობის ან არაეფექტურობის განმსაზღვრელი არგუმენტები). ვთხოვოთ შეაფასონ, გაიჟღერა თუ არა ამ არგუმენტებმა პრეზენტაციის პროცესში. ეთანხმებიან თუ არა ამ არგუმენტებს, დაასაბუთონ მოსაზრება. როგორ შეიძლება არჩევნებისადმი ნდობის ამაღლება და მის უფრო მეტად ეფექტურ მექანიზმად ქცევა?

საკითხავი მასალა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 1994 წლამდე არსებობდა რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ფორმა აპარტეიდი, რომლის შედეგადაც სამხრეთ აფრიკის მოქალაქეთა უდიდეს ნაწილს აღკვეთილი ჰქონდა სამოქალაქო, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული უფლებები. აპარტეიდის დასრულება შესაძლებელი გახდა 1994 წელს ჩატარებული პირველი საყოველთაო, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების მეშვეობით. მილიონობით ამომრჩეველი მოთმინებით იდგა რიგში საათობით, რათა ხმა მიეცათ თავისუფლებისთვის. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონაცემებით, პოტენციური 20 მილიონი ამომრჩევლიდან ზუსტად 19 726 579 მოქალაქემ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. ერთ-ერთი ადგილი, სადაც ამომრჩეველთა განსაკუთრებულად გრძელი რიგი იდგა იყო საარჩევნო უბანი სოუეტოში, იოჰანესბურგის გარეუბანში, სადაც აპარტეიდის პერიოდში იძულებით ასახლებდნენ შავკანიან აფრიკელებს. სოუეტო 1994 წლამდეც გამოირჩეოდა აპარტეიდისადმი შეუგუებლობით. 1976 წელს სოუეტოს ახალგაზრდობამ დემონსტრაციების გზით გაილაშქრა მჩაგვრელი სისტემის წინააღმდეგ. ისინი აპროტესტებდნენ

მთავრობის პოლიტიკას განათლებასთან დაკავშირებით და მოითხოვდნენ, რომ თეთრკანიანი სამხრეთ აფრიკელების მსგავსად ესარგებლათ განათლების უფლებით. გამოსვლებს პოლიციასთან შეტაკება მოჰყვა და სხვადასხვა წყაროებით 176-დან 700-მდე დემონსტრანტი დაიღუპა, ათასობით მოქალაქე დაიჭრა და ძალიან ბევრი დააპატიმრეს. მკაცრი აპარტეიდის პირობებში ამგვარი გამოსვლები ნამდვილად დიდ გამბედაობას მოითხოვდა. ამ გამოსვლებით ცხადი გახდა, რომ მიუხედავად მჩაგვრელი სისტემისა, მოსახლეობა და განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, არ იყვნენ ნიჰილიზმით შეპყრობილები, ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ მებრძოლ სულისკვეთებას და სურდათ საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა. მშვიდობიანი გზით საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება კი მათ 1994 წლის არჩევნებში მიეცათ. სწორედ ამიტომ, ამომრჩეველთა აქტივობის მაღალი დონე გასაკვირი სულაც არ იყო. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქეებმა სამოქალაქო თვითშეგნების კარგი მაგალითი უჩვენეს მსოფლიოს. ამომრჩეველთა მობილიზება არ მომხდარა იძულებით და მოქალაქეები საკუთარი ნებით, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებისთვის იდგნენ რიგში. ისინი აცნობიერებდნენ, რომ არჩევნების დღე იყო ერთ-ერთი ყველაზე გადამწყვეტი დღე მათი ქვეყნის ისტორიაში. დღე, როდესაც საშუალება მიეცათ დაესრულებინათ აპარტეიდი და ესარგებლათ ყველა იმ უფლებით, რა უფლებებითაც სარგებლობდა ქვეყნის თეთრკანიანი მოსახლეობა. რეპრესიულ სისტემაში მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრების შემდგომ, ეს იყო იმედი, რომ არჩევნების გზით დასრულდებოდა მათ მიმართ სასტიკი მოპყრობა, დამცირება და რაღაც აუცილებლად შეიცვლებოდა უკეთესობისკენ. და მართლაც, ამომრჩევლის ასეთი აქტივობა ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა და 1994 წლის არჩევნების შედეგად ნელსონ მანდელა გახდა პრეზიდენტი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ, რეალურად, ამის შემდეგ დაიწყო მსოფლიო საზოგადოებასთან რეინტეგრაცია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1994 წელს ამომრჩეველთა უზომოდ მაღალი აქტივობა აპარტეიდის დასრულების სურვილმა განაპირობა და ეს აქტიურობა სპონტანური და ერთჯერადი იყო, მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ აპარტეიდის დასრულებიდან 20 წლის შემდეგაც კი 2014 წელს საარჩევნო უბნებთან ისევ იდგა უზარმაზარი რიგები და ამომრჩევლები მოთმინებით იცდიდნენ, რათა არჩევნების გზით ებრძოლათ ახლა უკვე არა აპარტეიდის დასრულებისთვის, არამედ ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად. სოუეტოსა და ზოგადად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ძალიან დიდია პროგრესის წყურვილი და გრძელი რიგი საარჩევნო უბნებთან ცვლილებების ერთ-ერთი გზაა.

მაგრამ ყველგან ასე არ ხდება, კვლევების თანახმად განვითარებულ დემოკრატიებში ბოლო 40 წლის მანძილზე ინტერესი არჩევნებში მონაწილეობის მიმართ კლებულობს. ეს ტენდენცია ლოკალური არ არის, ის ყველა კონტინენტზეა და შესამჩნევია ისეთ ქვეყნებში როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, ია-

პონია თუ ლათინური ამერიკის ქვეყნები. მკვლევართა დებატებს კიდევ უფრო აცხოველებს ის ფაქტი, რომ არჩევნებში მონაწილეობის კვალდაკვალ შეიმჩნევა კლება თანამონაწილეობის ისეთი ფორმების მიმართ, როგორებიცაა დაკვირვება არჩევნებზე, პარტიებში მოხალისეობა, სათემო კრებებზე დასწრება და ა.შ. მაშინ როდესაც მონაწილეობის ზოგიერთი ფორმა, როგორიცაა მაგალითად ბოიკოტები, დემონსტრაციები და ა.შ. გაიზარდა.

არჩევნებში მონაწილეობის შემცირების ამხსნელ ფაქტორებად მკვლევრები ბევრს გამოყოფენ. როდესაც მოქალაქეებს ეკითხებოდნენ თუ რატომ არ მივიდნენ არჩევნებზე დიდი ნაწილი უდროობას იმიზეზებდა. თუმცა, კვლევები უჩვენებს, რომ თავისუფალი დროის მოცულობა არ არის შემცირებული.

გეოგრაფიული მობილობა არჩევნებში მონაწილეობის ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია. როდესაც ადამიანები მოძრაობენ ქვეყნის რეგიონებს შორის და თავიანთი რეგისტრაციის ადგილიდან შორს იმყოფებიან, რაც ამცირებს არჩევნებზე მისვლის შესაძლებლობას. არჩევნებში მონაწილეობის შემცირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ასევე სახელდება 1960-იანი წლებიდან მოყოლებული მმართველობითი სისტემების მიმართ ნდობის შემცირება. თუმცა მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი მკვლევარი რობერტ პატნემი (1941. ამერიკელი პოლიტიკის მეცნიერი) საზოგადოების ჩართულობის შემამცირებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ტელევიზორის გავრცელებას თვლის, რადგანაც მან ადამიანებს თავისუფალი დროის გახარჯვის საშუალება მისცა, შესაბამისად, ამან სახლიდან გასვლის სურვილი შეამცირა.



Source: Voter Turnout Database, www.idea.int/data-tools/data/voter-turnout

არჩევნების ეფექტურობის ან არაეფექტურობის განმსაზღვრელი არგუმენტები

Contr: არჩევნების არაეფექტურობის პირობები: სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება არჩევნების, როგორც პოლიტიკური მონაწილეობის რიტუალის შესახებ, რომელიც გადამწყვეტ ზეგავლენას არ ახდენს სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებზე. არჩევნები მხოლოდ მოქალაქეთა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ილუზიას ქმნიან. ასეთ მოსაზრებას რამდენიმე ძირითადი არგუმენტი აქვს: არჩევით თანამდებობებზე, უმრავლეს შემთხვევაში, კანდიდატურას ძირითადად პოლიტიკური პარტიები წამოაყენებენ და ამის გამო ამომრჩეველთა არჩევანი შეზღუდულია – მათ შეუძლიათ აირჩიონ მხოლოდ იმ კანდიდატებიდან ვისაც პარტიები წარადგენენ. კრიტიკოსთა აზრით თვით თავისუფალი, კონკურენტული არჩევნებიც კი არ არის. ამის დასასაბუთებლად ოთხი ძირითადი არგუმენტი მოჰყავთ:

ადმინისტრაციული არგუმენტი: რა როლი შეუძლია შეასრულოს არჩევნებმა, როდესაც გადაწყვეტილებათა უმრავლესობას არაარჩეული ოფიციალური პირები, ადმინისტრატორები, სპეციალისტები, ბიუროკრატები ღებულობენ. რასაკვირველია, ადმინისტრაციული ორგანოები აღჭურვილნი არიან მხოლოდ იმ უფლებით, რომ უზრუნველყონ საკანონმდებლო ორგანოს მიერ საჯაროდ გამოცხადებული კანონების სისრულეში მოყვანა, მაგრამ პრაქტიკულად, ადმინისტრაციული ორგანოები ყოველდღიურად იღებენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ეს არგუმენტი ხაზს უსვამს ადმინისტრაციული ორგანოების ავტონომიურობის ანგარიშგასაწევ ხარისხს და ამ პროცესში მოქალაქეთა მიერ არჩეულ წარმომადგენლებს არარეგულარული მონიტორინგის ფუნქციას უტოვებს.

ელიტარული არგუმენტი: რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არჩევნებს, როდესაც არჩეული კანდიდატები დამოკიდებულნი არიან ჯგუფებზე და მათ ზემოქმედებას განიცდიან ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების დროს? ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ ეს ელიტარული წრეები დიდ თანხებს ახმარენ საარჩევნო კამპანიების წარმოებას და მათი გავლენის ქვეშ იმყოფება მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური სფეროები?

დაინტერესებული ჯგუფების არგუმენტი: რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არჩევნებს, თუ იგი არის არა ამომრჩეველთა მთელი მასის, არამედ დაინტერესებულ პირთა კარგად ორგანიზებული ჯგუფების განსაკუთრებული ინტერესების გამომხატველი, რომლებიც ზემოქმედებენ თანამდებობის პირების მიერ გადაწყვეტილებათა მიღებაზე?

სახელმწიფოს მართვის არგუმენტი: რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არჩევნებს, თუ დღიესათვის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღება შედის გამოცდილი სპეციალისტების (იურისტები, ეკონომისტები და ა.შ.) და არა პოლიტიკოსების იურისდიქციაში.

PRO: არჩევნების ეფექტიანობის პირობები: მიუხედავად სკეპტიკოსთა არგუმენტებისა, მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ დემოკრატიულ სისტემებში არჩევნები ხელისუფლების განხორციელების მექანიზმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. არჩევნებს, როგორც ხელისუფლების ინსტიტუტს, განსხვავებული ზემოქმედების მოხდენა შეუძლია როგორც საზოგადოებაზე, ისე საზოგადოების შემდგომ განვითარებაზე, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ არჩევნები არ აღმოჩნდეს არსებული სახელისუფლებო სისტემის რეფორმირების ლეგიტიმური გზა. კრიზისის პერიოდებში საზოგადოებაში გარკვეული ძალების მხრივ ჩნდება ხელისუფლების დაპყრობის სურვილიც. არჩევნების როლი პოლიტიკურ პროცესში არ არის ერთგვაროვანი და ის დამოკიდებულია არსებულ პოლიტიკურ სისტემაზე და პოლიტიკური რეჟიმის ტიპზე. მაგალითად, დემოკრატიულ სისტემებში არჩევნებს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ პოლიტიკური სისტემის სტაბილური ფუნქციონირებისათვის, მაშინ როდესაც არადემოკრატიულ ქვეყნებში არჩევნები პოლიტიკურ პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს. არჩევების ეფექტურობა დამოკიდებულია მთელ რიგ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ და სხვა ფაქტორებზე.

ეკონომიკური ფაქტორები: არჩევნების ეფექტურობის საფუძველია განვითარებული საკუთრების და საბაზრო ურთიერთობების არსებობა. ადამიანებს, რომლებიც ფლობენ საკუთრებას და ეკონომიკურ თავისუფლებას, აქვთ დასაცავი და დასაკარგიც. ამიტომ მათთვის დემოკრატიული არჩევნები აუცილებელი პირობაა თავიანთი ეკონომიკური ინტერესების გამოსახატავად და დასაცავად. ბაზრის განუვითარებლობა, სახელმწიფო საკუთრების მონოპოლია კი პირიქით – დემოკრატიას კი არა, ავტორიტარულ რეჟიმს მოითხოვს და მას ამრჩევები – ნამდვილი დანიშნულებით არ სჭირდება.

სოციალურ ფაქტორებს შორის გამოსაყოფია მძლავრი, ეკონომიკურად შეძლებული „საშუალო კლასის“ არსებობა, რომელიც დაინტერესებულია საზოგადოების სტაბილურობით. ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია მოქალაქეთა მყარი ბინადრობა, ე.ი. მოსახლეობის მუდმივი ცხოვრება გარკვეულ ტერიტორიაზე, ოჯახური ურთიერთობების სიმტკიცე, საკუთარი საქმის, შრომის პატივისცემა და ა.შ.

სულიერ ფაქტორებს წარმოადგენს მოქალაქეთა შორის ისტორიულ -ეროვნული ერთიანობის შეგრძნება, რასაც პატრიოტიზმის გრძნობის განვითარებისკენ მივყავართ. ის ასევე განაპირობებს პოლიტიკური კულტურის მახასიათებლებს, ხალხის დემოკრატიული გამოცდილების ტრადიციებს: კანონის პატივისცემას, მოქალაქეობრივი, სახელმწიფო პასუხისმგებლობის გრძნობას და ა.შ.

ფსიქოლოგიური ფაქტორები მოიცავენ კოლექტივიზმის გრძნობას, საზოგადოების საქმეებში თანამონაწილეობის შეგრძნებას, ცხოვრების უკეთესი პირობებისათვის ბრძოლისადმი მზადყოფნას, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის არსებობას.

პოლიტიკური ფაქტორები: დემოკრატიული არჩევნებისათვის აუცილებელ პოლიტიკურ პირობებს შორის გამოიყოფა სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, მისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტებით, განვითარებული მრავალპარტიულობა, მდგრადი საკანონმდებლო ბაზა, ისტორიული ტრადიციები. (*მაცაბერიძე მ. 2003*).

დამატებითი ლიტერატურა:

1. საქართველოს პარლამენტი. კვლევითი დეპარტამენტი. *საარჩევნო სისტემები. http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf* (მოძიებულია: 01.03.2021).
2. ლოლაძე ბ. (2019). *გერმანული საარჩევნო მოდელი და მისი იმპლემენტაცია საქართველოში*. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“. *https://osgf.ge/publication/germanuli-saarchevno-modeli-da-misi-saqartveloshi-implementacia/* (მოძიებულია: 07.03.2021).

თავი 7. სამოქალაქო საზოგადოება

მოქალაქეთა თანამონაწილეობის ფორმების განხილვისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობა მათი კოლექტიური თხოვნის ხელისუფლების ორგანოებისათვის მიწოდებაა, რასაც ჩვენ პეტიციას ვუწოდებთ. საქართველოში პეტიციით მიმართვის უფლება კანონით გარანტირებულია და წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს მოქალაქეებისათვის, რომელთა გამოყენებას შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს მოქალაქეებს თვითორგანიზების და მიზნის მიღწევის პროცესში.

პეტიცია უნდა შეიცავდეს განცხადების ტექსტს, პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არაუმეტეს სამი პირისა) მონაცემებს (სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს), პეტიციის წარდგენის თარიღს და თან უნდა ერთვოდეს პეტიციის წარმდგენი რეგისტრირებული ამომრჩევლების ხელმოწერებიანი სია (გარდა იმ შემთხვევისა, როცა პეტიცია დასახლების საერთო კრებამ მიიღო და მასთან საკრებულოში რჩეული წარადგენს). განცხადებას ასევე უნდა ახლდეს ნორმატიული აქტის პროექტი, ან მისი ძირითადი პრინციპები (კონკრეტული წინადადებები), ან პრობლემის გადაწყვეტის თაობაზე კონკრეტულად ჩამოყალიბებული მოთხოვნა, შესაბამისი დასაბუთებით. პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერას.

საქართველოში პეტიციის მომზადების რამდენიმე საშუალება არსებობს. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. ელექტრონული პორტალი – https://ichange.gov.ge

მისი მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ საქართველოს მთავრობის კომპეტენციის ფარგლებს მიკუთვნებულ საკითხებზე ელექტრონული პეტიციების წარდგენა და ონლაინ ხელმოწერების შეგროვება. თუ პეტიცია 30 კალენდარული დღის განმავლობაში მინიმუმ 10,000 ხელმოწერას მოაგროვებს, იგი უნდა განიხილოს მთავრობის ადმინისტრაციაში შექმნილმა კომისიამ. კომისიის ინიციატივით ელექტრონული პეტიცია შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოს მთავრობის სხდომაზეც.

საქართველოს მთავრობა ვალდებულია 3 კალენდარული თვის ვადაში უპასუხოს პეტიციის ავტორს. დადგენილების მიხედვით, „ოფიციალური წერილობითი პასუხი მკაფიოდ, დასაბუთებული ახსნა-განმარტებით უნდა გამოხატავდეს საქართველოს მთავრობის პოზიციას საკითხთან დაკავშირებით.“ პასუხი უნდა განთავსდეს ამავე ელექტრონულ პორტალზეც (*www.idfi.ge*).

საქართველოს მთავრობის ელექტრონული პეტიციების პორტალის (იხ. პეტიცია https://ichange.gov.ge/12340) ამოქმედებიდან ორი წლის შემდეგ პირველად მოხერხდა საკმარისი ხელმოწერის მოგროვება, რაც საქართველოს მთავრობას ვალდებულს ხდის განიხილოს და უპასუხოს პეტიციის მხარდამჭერებს. წარმატებული პეტიცია სახელწოდებით „კამპანია აზარტული თამაშების წინააღმდეგ“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრ, ანა დოლიძეს ეკუთვნის, რომელიც 2019 წლის 4 ნოემბერს დარეგისტრირდა. ინიციატივამ 10,000 ხელმოწერის მოგროვება 30-დღიანი ვადის გასვლამდე შეძლო და საერთო ჯამში, 10,182 ხელმოწერით დასრულდა. პეტიციის ავტორები და მხარდამჭერები აზარტულ თამაშებზე რეგულაციების შემოღებასა და მათი ყველა სახის რეკლამის აკრძალვას მოითხოვდნენ. 29 ნოემბერს, პეტიციის მხარდამჭერებმა მთავრობას პეტიციის განხილვისკენ მოუწოდეს, რის პასუხადაც მთავრობის ადმინისტრაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ „პეტიცია გადაეცემა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში არსებულ ექსპერტთა კომისიას დასამუშავებლად და შემდგომი განხილვისთვის მოსამზადებლად.“ *(www.idfi.ge 2019).*

ელექტრონული პეტიციების პორტალით სარგებლობის წესებისა და პირობების შესახებ მთავრობის №245 დადგენილების მიხედვით, თუ პეტიცია 30 კალენდარული დღის განმავლობაში მინიმუმ 10,000 ხელმოწერას მოაგროვებს, მან შემდეგი ეტაპები უნდა გაიაროს:

- პეტიცია უნდა განიხილოს მთავრობის ადმინისტრაციაში შექმნილმა კომისიამ;
- კომისიის ინიციატივით, ელექტრონული პეტიცია შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოს მთავრობის სხდომაზეც; საქართველოს მთავრობა ვალდებულია პეტიციის ავტორს 3 კალენდარული თვის ვადაში უპასუხოს. კერძოდ, ელექტრონული პეტიციის ექსპერტების კომისიამ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის ელექტრონული მმართველობის სამსახურის ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარდაჭერით, ელექტრონულ პეტიციაზე ოფიცია-

ლური წერილობითი პასუხი უნდა მოამზადოს და ელექტრონული პეტიციის პორტალზე გამოსაქვეყნებლად გადასცეს პლატფორმის მოდერატორს. დადგენილების მიხედვით, „ოფიციალური წერილობითი პასუხი მკაფიოდ, დასაბუთებული ახსნა-განმარტებით უნდა გამოხატავდეს საქართველოს მთავრობის პოზიციას საკითხთან დაკავშირებით.“

2017 წლის დეკემბრიდან დღემდე 102-ზე მეტი პეტიცია იძებნება პეტიციების არქივში, დღეისათვის კი 7 ღია პეტიციაა. მიმდინარე პეტიციებიდან ყველაზე მეტი ხელმოწერა (149) რუსთავში ჰაერის დაბინძურების საკითხზე შექმნილ ინიციატივას აქვს. დაარქივებული პეტიციებიდან აზარტული თამაშების შესახებ პეტიციების შემდეგ ყველაზე მეტი მხარდამჭერი (556) ილია ჭავჭავაძის სასამართლო შენობის რეაბილიტაციის მოთხოვნის ინიციატივას ჰქონდა. ვადაგასული პეტიციების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას 100-ზე მეტი ხელმოწერაც კი არ დაუგროვებია.

2. ელექტრონული პეტიციების აპლიკაციები

ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის წახალისების მიზნით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და დონორების მხარდაჭერით მომზადდა ელექტრონული პეტიციების პროგრამა http://petition.lsg.ge/ მუნიციპალიტეტის დასახელება/, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ საკუთარი პეტიციის დარეგისტრირება და ის განსახილველად საკრებულოს გადაეცემა. ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე პეტიციად შეიძლება წარადგინონ:

- საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- საკრებულოს დადგენილების პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;
- მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.

ამასთანავე, პეტიციის წარდგენა შეუძლია მუნიციპატიტეტის ტერიტორიაზე დარეგისტრირებულ მოქალაქეთა 1% (როგორც წესი, პორტალი თავად ანგარიშობს, რამდენია მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა 1%).



პეტიციის ნიმუში

ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კეთილმოწყობისა
და მცირე სკვერის გაკეთების შესახებ
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ შ.თ-ს
მოქალაქე დ.ა.
(მცხოვრები...მობ.: ელ. ფოსტა

პეტიცია ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კეთილმოწყობისა და მცირე სკვერის გაკეთების შესახებ.

ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში, რომელსაც ბათუმი-ახალციხის მაგისტრალი კვეთს მარჯვენა და მარცხენა მხარეს, გზასთან ახლოს განლაგებულია ადმინისტრაციული ერთეულის შენობა-ნაგებობა, სკოლა და ეკლესია. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ინტენსივობით იმატა, როგორც ადგილობრივი და გარე ტურისტების, ასევე მომლოცველების რაოდენობამ.

არასაკმარისი ტერიტორიის გამო ხშირად იქმნება სატრანსპორტო მიმოსვლის შეფერხების და მოქალაქეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე, ვინაიდან ცენტრს არ აქვს საკმარისი ტერიტორია, სადაც იქნება თავშეყრის ადგილი და ასევე მოეწყობა მცირე სარეკრეაციო ზონა. აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ცენტრის კეთილმოწყობით რის შედეგად გაჩნდება ტერიტორია, სადაც მოსახლეობას შეეძლება თავშეყრა და მცირე სარეკრეაციო ზონით სარგებლობა.

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6-ე დადგენილების 117-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩეველი დავით ანანიძე წარმოგიდგენთ პეტიციას წინადადების სახით შემდეგ საკითხზე: ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კეთილმოწყობისა და მცირე სკვერის გაკეთება.

მუნიციპალიტეტის რეაქცია

2019 წლის 25 იანვრის N4 განკარგულებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცნობად მიიღო ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში მოქალაქე დავით ანანიძის პეტიციის შესახებ, რომელიც შეეხებოდა „ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კეთილმოწყობისა და მცირე სკვერის გაკეთებას“.

მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილა მოქალაქე დავით ანანიძის (მცხოვრები დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა N13, ბინა 7) მიერ, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილი ელექტრონული პეტიცია ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კეთილმოწყობისა და მცირე სკვერის გაკეთების თაობაზე და მიიღო გადაწყვეტილება მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე დაიგეგმოს ელექტრონული პეტიციის შესასრულებლად შესაბამისი სამუშაოები, რისთვისაც 2019 წლის 17 იანვარს გამოცხადებულ იქნა ტენდერი (NAT190000941) საჭირო პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესყიდვის მიზნით. სატენდერო პროცედურის დასრულება მოხდება 2019 წლის 25 მაისამდე, რის შემდგომ გაფორმდება ხელშეკრულება გამარჯვებულ პრეტედენტთან და ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში მის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად გამოცხადებული იქნება ტენდერი დაგეგმილი სამუშაოების შესყიდვის მიზნით. სატენდერო პროცედურის დასრულებისათვის საჭირო დროის გათვალისწინებით 2019 წლის მეორე ნახევარში მოხდება სამუშაოების დასრულება და ზვარის თემის ცენტრში აშენებული იქნება ახალი მცირე სკვერი, რომლის შესყიდვა მოხდება ბიუჯეტში პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი ხარჯებიდან. (*ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო*).

შესაძლებელია, თავად **მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე** იყოს განთავსებული პეტიციის გაგზავნის შესაძლებლობა, როგორც ეს მაგალითად ბაღდადის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზეა.



დამატებითი ლიტერატურა:

1. პატნემი რ. (2005). *როგორ ვამუშაოთ დემოკრატია, სამოქალაქო ტრადიციები თანამედროვე გერმანიაში.* ლოგოსპრესი.
2. ლოსაბერიძე დ. (2010). *საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება.* სივიკუსი-სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის ანგარიში. *https://www.cipdd.org/upload/files/sivikusi.pdf* (მოძიებულია: 02.03.2021).
3. მუსხელიშვილი მ. (2006). *სამოქალაქო საზოგადოება. შედარებითი ანალიზი.* სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. *http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=168* (მოძიებულია: 02.03.2021).

თავი 8. მასმედიის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში

სასემინარო აქტივობა: მედია, როგორც „ვოჩდოგი“

სტუდენტის სახელმძღვანელოში განხილულია მედიის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია: იყოს ფხიზლად და აღმოაჩინოს ხელისუფლების გადაცდომის, კორუფციის, და ა.შ. შემთხვევები. მოცემულ ნაწილში გაგიზიარებთ შემთხვევებს, როდესაც მედიამ თავისი, როგორც ე.წ. „ვოჩდოგის“ ფუნქცია სრულფასოვნად შეასრულა. სასემინარო აქტივობის სახით შეგიძლიათ სტუდენტებს შესთავაზოთ ადგილობრივი მედიის მიერ მომზადებული სიუჟეტები, სადაც ისინი ხელისუფლების მონიტორინგს ახორციელებენ.

პანამის დოკუმენტები

პანამის დოკუმენტები ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ჟურნალისტური გამოძიებაა. გამომძიებელმა ჟურნალისტებმა 2.6 ტერაბაიტის მოცულობის 11.5 მილიონი დოკუმენტი შეაგროვეს, რომლებიც მსოფლიოს ყველაზე გავლენიან პირებს: პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებს, ბანკებს, შოუბიზნესსა თუ ცნობილ სპორტსმენებს ეხებოდა. პანამის დოკუმენტებით გამოვლინდა, როგორ იყენებდნენ ისინი ოფშორულ ზონებს ფულის გასათეთრებლად და გადასახადებისგან თავის ასარიდებლად. მასალები 1977 წლიდან 2016 წლამდე კანონდარღვევით შესრულებულ საქმიანობას მოიცავდა.

პანამის დოკუმენტებზე გამომძიებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმი გერმანულ გაზეთ Suddeutsche Zeitung-თან და 100-ზე მეტ მედიაპარტნიორთან ერთად ერთ წელზე მეტ ხანს მუშაობდა. ყველაფერი კი 2014 წელს დაიწყო, როცა მიუნხენში Suddeutsche Zeitung-ის თანამშრომლებს ბასტიან ობერმაიერსა და ფრედერიკ ობერმირს ანონიმური წყარო დაუკავშირდა. წყაროს ინფორმაციით, ის პანამაში დარეგისტრირებული ნაკლებად ცნობილი იურიდიული კომპანიის, Mossack Fonseca-ს შესახებ კონფიდენციალურ დოკუმენტებს ფლობდა.

Mossack Fonseca ანონიმურ ოფშორულ კომპანიებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყიდის. 1970 წელს დაარსებული კომპანიის საშუალებით, პირებს შეუძლიათ აწარმოონ საკუთარი ბიზნეს-მოლაპარაკებები. თან ისე, რომ დაიფაროს კონკრეტული კომპანიის მფლობელი და მისი საკუთრება. მას შემდეგ, რაც Suddeutsche Zeitung-ის ჟურნალისტებმა მასალების მასშტაბი აღმოაჩინეს, ICIJ-ის დაუკავშირდნენ, სადაც უამრავი დოკუმენტის დამუშავებისთვის სპეციალური პლატფორმის შემუშავება დაიწყეს. ორგანიზაციამ შექმნა მძლავრი, დაცული ვებსაიტი, სადაც ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეეძლოთ აეტვირთათ მოკვლეული მასალები და საკუთარი მიგნებები ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ. ჟურნა-

ლისტური გამოძიების შედეგიც შესაბამისი იყო – პანამის დოკუმენტებმა სკანდალი მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამოიწვია. ჟურნალისტურ გამოძიებას კომპლექსური გაშუქებისთვის 2017 წელს პულიტცერის პრიზიც გადაეცა. (*mediacheker.ge 2018*).

სასემინარო აქტივობა: ყალბი ინფორმაციის ამოცნობა

ყალბი ახალი ამბავი (Fake News) პროპაგანდის შემადგენელი ნაწილია და მისი გატარების საჭირო ინსტრუმენტად მიიჩნევა. არ არსებობს ყალბი ახალი ამბის აღიარებული დეფინიცია, მაგრამ მეტად დამკვიდრებული გაგებით იგი არის მასობრივი საინფორმაციო საშუალებით გავრცელებული დეზინფორმაცია/ტყუილი, რომელიც ინფორმაციის წყაროს პოპულარიზაციას ან/და კონკრეტული ჯგუფის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის გატარებას ემსახურება. თუმცა, ყალბი ინფორმაციის მაგალითებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ მათში მოცემული ინფორმაცია ხშირად ცალსახად ტყუილს არ ეფუძნება და მათში სიმართლის ელემენტებიც შეიძლება აღმოვაჩინოთ. სწორედ ამიტომ, ყალბი ამბები არა მხოლოდ აუდიტორიის სიცრუეში შეყვანას, არამედ მათი დაბნევის მიზანსაც შეიძლება ემსახურებოდეს (Factcheck. 2017).

ყალბი ინფორმაცია შეიძლება პირობითად 3 ტიპად დავყოთ:

- გამოგონილი ამბავი – ამბის ფაბრიკაცია, რომელიც არ შეესაბამება რელობას;
- მანიპულაციური შინაარსი – საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით დამახინჯებულია მონაცემები, თვალსაზრისი და ა.შ.;
- სატირა და იუმორი. გამოგონილ ამბავს აუდიტორიას აწვდიან როგორც ნამდვილს. (millab.ge).

კითხვაზე, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ ყალბ ინფორმაციას, პასუხი ერთგვაროვანია: უპირველესად, უნდა მოხდეს მსგავსი ინფორმაციის გამავრცელებლების იდენტიფიცირება და მის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, პარალელურად კი უნდა ხდებოდეს ყალბი ინფორმაციის ალტერნატიული ინფორმაციის გავრცელება, რათა გაბათილდეს სიყალბე, და რაც მთავარია, საზოგადოების მედიაწიგნიერების ამაღლება – საზოგადოებამ უნდა შეიმეცნოს ყალბი ინფორმაციის ამოცნობის სტრატეგიები.

ყალბი ინფორმაციის ამოცნობის წესები

შეამოწმეთ წყაროს სანდოობა:

- **დომეინის სახელი**: არ ენდოთ ვებგვერდების უჩვეულო დაბოლოებებს, როგორებიცაა „.com.co.“, „.co“ და სხვა;
- **მისიის განაცხადი**: შეამოწმეთ „ჩვენ შესახებ“ განყოფილება. ინფორმაცია შესაძლოა სატირული იყოს და ის რეალურ ამბავს არ ასახავდეს;

- **ავტორი**: გადაამოწმეთ ინფორმაციის ავტორის ვინაობა. გსმენიათ, თუ არა მისი სახელი მანამდე? აქვს თუ არა სხვა სტატიები/სიუჟეტები მომზადებული და რა თემაზე? ხელმისაწვდომია, თუ არა მისი საკონტაქტო ინფორმაცია? რა რეპუტაციით სარგებლობს ავტორი?
- **ციტატები**: გადაამოწმეთ მასალაში მოცემული ციტატების სიზუსტე. ვის ეკუთვნის სიტყვები? სწორად არის თუ არა მითითებული ციტატის ავტორი? გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა ციტატა და ციტატის ავტორი სწორი იყოს, თუმცა ავტორს ის სრულიად სხვა კონტექსტში ჰქონდეს ნათქვამი;
- **წყაროები**: დააკვირდით, არის თუ არა კონკრეტული ინფორმაცია შესაბამისი წყაროთი გამყარებული. გადაამოწმეთ თავად ეს წყაროებიც, არიან თუ არა ისინი სანდო? შეესაბამება თუ არა მოცემული ინფორმაცია პირველწყაროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას? პროპაგანდისტული ჯგუფები ხშირად მანიპულირებენ სტატისტიკით, ამიტომ მოიძიეთ სტატისტიკის წყარო, კვლევითი ორგანიზაცია და გადაამოწმეთ კვლევის მეთოდოლოგიის სანდოობა;
- **ნუ წაიკითხავთ მხოლოდ სათაურს**: ხშირად სათაური და მასალაში გადმოცემული ინფორმაცია ერთმანეთს არ შეესაბამება, ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სტატია სრულად წაიკითხოთ;
- **გადაამოწმეთ თარიღი**: ხშირად პროპაგანდისტული ჯგუფები, არსებული კონტექსტის შესაბამისად, ძველ ინფორმაციას ავრცელებენ, რასაც მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავს. გარდა ამისა, თარიღის გადამოწმება თავად ინფორმაციის გადამოწმებაშიც გვეხმარება;
- **მოიძიეთ ინფორმაცია სხვა წყაროებშიც**: შეამოწმეთ, ინფორმაციას მხოლოდ ერთი წყარო ავრცელებს, თუ ამის შესახებ სხვა მედიასაშუალებებიც წერენ/აშუქებენ. მიაქციეთ ყურადღება, რამდენად სანდო და ავტორიტეტულია ის მედია, რომელმაც იდენტური მასალა გაავრცელა. ეს თქვენ დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რეალურია გავრცელებული ამბავი თუ ყალბი. (*millab.ge*).

როგორ გავაანალიზოთ კრიტიკულად ახალი ამბავი?

მედიის მომხმარებელმა ახალი ამბის კრიტიკული გააზრებისთვის შემდეგ გარემოებებს უნდა მიაქციოს ყურადღება:

ერთმანეთისგან უნდა განასხვაოს ახალი ამბავი და სარედაქციო თვალსაზრისი. სარედაქციო თვალსაზრისი ამა თუ იმ ფაქტთან და მოვლენასთან დაკავშირებით ჟურნალისტის პერსონალურ მოსაზრებებს ასახავს, ხოლო ახალი ამბავი ჟურნალისტის ან რედაქტორის მოსაზრებას არ უნდა შეიცავდეს;

- მასალა ანონიმურია თუ მას ავტორი ჰყავს? რამდენად სანდოა ავტორი? წარმოდგენილია თუ არა მასალაში სულ მცირე ორი და-

მოუკიდებელი წყარო? ვინ არიან წყაროები და რამდენად მრავალფეროვანია წყაროთა სპექტრი? იყენებს თუ არა ჟურნალისტი ორმაგ სტანდარტს სხვადასხვა წყაროსთან მიმართებით?

- აქვს თუ არა შესაძლებლობა მომხმარებელს, გაეცნოს სხვადასხვა მხარეების არგუმენტებს, რათა ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება?
- არის თუ არა ამბავი ნეიტრალურად გადმოცემული, თუ ის რომელიმე მხარის პერსპექტივიდანაა გაშუქებული? ახდენს თუ არა ჟურნალისტი ფაქტების ინტერპრეტირებას? არის თუ არა რაიმე საკითხი, რომელიც არსებითია ამბის გასაგებად, მაგრამ გამოტოვებულია?
- გადმოცემულია თუ არა კონტექსტი? შეესაბამება თუ არა სათაური და ფოტო ტექსტს?
- არის თუ არა გაშუქება სტერეოტიპული? რამდენად ნეიტრალურ ენას იყენებს ჟურნალისტი?
- თუ საკითხი საჯარო ინტერესის საგანია, გაშუქებულია თუ არა ის, როგორც მთავარი ამბავი (სიუჟეტის შემთხვევაში – საინფორმაციო გადაცემის მთავარ ბლოკში, გაზეთის ან ონლაინგამოცემის შემთხვევაში – წამყვან ბლოკში)?
- აშუქებს თუ არა ყველა მეინსტრიმული მედიასაშუალება ერთსა და იმავე მნიშვნელოვან ახალ ამბავს, თუ რომელიმე მედიასაშუალება საზოგადოებისთვის აქტუალური გარკვეული საკითხების გაშუქებას თავს არიდებს? (*mdfgeorgia.ge გვ.26*).

ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირების ნიმუში

2020 წლის 15 ივნისს ვებპორტალზე „პოლიტიკა დღეს“ „ჰოთ-ნიუსზე“ დაყრდობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ეპიდემიოლოგი მარია ვან კერკოვეს სენსაციური განცხადების თანახმად, ეპიდემია არ არსებობს. „ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში კოვიდ 19-თან ბრძოლის ჯგუფის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ამერიკელმა ინფექციური დაავადებების ეპიდემიოლოგმა, მარია ვან კერჰოვმა სენსაციური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, კარანტინისა და კომენდანტის საჭიროება არ არსებობს და ყველაფერი ეს ხელისუფლების მოთხოვნას წარმოადგენდა ჩანასახშივე.

„პანდემია არ არის. ეპიდემია არ არსებობს. არავითარი ვაქცინა არ არის საჭირო. ჯანმრთელ ადამიანს არ სჭირდება ხელთათმანები, პირბადე და სხვა დამცავი საშუალებები. არ იყო აგრეთვე არც კარანტინის და კომენდანტის საათის საჭიროება და არც ე.წ. კონტაქტების გამოკვლევა, ვირუსი ზედაპირზე ვერ ცოცხლობს, ამგვარი იზოლაცია მხოლოდ მთავრობების მოთხოვნა იყო. ნებისმიერ ორგანიზაციას, ფიტნეს-კლუბს, თეატრებსა და რესტორნებს/კაფე-ბარებს საშუალება აქვთ, იმუშაონ სრული დატვირთვით,“ – აცხადებს ეპიდემიოლოგი.

მარია კერკოვამ აღნიშნა, რომ მთავარი რეკომენდაცია სიცხის გაზომვაა. მისი თქმით, სხვა სახის ვირუსებით საგრძნობლად მეტი ადამიანი კვდება ყოველწლიურად ვიდრე კორონავირუსით," – წერს „პოლიტიკა დღეს".

გადამოწმებული ინფორმაცია

„ანტიფეიკის" მიერ აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმებისას, აღმოჩნდა, რომ „ჰოთ-ნიუსზე" მსგავსი ინფორმაცია საერთოდ არ იძებნება. ასევე, თავდაპირველად გავრცელებულ ინფორმაციას თან დართული ჰქონდა ვიდეო, სადაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 8 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე, „როიტერის" კორესპონდენტის მიერ ასიმპტომური პაციენტების მიერ ინფექციის გავრცელების შესახებ დასმულ შეკითხვაზე მარია ვან კერკოვე აღნიშნავდა, რომ ასეთი გადაცემის შემთხვევები ძალიან იშვიათია.

მოგვიანებით ვიდეო, რომელიც „პოლიტიკა დღეს" „სკანდალური განცხადების" მტკიცებულებად ჰქონდა მოყვანილი საიტიდან წაშალეს და აღარ იძებნება, ხოლო თავად ინფორმაცია კვლავ საიტზე დევს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, 2020 წლის 15 ივნისს ვებპორტალზე „პოლიტიკა დღეს" გამოქვეყნებული ინფორმაცია არის სიყალბე. (*https://antifake.1tv.ge*).

დავალება

მოცემული დავალება მიზნად ისახავს, კრიტიკულად გავაანალიზოთ ინფორმაცია და გამოვავლინოთ შესაძლო ინტერპრეტაციის შემთხვევები. ამისათვის სტუდენტს შევთავაზოთ გარკვეული ინფორმაციის ამსახველი მასალა და მისი გაცნობის შემდეგ ვთხოვოთ, გადაამოწმოს ის, მოცემული ინსტრუქციის გამოყენებით. აქტივობა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად.

დამატებითი ლიტერატურა:

1. კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის" (2020). *მედიაგარემო საქართველოში. https://osgf.ge/publication/mediagaremo-saqartveloshi/*
2. ლანგი ი. (2003). *მედია და არჩევნები. ევროპის საბჭო. http://resources.ctf.org.ge/Media-and-Elections.pdf (მოძიებულია: 07.03.2021).*

თავი 9. ადამიანის უფლებათა არსი, თვისებები, კლასიფიკაცია

სტუდენტები იწყებენ ადამიანის უფლებების თავის შესწავლას. ლექციის დასაწყისში შეამოწმეთ ის ცოდნა, რასაც უკვე ფლობენ სტუდენტები. სთხოვეთ მათ დაგისახელონ ადამიანის უფლებები. საიდან იციან ადამიანის უფლებების შესახებ? რა მნიშვნელოვანი დოკუმენტები გაუგიათ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების შესახებ? საქართველოს კონსტიტუციის რომელ ნაწილშია დეკლარირებული ადამიანის უფლებები? და სხვა.

არ მოერიდოთ ყოველი პასუხის შემდეგ, მომდევნო კითხვის ფორმულირებას, ისე, რომ სტუდენტების პასუხებში გამოავლინოთ არათანმიმდევრულობა ან შეუსაბამობა, საკითხის ზერელე ცოდნა, არადამაჯერებლობა. ასეთი პროცესი ხელს შეუწყობს სტუდენტს, გაიაზროს საკუთარი მოსაზრებების მცდარობა, ამ სფეროში ცოდნის სიმწირე და განეწყოს ახალი ცოდნის მიღებისათვის.

შეეცადეთ ლექცია ააწყოთ სტუდენტების ინტერესზე. სასურველია თუ ლექციას ლექტორი წარმართავს პრეზენტაციის სახით და გამოიყენებს ვიზუალურ მასალას. ვიზუალური მასალის გამოყენება უფრო ადვილად აღქმადსა და დასამახსოვრებელს ხდის შესასწავლ მასალას.

აქტივობა N1. ადამიანის უფლებათა თვისებები

დაამზადეთ ხუთი ბარათი. თითოეულ ბარათზე ეწერება ადამიანის უფლებათა განსაზღვრება.

ბარათი N1.

ადამიანის უფლებებს თანდაყოლილს უწოდებენ, რადგან ადამიანს იგი დაბადებისთანავე ენიჭება და ის ბუნებრივი ხასიათისაა. ადამიანის უფლებების თანდაყოლილი თვისების გაგება ათავისუფლებს ადამიანს სახელმწიფოზე დამოკიდებულებისაგან. იმისათვის, რომ ფლობდე მათ, საკმარისია ადამიანად დაბადება. მნიშვნელობა არა აქვს დედამიწის რომელ წერტილში დაიბადება ადამიანი, რა ენაზე საუბრობს, როგორია მისი კანის ფერი და არც იმაზეა დამოკიდებული აქვს თუ არა მას რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა. ადამიანის უფლებების შინაარსი ყველა ადამიანისათვის საერთოა, მას ეს უფლებები დაბადებიდან გარდაცვალებამდე აქვს.

ბარათი N2.

ადამიანის უფლებების დარღვევა არის ადამიანისთვის ბუნებით მინიჭებული უფლების წართმევა ან ვინმესთვის გადაცემა. ადამიანის უფლებები რეგულირდება კანონებით, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები შესაძლებელია განსაკუთრებულ შემთხვევებში შეზღუდული იყოს მხოლოდ კანონით, სახელმწიფოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში გაწერილი ნორმების შესაბამისად. ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების შეზღუდვა განპირობებული უნდა იყოს უფრო მაღალი მიზნებით, რაც გამოხატულია სახელმწიფოს და საზოგადოების უსაფრთხოებაში, ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაში.

ბარათი N3.

ადამიანის უფლებები დაფუძნებულია ადამიანის ბუნებრივი თანასწორობის პრინციპზე. ყველა ადამიანს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს თავისუფლება და უფლება. დაუშვებელია ადამიანის უფლებისა და თავისუფლების შეზღუდვა მისი რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილების თუ სხვა განსხვავებულობის საფუძველზე. მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ადამიანი თავისუფლებისა და საკუთარი უფლებების მფლობელია.

ბარათი N4.

ადამიანის უფლებები ბუნებისაგან არის მონიჭებული. ადამიანი ბუნებით თავისუფალი იბადება და არავის აქვს უფლება ჩამოართვას ადამიანს ბუნებით მინიჭებული უფლება და თავისუფლება. არავის აქვს უფლება ადამიანს ჩამოართვას რომელიმე ბუნებითი უფლება მისი „უმნიშვნელობის“ მოტივით. თავად ადამიანსაც არ შეუძლია უარი თქვას საკუთარ უფლებაზე ან მოინდომოს საკუთარი უფლების სხვისთვის გადაცემა.

ბარათი N5.

ყველა უფლება, ერთობლიობაში, ურთიერთდამხმარე სისტემის ბალანსს განაპირობებს. ადამიანის სხვადასხვა უფლება: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ერთმანეთთან მჭირო კავშირშია. ისინი ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად არ განიხილებიან. ერთი უფლების განხორციელება დამოკიდებულია სხვადასხვა უფლების არსებობაზე. ადამიანის უფლებები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთმანეთისგან გამომდინარეობს. შეუძლებელია ერთი რომელიმე უფლების განხორციელება და სხვა დანარჩენის უგულებელყოფა მისი ნაკლები მნიშვნელობის მიზეზით. ადამიანის ყველა უფლება განხილულ უნდა იყოს როგორც თანაბრად მნიშვნელოვანი და ღირებული.

პასუხები:

ბარათი N1.	საყოველთაო
ბარათი N2.	განუსხვისებელი
ბარათი N3.	უნივერსალური
ბარათი N4.	ხელშეუვალი და განუყოფელი
ბარათი N5.	ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგამომდინარე

სტუდენტები დაყავით ხუთ მცირე ჯგუფად. სასურველია თითო ჯგუფი 3-4 სტუდენტისაგან შედგებოდეს. სტუდენტებს დაურიგეთ წინასწარ მომზადებული ბარათები და სთხოვეთ წაიკითხონ მცირე ჯგუფებში, იმსჯელონ ერთმანეთში და დაასახელონ ადამიანის უფლებათა რომელი თვისების განმარტებაა ტექსტში. ასევე, სტუდენტებმა უნდა მოამზადონ მცირე ტექსტი, განავრცონ მოცემული განმარტება, გაამდიდრონ მაგალითებით და სხვა ჯგუფის წევრებს გააცნონ ადამიანის უფლებათა კონკრეტული თვისება.

ეს სავარჯიშო ემყარება სწავლების რამდენიმე მეთოდს: ჯგუფურ (collaborative) მუშაობას და თანამშრომლობით (cooperative) სწავლებას. სტუდენტები მცირე ჯგუფებში ერთად კითხულობენ ტექსტს. უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებას. ჯგუფი მობილიზებულია რათა დავალებას კარგად გაართვას თავი და დაასახელოს სწორი პასუხი. აქვე, სტუდენტებს ევალებათ მოცემული ტექსტის გააზრება, შევსება მაგალითებით და სხვა ჯუფებისათვის გაცნობა. ტექსტის მოსამზადებლად სტუდენტები ისევ ჯგუფურად მუშაობენ, შესაძლოა გაინაწილონ კიდეც ფუნქციები. მეორე ეტაპზე, დავალების თანახმად, სტუდენტებმა ისე უნდა აუხსნან სხვა ჯგუფების წევრებს მოცემული მასალა, რომ ადვილად გაიგონ და დაიმახსოვრონ. თანამშრომლობით სწავლების მეთოდით სტუდენტები არა მხოლოდ საკუთარ ცოდნაზე ზრუნავენ, არამედ ზრუნავენ იმისათვის, რომ სხვა ჯგუფის წევრებმაც მარტივად გაიგონ განმარტება და ადვილად დაიმახსოვრონ.

კომპლექსური დავალება

ადამიანის უფლებების ისტორია მთელი კაცობრიობის ისტორიაა. სხვადასხვა ეპოქას თავისი წვლილი შეჰქონდა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა თანამედროვე კატალოგის შედგენასა და გამყარებაში. ამასთან, ყველა ქვეყანას ადამიანის უფლებების განვითარების საკუთარი ისტორია აქვს. სტუდენტებს მიეცით დავალება, მოიძიონ საქართველოს ან მსოფლიოს ისტორიიდან მასალა – თუ რომელ ეპოქაში, ადამიანის რომელი უფლება იყო დაცული.

მაგალითი: სიცოცხლის უფლება.

ფეოდალურ საქართველოში სიკვდილით დასჯას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის – მეფეთა საჯარო შეურაცხყოფისა და სამშობლოს ღალატისათვის მიმართავდნენ. გიორგი III-ის 1170 წლის სიგელის მიხედვით, სასიკვდილო განაჩენი „მრავალჯერ» პარვისათვის იყო დაწესებული. «ოქროს საუკუნეში“ თამარ მეფემ (1160-1213 შესაძლოა 1210 ან 1207) მრავალი რეფორმა განახორციელა, მათ შორის აკრძალა სიკვდილით დასჯა და ადამიანთა წამება. „მოწყალე, კეთილი, ბრძენი მსაჯულის სამფლობელოში არავინ იყო მომძლავრებული, მტაცებელი, მეკობრე და მპარავი. თვითონ იტყოდა ხოლმე: „მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქურივთა“. დინჯმა და ღვთივგაბრწყინებულმა მეფემ სასტიკად აკრძალა სიკვდილით დასჯა და სხეულის დასახიჩრება.“ (*„წმინდანთა ცხოვრება“. 2001*)

დამატებითი მასალა დისკუსიისათვის

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ – „ტერორისტული აქტი ნორვეგიაში – ანდრეს ბრეივიკი.“ იმსჯელეთ ტექსტის ქვემოთ მოცემულ თემაზე. კონკრეტული მაგალითის განხილვა სტუდენტისაგან მოითხოვს პრობლემური სიტუაციის გაანალიზებასა და საკუთარი დასკვნების გამოტანას. კონკრეტული მაგალითების განხილვა სხვადასხვაგვარი ფორმით ხორციელდება; რაიმე კონფლიქტისა თუ დილემის შემცველი ჰიპოთეზური სიტუაციები და ჟურნალ-გაზეთებიდან, წიგნებიდან თუ სხვა წყაროებიდან მოძიებული ცხოვრებისეული ამბები.

ტერორისტული აქტი ნორვეგიაში – ანდრეს ბრეივიკი

2011 წლის 22 ივლისს ნორვეგიის დედაქალაქის ოსლოს სამთავრობო კვარტალსა და კუნძულ ოტოიაზე – ახალგაზრდულ საზაფხულო ბანაკში ანდრეს ბრეივიკის მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შედეგად გარდაიცვალა 77 და დაიჭრა 151 ადამიანი. თავდასხმის მომენტში ახალგაზრდულ ბანაკში იმყოფებოდა ორი ქართველი გოგონა. ერთი – თამთა ლიპარტელიანი ტერორისტის ტყვიამ იმსხვერპლა. ტერორისტულმა აქტმა აღაშფოთა ნორვეგიელი ხალხი და სრულიად მსოფლიო. ნორვეგიელების ერთი ნაწილი კანონმდებლობაში ცვლილების შეტანასა და ტერორისტის სიკვდილით დასჯას მოითხოვდა. თუმცა, ნორვეგიის სასამართლომ ანდრეს ბრეივიკი შეურაცხადად სცნო და 2012 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით მიუსაჯა 21 წლით თავისუფლების აღკვეთა, საპატიმრო ვადის გაზრდის შესაძლებლობით. (ნოვერგიის კანონმდებლობით 21 წელი სასჯელის მაქსიმალური ზომაა).

ბრეივიკის სასამართლო პროცესი გაძლიერებული დაცვის ფონზე მიმდინარეობდა. სასამართლო პროცესს დაღუპულთა და დაჭრილთა ნათესავები და ახლობლები ესწრებოდნენ. სასამართლოს ტერორისტმა განუცხადა, რომ კუნძულზე მას „ყველას დახოცვის“ სურვილი ჰქონდა და არაერთხელ გამოთქვა სინანული, მეტი ადამიანის მოკვლა რომ ვერ მოახერხა.

ბრეივიკმა აღიარა, რომ მას სამთავრობო და მედია შენობების აფეთქების და ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის მოკვლის და მისი მკვლელობის ვიდეომასალის ინტერნეტსივრცეში გავრცელების სურვილი ჰქონდა.

ნორვეგიის ციხე „ილაში“, სადაც ბრეივიკი სასჯელს იხდის მისთვის სამოთახიანი კამერაა გამოყოფილი ტელევიზორით, სპორტდარბაზით და სხვა საჭირო ნივთებით. ქვეყნის იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, იგი ნორვეგიაში ყველაზე ძვირადღირებული პატიმარია. მისი შენახვა ხაზინას წელიწადში 850 ათასი დოლარი უჯდება. ნორვეგიის კანონმდებლობით, პატიმრის საკანში ხანგრძლივი დროით მარტო გაჩერება აკრძალულია. ამიტომ ციხის ადმინისტრაციამ ბრეივიკისთვის დაიქირავა „მეგობრები“, რომლებიც მასთან სხვადასხვა თემაზე ისაუბრებენ, ითამაშებენ ჭადრაკს და გაერთობიან.

ანდრეს ბრეივიკმა გამოთქვა ოსლოს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილი. უნივერსიტეტის რექტორმა პიტერ ოტერსონმა განაცხადა, რომ ნორვეგიული კანონმდებლობით პატიმარს აქვს უფლება მიიღოს უმაღლესი განათლება, თუკი წარმატებით გაივლის მისაღებ გამოცდებს. 2015 წლის 17 ივნისს ბრეივიკი ჩაირიცხა ოსლოს უნივერიტეტში, სადაც ის ონლაინ ფორმატში შეისწავლის პოლიტიკურ მეცნიერებებს. მიუხედავად ამისა, ბრეივიკი უკმაყოფილოა ციხის პირობებით და თვლის, რომ ციხის ადმინისტრაცია მის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას არღვევს.

2016 წელს ანდრეს ბრეივიკმა ნორვეგიის წინააღმდეგ სასამართლო დავა მოიგო. ოსლოს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ის პირობები, რომელშიც ტერორისტი ანდრეს ბრეივიკი იმყოფება, არღვევს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მესამე მუხლს, რომელიც კრძალავს „არაადამიანურ ან დამამცირებელ სასჯელს“. სასამართლომ ნორვეგიის მთავრობას 330 000 კრონის ოდენობით ანდერს ბრეივიკის სასამართლო ხარჯების ანაზღაურებაც დაავალა.

დავალება: მიუხედავად მრავალი ნორვეგიელის სურვილსა ანდრეს ბრეივიკი სიკვდილით დაესაჯათ, ნორვეგიის ხელისუფლებამ არ შეცვალა კანონი და სასამართლომ ტერორისტს 21 წლიანი პატიმრობა შეუფარდა. როგორ ფიქრობთ არის თუ არა ისეთივე უსამართლობა ადამიანის სიკვდილით დასჯა, როგორც ბრეივიკის მიერ ჩადენილი დანაშაული?

გამართლებულია თუ არა ზოგიერთი მძიმე დანაშაულისათვის ადამიანის სიკვდილით დასჯა?

ევროპის საბჭოს 47 ქვეყანაში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ბელორუსის გარდა, სიკვდილით დასჯა გაუქმებულია ან მორატორუმია მასზე გამოცხადებული. თითქმის სამი ათეული წელია ამ ქვეყნებში სიკვდილით არავინ დაუსჯიათ. ევროპული მართლმსაჯულება ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვიათაც დამნაშავის გამოსწორება უფრო მნიშვნელოვანია. ბოლო პერიოდში გახშირებული ტერორისტული ფაქტებისა

და მძიმე დანაშაულებების ზრდის ფონზე ევროპის ბევრ ქვეყანაში საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერს სიკვდილით დასჯის აღდგენას. ამერიკის შეერთებული შტატებში სიკვდილით დასჯა მხოლოდ რამდენიმე შტატშია გაუქმებული. ამერიკული მართლმსაჯულება მიზნად ისახავს დამნაშავის პროპორციულ დასჯას და დანაშაულის პრევენციას. ამერიკული მართლმსაჯულების ფილოსოფია დასჯაზეა ორიენტირებული. ჯერ კიდევ საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერს მძიმე დანაშაულებისათვის დამნაშავის სიკვდილით დასჯას. მორალური თვალსაზრით, სიკვდილით დასჯის აკრძალვა გამართლებულია. ამ კონცეფციის მომხრეები საკუთარ მოსაზრებას არასრულყოფილი სასამართლო სისტემის არგუმენტით ამართლებენ. შეცდომით წართმეულ სიცოცხლეს ვეღარ დააბრუნებ. ამასთან, თვლიან რომ ადამიანისათვის სიცოცხლე თავისუფლებაზე არანაკლებ ღირებულია. სიკვდილით დასჯის მომხრეები ფიქრობენ რომ სიკვდილით დასჯას ერთგვარი შემაკავებელი ფუნქცია აკისრია. სიკვდილის შიშით ადამიანები მძიმე დანაშაულის ჩადენისაგან თავს იკავებენ, თუმცა ფსიქოლოგები თვლიან, რომ ადამიანები ხშირად მკვლელობას ან სხვა სახის მძიმე დანაშაულს აფექტის მდგომარეობაში ჩადიან და დანაშაულის ჩადენის მომენტში მოსალოდნელ შედეგებზე არ ფიქრობენ. მრავალი კვლევის თანახმად, სიკვდილით დასჯა დანაშაულის სტატისტიკაზე არსებით გავლენას ვერ ახდენს. შესაბამისად, ის შემაკავებელ ნორმად არ გამოდგება.

სიკვდილით დასჯის მომხრეები თვლიან, რომ სოცოცხლე თავისთავად ყველაზე ღირებულია ადამიანისათვის. საზოგადოებაში სადაც ადამიანის სიცოცხლე ფასობს მკვლელობისა და სხვებისათვის ზიანის მიყენებისათვის ყველაზე მკაცრი და მდგრადი ნორმები უნდა იყოს დამკვიდრებული. ამიტომ ვინც ადამიანის სიცოცხლეს ხელყოფს, მან საკუთარი სიცოცხლით უნდა აგოს პასუხი. მოკლული ადამიანის ახლობლებისთვის ერთადერთი შვება დამნაშავის მკაცრად დასჯაა. სიკვდილით დასჯის მომხრეები ფიქრობენ, რომ მძიმე დანაშაულისათვის ადამიანის მოკვლა გამართლებულია იმ თვალსაზრისითაც, რომ დამნაშავეს სამუდამოდ მოუსპობენ განმეორებით დანაშაულის ჩადენის საშუალებას, რაც საზოგადოების უსაფრთხოებას ემსახურება.

თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში ფეხს იკიდებს აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანი თავისთავად მშვიდობისმოყვარე არსებაა და ის წესრიგისკენაა მიდრეკილი. ადამიანს დანაშაულის ჩადენისაკენ მისი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარემო უბიძგებს. სისტემა, რომელიც ჩაგრავს მას და არღვევს მის ფუნდამენტალურ უფლებებს, ადამიანის მიერ ჩადენილ დანაშაულზე დამნაშავესთან ერთად საზოგადოება და სახელმწიფოც უნდა აგებდეს პასუხს. ამ მოსაზრების თანახმად, დასჯა უნდა ემსახურებოდეს არა ადამიანის სიცოცხლის მოსპობას, არამედ მის გამოსწორებას და საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრად ჩამოყალიბებას.

დისკუსია

- გამართლებულია თუ არა დანაშაულის საპასუხოდ სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის მკვლელობა?
- რა არგუმენტები შეიძლებოდა ჰქონოდათ სიკვდილით დასჯის მომხრეებს?
- რა არგუმენტებით გაამართლებდით სიკვდილით დასჯის აკრძალვას?

უკუკავშირი

დისკუსიის დასრულების შემდეგ ჰკითხეთ სტუდენტებს:

- წარმოდგენილი არგუმენტებიდან რომელი არგუმენტი მიაჩნიათ ყველაზე დამაჯერებლად?
- მსჯელობის შემდეგ შეიცვალა თუ არა რომელიმე სტუდენტმა თავდაპირველი თვალსაზრისი?
- რა ისწავლეს ამ აქტივობიდან?

თავი 10. სამოქალაქო უფლებები

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ხშირად პირადი უფლებების სახელითაც მოიხსენიებენ. ლექციის დასაწყისში სტუდენტებს ჰკითხეთ მათი აზრით, რატომ მიენიჭა ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს – პირადი უფლებები?

აქტივობა: სტუდენტებს დაურიგეთ მცირე ციტატა. (დისტანციური სწავლების პირობებში, შესაძლებელია ტექსტის ეკრანზე გაზიარება).

გერმანელი პროტესტანტი პასტორი მარტინ ნიმიოლერი (1892-1984) ნაცისტების შესახებ წერდა: „როცა ნაცისტები კომუნისტებს მიადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან კომუნისტი არ ვყოფილვარ. ებრაელებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან ებრაელი არ ვყოფილვარ. პროფკავშირებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან პროფკავშირის წევრი არ ვყოფილვარ. შემდეგ მომადგნენ მე ... და აღარავინ იყო დარჩენილი, რომ ხმა ამოეღო...“ ციტატის მიხედვით ჯგუფში იმსჯელეთ: ამ ციტატაში ნაცისტების მიერ ადამიანის რომელი უფლებების დარღვევაზე მიუთითებს ნიმიოლერი?

- რისი თქმა უნდოდა ამ სიტყვებით გერმანელ პასტორს?
- როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როცა მისი უფლებები არ ირღვევა, მაგრამ სხვისი უფლებები ირღვევა?
- რატომ უნდა იბრძოლოს ადამიანმა სხვისი უფლებების დასაცავად?
- რა მოხდება, თუკი ყველა მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრებს და გულგრილად მოეკიდება სხვა ადამიანიების პრობლემებს?

დავალება

სთხოვეთ სტუდენტებს მოამზადონ მცირე ესე დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახით სიკვდილით დასჯის მისჯის მიზანშეწონილებაზე.

ესეს დაწერაში სტუდენტებს დაეხმარებათ შემდეგი საკონტროლო შეკითხვები:

- გამართლებულია თუ არა დანაშაულის საპასუხოდ სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის მკვლელობა?
- რა არგუმენტები შეიძლებოდა ჰქონოდათ სიკვდილით დასჯის მომხრეებს?
- რა არგუმენტებით გაამართლებდით სიკვდილით დასჯის აკრძალვას?

სიცოცხლის უფლება გვ. 83-88, იმსჯელეთ სტუდენტებთან შემდეგ საკითხებზე:

- თქვენი აზრით, რატომ არის გამართლებული 90-იან წლებში საქართველოში სიკვდილით დასჯის აკრძალვა?
- თქვენი აზრით, როგორ წარიმართებოდა პროცესები ჩვენს ქვეყანაში 1997 წელს საქართველოში სიკვდილით დასჯა რომ არ გაუქმებულიყო?
- შეაფასეთ არასამთავრობო ორგანიზაციათა საკოორდინაციო ცენტრის მუშაობა.

აქტივობა: ფილმის ჩვენება

ვიზუალური საშუალებები დამხმარე სასწავლო საშუალებებია, რომლითაც ხდება სასწავლო მასალის დემონსტრირება, რათა უფრო გასაგები და ადვილად აღსაქმელი გახდეს მიწოდებული ინფორმაცია, თეორიული აზრი და ასე შემდეგ. ვიზუალურ საშუალებებს, ჩვეულებრივ, განეკუთვნება მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, ვიდეოკლიპები და სხვა. ვიზუალური საშუალებების დახმარებით სტუდენტები უკეთ იმახსოვრებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას. სწავლების ეს მეთოდი ექფექტიანია როგორც აუდიტორული მუშაობის დროს, ასევე, დისტანციური სწავლების პირობებშიც.

ამ აქტივობას წინ უძღვის ზაზა რუსაძის დოკუმენტური ფილმის „თვითმფრინავის ბიჭების საქმე“ კინოჩვენება. https://www.youtube.com/watch?v=3pTsvooG7kI შესაძლებელია ფილმს, რომელიც 40 წუთი გრძელდება ერთად უყუროს მთელმა ჯგუფმა. თუ დროში შეზღუდული ხართ, მაშინ სტუდენტებს სთხოვეთ დამოუკიდებლად ნახონ ფილმი. ფილმის ნახვის შემდეგ, სტუდენტებს დაურიგეთ (დისტანციური სწავლების დროს სტუდენტებს ეგზავნებათ) მცირე ტექსტი. სთხოვეთ, კარგად წაიკითხონ და გაიაზრონ მოცემული ინფორმაცია.

თვითმფრინავის ბიჭები

1983 წლის 18 ნოემბერს ქართველმა ახალგაზრდებმა საბჭოთა საქართველოდან „თავისუფალ სამყაროში“ – დასავლეთში გაქცევის მიზნით სცადეს სამგზავრო თვითმფრინავის გატაცება, რომელიც ასრულებდა რეისს თბილისიდან ბათუმის მიმართულებით. ახალგაზრდები: გეგა კობახიძე, თინა ფეტვიაშვილი, სოსო წერეთელი, დავით მიქაბერიძე, გია ტაბიძე და ძმები პაატა და კახა ივერიელები შეიარაღებულები იყვნენ პისტოლეტებითა და სასწავლო ხელყუმბარებით. იმ დროისთვის გეგა 21 წლის, მაგრამ უკვე პოპულარული მსახიობი იყო. 19 წლის თინა სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იყო, მას და გეგას ერთი დღით

ადრე ჰქონდათ ქორწილი. გია ტაბიძე, დავით მიქაბერიძე და სოსო წერეთელი მხატვრები იყვნენ, ძმები ივერიელები კი ექიმები. გეგმის თანახმად, გამტაცებლებს თვითმფრინავის აფეთქების მუქარით, ეკიპაჟი უნდა ეიძულებინათ თვითმფრინავი დაესვათ უახლოეს კაპიტალისტურ ქვეყანაში – თურქეთში, საიდანაც უფრო გაუადვილდებოდათ ამერიკაში მოხვედრა. თვითმფრინავის პილოტებმა თურქეთის მაგივრად, ისევ თბილისის აეროპორტში დააბრუნეს. თბილისის აეროპორტში ლაინერი მოსკოვიდან სპეციალურად გამოძახებულმა სპეცდანიშნულების რაზმმა „ალფამ“ გარედან დაცხრილა. სროლა იყო თვითმფრინავის სალონშიც გამტაცებლებსა და ეკიპაჟის წევრებს შორის. იმ დღემ 7 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა: 3 ეკიპაჟის წევრის, 2 გამტაცებლისა და 2 მგზავრის. ასევე, თბილისში დაფრენისთანავე თავი მოიკლა ერთ-ერთმა გამტაცებელმა. საქართველოს მოსახლეობამ ამ ამბიდან მხოლოდ 6 თვის შემდეგ შეიტყო მომხდარის შესახებ. სასამართლოს წინაშე 4 გამტაცებელი წარსდგა: გეგა, თინა და ძმები ივერიელები. მათთან ერთად დააპატიმრეს ახალგაზრდების მეგობარი და მათი მოძღვარი მამა თეოდორე (იგი თვითმფრინავში არ იმყოფებოდა), რომელსაც ბრალი ტერორისტული ბანდის მეთაურობაში დასდეს. გამოძიება 9 თვე მიმდინარეობდა. სასამართლო პროცესი 1 აგვისტოს დაიწყო და რეკორდულ დროში 2 კვირაში – 13 აგვისტოს დასრულდა. ტერორიზმში ბრალდებულ ახალგაზრდებს სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილი მიესაჯათ, თინას – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. ქართულმა ინტელიგენციამ სასჯელის შემსუბუქების თხოვნით მიმართა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას, შეწყალების თხოვნა მოსკოვშიც იყო გაგზავნილი, მაგრამ პასუხს არ დალოდებიან და მაშინდელი კანონმდებლობის დარღვევით 3 თვეში, 3 ოქტომბერს, განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. მშობლებს შვილების სიკვდილის შესახებ არავინ აცნობა. მათ 5 წლის მერე შეიტყვეს სინამდვილე. ორსულ თინას ციხეში აბორტი გაუკეთეს. გეგა კობახიძის დედა ნათელა მაჭავარიანი იხსენებს: „ადვოკატი რომ აგვეყვანა, ამის უფლება არ მოგვცეს, თვითონ აგვიყვანეს... ახლობლებს სიკვდილმისჯილის ნახვის უფლება აქვთ. არც ამის საშუალება მოგვცეს... თვითონ დახოცეს ხალხი შიგნით და ჯოხი ბიჭებზე გადაამტვრიეს. მიუხედავად ჩვენებების გაყალბებისა, ვერ მოიძებნა თუნდაც ერთი მოწმე, ვინც გეგას თვითმფრინავში სროლის ან აგრესიის ფაქტს დაადასტურებდა. ხუთი წლის განმავლობაში არ ვიცოდი მართლა დახვრეტილი იყო თუ არა, ვინაიდან არანაირი დამადასტურებელი საბუთი არ მიმიღია.“ გეგა კობახიძის ადვოკატი, თემურ გვიშიანი იხსენებს, რომ გამოძიების პერიოდში ის ხვდებოდა თავისი დაცვის ქვეშ მყოფს, „მაგრამ ჩვენს შეხვედრას ყოველთვის ვიღაც მესამე ესწრებოდა. ერთხელ გეგას ვუთხარი: ეს სამშობლოს ღალატი კი არა, კონკრეტული დანაშაული საჰაერო ხომალდის გატაცებაა მეთქი. შეხვედრიდან ორი წუთიც არ იყო გასული, რომ საგამოძიებო ჯგუფის უფროსმა დამიძახა: ეს ბრალდება მოსკოვში უკვე შევა-

თანხმე და ახლა მოთხოვნებს მიყენებო. მერე მუხლი მაინც შეცვალეს და სამშობლოს ღალატის ბრალდება მოუხსნეს. და აი, რატომ: კომუნისტებს არ უნდოდათ, ეღიარებინათ, რომ „სამშობლოს მოღალატეები“ და პოლიტპატიმრები ჰყავდათ“. (*აბაშიძე ზ. და სხვ. 2020. გვ.123-124*).

ფილმის დასრულების და საინფორმაციო ტექსტის წაკითხვის შემდეგ სთხოვეთ სტუდენტებს გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები შემდეგ საკითხებზე:

- ადამიანის რომელი უფლებები დაარღვია საბჭოთა ხელისუფლებამ „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმეში?
- როგორ ფიქრობთ, დაიცვა მგზავრთა უფლებები ხელისუფლებამ?
- რა უფრო მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა რეჟიმისათვის საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლე და უსაფრთხოება თუ რეჟიმის ინტერესები?
- დღევანდელი გადმოსახედიდან როგორ შეაფასებდით, ვინ იყვნენ „თვითმფრინავის ბიჭები“ ბანდიტები თუ თავისუფლების მოყვარული ახალგაზრდები?
- თქვენი აზრით, რა შეიძლება ეწოდოს ახალგაზრდების მიერ თვითმფრინავის გატაცების ფაქტს, დანაშაული, თუ პროტესტი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ?
- ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი, თუ როგორ უნდა ემოქმედა ხელისუფლებას მსგავს შემთხევაში?
- კიდევ რა ინფორმაციას ფლობენ აღნიშნული გახმაურებული ამბის შესახებ? (წაუკითხავთ დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“, დასწრებიან დავით დოიაშვილის ამავე სახელწოდების სპექტაკლს თავისუფალ თეატრში და სხვა).

დავალება

სტუდენტებს მიეცით დავალება მოიძიონ ინფორმაცია ადამიანის სამოქალაქო უფლებების შესახებ, რომლებიც სახელმძღვანელოში არ არის განხილული და წარმოადგინონ მომდევნო ლექციაზე პრეზენტაციის სახით.

პრეზენტაციის წარდგენა Power Point-ის გამოყენებით

პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა შესაძლებელია სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამის დახმარებით. ყველაზე მარტივი და ფართოდ გავრცელებული პროგრამაა Microsoft – Powerpoint. ეს პროგრამა საშუალებას აძლევს პრეზენტატორს ეფექტიანად წარადგინოს აუდიტორიის წინაშე კვლევა ან რაიმე პროექტი. პრეზენტაციის მომზადებისას საჭიროა დავიცვათ რამდენიმე წესი:

- სლაიდებზე წარწერები უნდა იყოს ვიზუალურად მკაფიო, ადვილად უნდა იკითხებოდეს აუდიტორიის ნებისმიერი ადგილიდან. ამიტომ სწორად უნდა შეარჩიოთ შრიფტის ზომა და ფერი. ამასთან, სტრიქონებს შორის დაშორებაც ტექსტს ადვილად აღქმადს უნდა ხდიდეს;
- სასურველია, თუ შრიფტს ხშირად არ შეცვლით. სხვადასხვა შრიფტით გაკეთებული წარწერები ღლის თვალს;
- მოერიდეთ ერთ სლაიდზე დიდი მოცულობის ტექტების განთავსებას;
- ფოტომასალა, გრაფიკები, რუკები და სხვა მასალა შორი მანძილიდანაც მკაფიოდ უნდა ჩანდეს ეკრანზე;
- პრეზენტაციის მომზადებისას გამოიყენეთ მხოლოდ რამდენიმე ფერი ან ნეიტრალური ფონი;
- პრეზენტაცია არ გადატვირთოთ ბუნდოვანი, რთულად აღქმადი ან არაფრის მთქმელი ვიზუალური მასალით. Microsoft Powerpoint-ის პროგრამის გამოყენებით შეგიძლიათ აჩვენოთ ვიდეომასალაც, მოკლე ფილმები, კლიპები, ციფრული გამოსახულება და ა.შ. ვიდეომასალის ჩვენებისას, საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ გამოიყენოთ დაპაუზების და გადახვევის ფუნქციები.

თავი 11. პოლიტიკური უფლებები

სასურველია თუ ტრადიციად ვაქცევთ და ლექციის დასაწყისში სტუდენტებს ვკითხავთ, რა იციან მოცემულ თემაზე. სთხოვეთ, ჩამოთვალონ ადამიანის პოლიტიკური უფლებები. რატომ ეწოდათ მათ პოლიტიკური უფლებები? რა არის საჭირო იმისათვის, რომ სახელმწიფოში ადამიანის პოლიტიკური უფლებები იქნეს დაცული?

აქტივობა: სტუდენტებს დაურიგეთ საინფორმაციო ფურცლები (დისტანციური სწავლების პირობებში შესაძლებელია ტექსტი გაზიარებული იქნას ეკრანზე).

ტექსტი – „ქალთა ჩართულობა სახელმწიფოს მართვაში“

„ნორვეგია, შვედეთი, ისლანდია და ფინეთი მრავალი საზომით მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიული და მდიდარი ქვეყნები, უკანასკნელი 6-7 წლის განმავლობაში აქტიურად ლიდერობენ Global Gender Gap Index-ის გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით ყველაზე წარმატებულ ქვეყანათა სიას. ამ სახელმწიფოებში ყველაზე მაღალია ქალთა მონაწილეობა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, ბიზნესში, მსხვილი საფინანსო კორპორაციების მართვაში. პირდაპირპროპორციულად, სწორედ ეს ქვეყნები წარმოადგენენ დემოკრატიულობით, ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს, მსოფლიოში პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად ყველაზე სტაბილურ და წარმატებულ ქვეყნებს“ (ქაქუა. 2011. გვ. 5-6) ქალების სახელმწიფო მმართველობაში ჩართვის მიზნით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შემოღებულია „კვოტირების სისტემა“, რაც ქალებისათვის გარკვეული ადგილების გამოყოფას ნიშნავს სახელმწიფო სტრუქტურებსა და პოლიტიკურ პარტიებში. „კვოტირების სისტემა“ ხელოვნური და იძულებითი ფორმაა, მაგრამ ის ეხმარება ქალებს დაბრკოლებების დაძლევაში და გზას უხსნის სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებისაკენ, სახელმწიფოს მმართველ სტრუქტურებში მაღალი პოზიციის დასაკავებლად.

ყურადღებით წაიკითხეთ „ქალთა ჩართულობა სახელმწიფოს მართვაში“ და იმსჯელეთ: რატომ უნდა მონაწილეობდნენ ქალები პოლიტიკაში?

დავალება

- სტუდენტებს მიეცით დავალება დაწერონ მცირე ესე, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი არჩევნებზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირება?

- სთხოვეთ სტუდენტებს მოიძიონ და დაამუშაონ მასალა ადამიანის იმ პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომელიც სახელმძღვანელოში არ არის წარმოდგენილი. ასევე, სთხოვეთ, მოამზადონ პრეზენტაცია და მომდევნო ლექციაზე გააცნონ მეგობრებს.

პოლიტიკური უფლებები – არჩევნებში მონაწილეობის უფლება

აქტივობა: შემთხვევის ანალიზის მეთოდი

შემთხვევის ანალიზი (Case study) – აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდია, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების – სიტუაციების გადაჭრის გზით (ე.წ. "ქეისების" ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვაზე. "ქეისი" წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ავითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

სამართლიანი არჩევნები

ჰენრიკ კაიტ ჰანსენი

„სამართლიანი და დაბალანსებული არჩევნების ანგარიში დემოკრატიული ვალდებულებაა, თუ ახალი ამბები ისეთივე საქონელია, როგორიც ფეხსაცმელი ან კარტოფილი? მსურს, გაგიზიაროთ ერთი ამბავი, რომელმაც გარკვეული დროის განმავლობაში კვალი დატოვა ჩემზე. როდესაც რამდენიმე წლის წინ ვმოგზაურობდი ბალკანეთში, ეს ამბავი მოვისმინე ადგილობრივი იმედგაცრუებული კოლეგისაგან. ის ოცნებობდა თავისუფალი პრესის დემოკრატიულ როლზე. „მაგრამ, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე გარკვეული გამოცდილება დამიგროვდა ამ კუთხით," მითხრა მან. ყოველთვის, როდესაც ვატარებ ახალ სემინარს სამართლიანი და დაბალანსებული არჩევნების გაშუქების თემაზე მონაწილეთა ახალი ჯგუფისთვის, არ შემიძლია არ ვიფიქრო ამ ამბავზე და მაინტერესებს, ხომ არა აქვთ მონაწილეებს მსგავსი ამბები გონებაში, როდესაც მიყურებენ ნაძალადევი ღიმილითა და შემწყნარებლური გამომეტყველებით, როდესაც ვქადაგებ სამართლიანობას, ბალანსსა და მიუკერძოებლობას და ვიმეორებ ამ სამ თითქმის წმინდა სიტყვას კვლავ და კვლავ: სამართლიანობა, ბალანსი და მიუკერძოებლობა ეს იმიტომ ხდება, რომ მათ უკეთ იციან, ისინი ხშირად აღმიქვამენ, როგორც უიმედოდ მიამიტ და

გარკვეულწილად განებივრებულ რედაქტორად მსოფლიოს პრივილეგირებული ნაწილიდან, სადაც სამართლიანობა მედიაგაშუქებაში არის ის, რაზეც რედაქტორები სერიოზულად ლაპარაკობენ. ხშირად მეჩვენება, ისინი ფიქრობენ, რომ მათ იდიოტებად მივიჩნევ, მაგრამ სინამდვილეში ვფიქრობ, რომ ისინი მთვლიან მე იდიოტად.“

თავად მოამზადე ახალი ამბავი და გაყიდე

„რამდენადაც მახსოვს, ხსენებული ახალი ამბავი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ბალკანეთში დემოკრატიული რეგიონალური არჩევნების ჩატარებამდე სამი დღით ადრე გამოვლინდა, რომ რეგიონის მმართველმა პარტიამ, მოდით, დავარქვათ მას „A“ პარტია, გააცნობიერა, რომ საარჩევნო კამპანია ვერ მოიტანდა მოსალოდნელ წარმატებას. დღითიდღე ნათელი ხდებოდა, რომ აღნიშნული პარტიის უძლიერესი ოპონენტი – „B“ პარტია, რომელიც ხელისუფლებაში არასოდეს ყოფილა, ისეთ დამაჯერებელ საარჩევნო კამპანიას აწარმოებდა, რომ „A“ პარტიის აზრით, თუმცა მოულოდნელად, შეძლებდა გამარჯვების მოპოვებას. კამპანიის სტრატეგიის ცვლილებისათვის საკმაოდ გვიანი იყო და, ფაქტობრივად, „A“ პარტიას აღარც კი ჰქონდა საარჩევნო კამპანიასთან მიმართებით უკეთესი იდეები. ამიტომ ამ პარტიის წამყვანმა პოლიტიკოსებმა გამოსავლის ძებნა სხვაგან დაიწყეს. მათ მზერა მედიაზე შეაჩერეს, უფრო ზუსტად უდიდეს რეგიონალურ მედიაზე და იდეაც დაიბადა.

მეორე დილით, არჩევნებამდე ორი დღით ადრე, უდიდესმა რეგიონალურმა გაზეთმა მთელი პირველი გვერდი დაუთმო სტატიას, „A“ პარტიის სათავეში მდგომი კანდიდატი სასტიკად სცემეს „B“ პარტიის მხარდამჭერებმა“. სურათებზე ჩანდა „A“ პარტიის სათავეში მდგომი კანდიდატის სისხლჩაქცევებით დაფარული სახე, „B“ პარტიის მხარდამჭერი, რომელმაც აღიარა ამ ძალადობის აქტში მონაწილეობა და პოლიცია, რომელიც ადასტურებდა დანაშაულის ფაქტს.

ამან დიდი ხმაური გამოიწვია და საზოგადოება თანაგრძნობით განიმსჭვალა „A“ პარტიის სათავეში მდგომი კანდიდატის მიმართ. „B“ პარტია აცხადებდა, რომ აღნიშნული იყო მოწყობილი და, რეალურად, მათ არავითარი კავშირი ჰქონდათ თავდასხმასთან. „B“ პარტიის სათავეში მდგომი კანდიდატი დაადანაშაულეს ცინიზმში, რადგან მან არ გამოიჩინა თანაგრძნობა „A“ პარტიის წარმომადგენელი დაშავებული ოპონენტის მიმართ.

არჩევნების მეორე დღეს ნათელი გახდა, რომ „A“ პარტიამ შესანიშნავად მოახერხა საკუთარი რეაბილიტაცია და მოიგო არჩევნები, არა მხოლოდ დიდი უმრავლესობით, არამედ მნიშვნელოვანი წინსწრებით. ახალი ამბები ისეთივე საქონელია, როგორიც ფეხსაცმელი და კარტოფილი.

რა მოხდა ისეთი, რამაც ასე მოულოდნელად შეცვალა არჩევნების შედეგი? ჩემმა ადგილობრივმა კოლეგამ მიამბო, რომ სინამდვილეში „A“ პარტიამ იყიდა გაზეთის პირველი გვერდი არა რეკლამის განთავსების,

არამედ თავისი შეთხზული ამბის დაბეჭდვის მიზნით. „A“ პარტიამ თავისი კანდიდატის საცემად უბრალოდ დაიქირავა სამი ახალგაზრდა მამაკაცი და ისინიც სიამოვნებით დათანხმდნენ ამ კარგად მომზადებულ თავდასხმაში მონაწილეობას. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ პოლიციისათვის შეთხზული ისტორიის მოთხრობის სანაცვლოდ, დამატებითი ანაზღაურება მიიღო. როდესაც ფიქტიური ისტორია შეიქმნა, „A“ პარტიამ იყიდა გაზეთის პირველი გვერდი.

“A“ პარტიის ხელმძღვანელმა, რომელმაც სტატია შეუკვეთა, იცოდა, რომ ეს ტყუილი იყო, ასევე მთავარმა რედაქტორმა, რომელმაც მიიღო შეკვეთა, იცოდა, რომ ეს ტყუილი იყო და რეპორტიორმაც, რომელიც შეკითხვებს სვამდა, იცოდა, რომ ეს ამბავი თავიდან ბოლომდე ტყუილი იყო. მაგრამ ვის აინტერესებდა ეს? მათთვის ახალი ამბავი ისეთივე საქონელი იყო, როგორიც ფეხსაცმელი და კარტოფილი და განა ვინმეს გაუგონია ოდესმე დემოკრატიული ფეხსაცმლის ან კარტოფილის შესახებ?

მე არ შემეძლო იმ ინფორმაციის სიმართლის შემოწმება და გაკონტროლება, რომელზეც ავაგე ამბავი. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თავად დავაკმაყოფილე ჩემივე მოთხოვნა რეპორტიორების მიმართ, ყოველთვის დაეყრდნონ გადამოწმებულ წყაროს. ჩემი კოლეგა ხომ შეიძლება აჭარბებდა, ან რაიმე დეტალის შესახებ არასწორი ინფორმაცია ჰქონდა.“ *(ჰანსენი ჰ. 2008).*

ეს ამბავი კარგად ასახავს იმას, თუ რამდენად განსხვავებულად არის შესაძლებელი მედიის როლის აღქმა ადგილობრივი ტრადიციებიდან, მედიის მდგომარეობიდან და ზოგადი დემოკრატიული ისტორიიდან და შეგნებიდან გამომდინარე.

დავალება

- ჩამოაყალიბეთ, როგორ უნდა ტარდებოდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში არჩევნები?
- ჩამოაყალიბეთ და განმარტეთ საარჩევნო უფლების ძირითადი პრინციპები: საყოველთაო საარჩევნო უფლება; თანასწორი საარჩევნო უფლება; პირდაპირი საარჩევნო უფლება; კენჭისყრის ფარულობა; ნების თავისუფალი გამოვლენა;
- როგორ გესმით „სამართლიანი არჩევნები“? „მიუკერძოებელი არჩევნები“?
- ჩამოაყალიბეთ მედიის როლი არჩევნებში;
- მოცემული ამბის მიხედვით, შეაფასეთ მედიის გავლენა არჩევნების პროცესზე;
- თქვენი აზრით, როგორ უნდა მოქმედებდეს მედია არჩევნების პროცესში?
- რა გამოცდილება მიიღეთ აღნიშნული ამბიდან?

დისკუსია

ჩემი მისია შესრულებულია

აშშ-ის დაზვერვის ყოფილი კონტრაქტორი ედვარდ სნოუდენი *(Edward Snowden, 1983) The Washington Post*–ისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ მისი მისია შესრულებულია. „მე არ მინდოდა საზოგადოების შეცვლა, მე მინდოდა საზოგადოებისთვის მიმეცა შანსი, თავად გადაეწყვიტა შეცვლილიყო თუ არა“, – ამბობს სნოუდენი. დაზვერვის ყოფილი კონტრაქტორის თქმით, მას ასევე სურდა ეჩვენებინა საზოგადოებისთვის, თუ როგორ იმართებიან ისინი ხელისუფლებისგან. სნოუდენის განცხადებით, ის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებას ცდილობს და თუ ვინმეს უღალატა, უღალატა ხალხის სასიკეთოდ. შეგახსენებთ, რომ ედვარდ სნოუდენმა ამერიკული დაზვერვის საიდუმლო დოკუმენტები გაასაჯაროვა. დოკუმენტების მიხედვით, ამერიკული სპეცსამსახურები მთელი მსოფლიოს მასშტაბით სატელეფონო მოსმენებს ახორციელებდნენ, ისმინებოდა მსოფლიოს 35 ლიდერის სატელეფონო საუბარი. აშშ სნოუდენს საიდუმლო ინფორმაციის უკანონო გავრცელებაში სდებს ბრალს, თუმცა სნოუდენი ამჟამად რუსეთში იმყოფება. რუსეთის ხელისუფლებამ დაზვერვის ყოფილ კონტრაქტორს თავშესაფარი მიანიჭა. (*ttps://www.tabula.ge/*).

- იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე: ედვარდ სნოუდენი – დამნაშავეა თუ ადამიანის უფლებათა დამცველი?
- რა უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ინტერესები და სახელმწიფოს უსაფრთხოება თუ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება?

თავი 12. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები

ტრადიციულად ლექცია დავიწყოთ შეკითხვით – რა იციან სტუდენტებმა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ.

აქტივობა

ჯგუფი დაყავით 3-4-კაციან ჯგუფებად. ყველა ჯგუფს მიეცით ერთი დავალება. წარმოიდგინეთ, რომ მეცნიერებმა აღმოაჩინეს დაუსახლებელი პლანეტა, რომელიც თავისი ბუნებით (ნიადაგი, წყალი, ჰაერი) დედამიწის იდენტურია და შესაძლებელია იქ ადამიანების ცხოვრება. დედამიწელებს სხვადასხვა ქვეყნებიდან, გარკვეული დროით, შესთავაზეს ახალ პლანეტაზე დასახლება.

თქვენ გამოთქვით ახალ პლანეტაზე გამგზავრების სურვილი. ახალ პლანეტაზე ჩასულებმა გადაწყვიტეთ შექმნათ სახელმწიფო. თქვენ დაგევალათ შეგედგინათ ადამიანის უფლებათა სია, მაგრამ უფლებების რაოდენობაში შეზღუდული ხართ და უნდა დაასახელოთ მხოლოდ ხუთი უფლება. ადამიანის რომელ უფლებებს მიანიჭებდით უპირატესობას?

- სთხოვეთ სტუდენტებს ჩამოწერონ ხუთი უფლება. დავალების შესასრულებლად მიეცით 10 წუთი;
- 10 წუთის შემდეგ თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს ადამიანის ხუთი უფლება, რომლის დაცვაც ყველაზე მნიშვნელოვანია მათი აზრით;
- მოინიშნეთ ის უფლებები, რომლებიც ყველაზე ხშირად მეორდება. სთხოვეთ სტუდენტებს, რომ არგუმენტირებულად დაასაბუთონ, რატომ ანიჭებენ ადამიანის რომელიმე ამ უფლებას უპირატესობას?
- მონიშნეთ ის უფლებები, რომლებიც საერთოდ არ მეორდება. სთხოვეთ სტუდენტებს იმსჯელონ, თუ რატომ არ მიანიჭეს ამ უფლებას უპირატესობა?

აქტივობა: იმსჯელეთ განათლების მნიშვნელობაზე მოყვანილი ციტატების მიხედვით

ციტატა N1.

XIX საუკუნის ამერიკელი პოლიტიკოსი და დიპლომატი ედუარდ ევერეტი (1794-1865) წერდა: „განათლება თავისუფლებას უკეთ იცავს, ვიდრე საომრად გამზადებული ჯარი.“ თქვენ როგორ გესმით ევერეტის ეს სიტყვები?

ციტატა N2.

„განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრულ განვითარებასა და ადამიანის უფლებათა ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ, განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას. ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.“ (*ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია*).

თავი 13. კოლექტიური (სოლიდარობის) უფლებები

ტრადიციულად, სტუდენტებს სთხოვეთ იმსჯელონ, თუ რა იციან კოლექტიური უფლებების შესახებ. სთხოვეთ, შეძლებისდაგვარად დაასახელონ რემდენიმე კოლექტიური უფლება.

აქტივობა: დებატები

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობები დემოკრატიულ საზოგადოებაში

სწავლების პროცესში დებატები დაგვეხმარება საკითხის ირგვლივ უარყოფითი და დადებითი მოსაზრებების გაანალიზებაში. დებატების წარმოება შესაძლებელია ნებისმიერი სადაო საკითხის განხილვისას. სადაო კითხვა ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ სტუდენტებმა დათანხმების შემთხვევაში მოიძიონ არგუმენტები საკუთარი აზრის გასამყარებლად და შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარესაც ჰქონდეს შესაძლებლობა საკუთარი მოსაზრება დაასაბუთოს არგუმენტებით. თუმცა, დებატების კიდევ ერთი მომხიბვლელობა იმაში მდგომარეობს, რომ დებატების წარმოებისას შესაძლებელია სტუდენტებმა აღმოაჩინონ სრულიად განსხვავებული მიდგომებიც.

დებატების განსახილველი საკითხია – უნდა დააფინანსოს თუ არა ხელისუფლებამ უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების დაწყებითი განათლების მშობლიურ ენაზე მიღება?

აირჩიეთ ერთი სტუდენტი, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს რეგლამენტის დაცვაზე. შემდეგ სტუდენტები დაყავით სამ ჯგუფად:

1. მომხრეთა გუნდი; 2. მოწინააღმდეგეთა გუნდი; 3. დამკვირვებლები.

დაურიგეთ სამუშაო ფურცლები. სამუშაო ფურცელი N1. „დიახ-არგუმენტები განსახილველი საკითხის მხარდასაჭერად“; სამუშაო ფურცელი N2. „არა-კონტრარგუმენტები განსახილველი საკითხის მხარდასაჭერად“; პირველ ჯგუფში დაარიგეთ სამუშაო ფურცლები N1, მეორეში – სამუშაო ფურცლები N2. სთხოვეთ სტუდენტებს ყურადღებით წაიკითხონ ტექსტი. მოცემული არგუმენტები გაამდიდრონ საკუთარი მოსაზრებებით. იმსჯელონ ჯგუფებში, აირჩიონ სპიკერი, რომელიც ჯგუფის სახელით მიიღებს მონაწილობას დისკუსიაში. დავალების შესასრულებლად მიეცით 15-20 წუთი. დებატები შედგება სამი რაუნდისაგან:

I რაუნდი: თითოეული გუნდი მოკლედ გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას;

II რაუნდი: თითოეული გუნდის სპიკერი წარმოადგენს საკუთარ არგუმენტებს და, ამავე დროს, ცდილობს წარმოადგინოს მოწინააღმდეგე გუნდის კონტრარგუმენტები და გააბათილოს „მოწინააღმდეგეთა“ მოსაზრებები;

III რაუნდი: გუნდები აჯამებენ საკუთარ პოზიციას.

გამომსვლელთა რეგლამენტი: I რაუნდი არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს. თითოეული გამომსვლელისათვის გამოყავით 2 წუთი. II რაუნდში

სპიკერების დებატები გრძელდება 10 წუთი. თითოეულ სპიკერს ეძლევა 5 წუთი. III რაუნდი გრძელდება 6 წუთი, თითოეულ გუნდს ეძლევა 3 წუთი. რეგლამეტის დაცვაზე პასუხისმგებელ სტუდენტს შეუძლია შეაჩეროს რომელიმე მოპაექრე, თუ ის გადააცილებს დროის ლიმიტს (შესაძლებელია გამოვიყენოთ ზარი, ან რაიმე ხმოვანი სიგნალი).

დამკვირვებლები: დებატების დასრულების შემდეგ სთხოვეთ „ნეიტრალურ“ აუდიტირიას – დამკვირვებლებს, შეაფასონ ჯგუფები:

- რამდენად რაციონალურად გამოიყენეს გუნდებმა მათთვის განკუთვნილი დრო?
- როგორ ცდილობდნენ მოპაექრეები საკუთარი არგუმენტების დაცვას?
- რომელი არგუმენტები ჟღერდა ყველაზე დამაჯერებლად?
- რომელ არგუმენეტებს მიიჩნევდნენ ძლიერ არგუმენტებად?
- რომელ არგუმენტებს შეაფასებდნენ სუსტ არგუმენტებად?

სამუშაო ფურცლები

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობები დემოკრატიულ საზოგადოებაში

N1. არგუმენტირებული მსჯელობა. განსჯის საგანი.

უნდა დააფინანსოს თუ არა ჩვენმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ უმცირესობის ჯგუფების ბავშვთა დაწყებითი განათლება მშობლიურ ენაზე? „დიახ-არგუმენტები განსახილველი საკითხის მხარდასაჭერად“:

- ენა სწავლის გზაზე ხელშემწყობი საშუალებაა და არა – დაბრკოლება. დაწყებითი განათლების არსებითი მიზანი ბავშვისთვის აკადემიური მოსწრებისათვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევების გამომუშავებაა. დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის საბაზისო ცნებებისა და ინფორმაციის მშობლიურ ენაზე გაცნობა მათ საშუალებას მისცემთ, მაღალი კლასებისათვის უკეთ მოემზადონ, მეტ წარმატებას მიაღწიონ და ზრდასრულთა გარემოცვაშიც თავდაჯერებულად მოიქცნენ;
- ენა ყველაზე უფრო საჭირო მექანიზმია კულტურული იდენტობის შენარჩუნებლად. უმცირესობათა ჯგუფების დაწყებითი საფეხურის მოწაფეების მშობლიურ ენაზე სწავლება ბავშვებს ხელს უწყობს საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში. ნაციონალური ღირსების შეულახავად, უმცირესობათა ჯგუფის მოწაფეთა კულტურული იდენტობის განმტკიცება, მთლიანობაში ერის კულტურის გამდიდრებას უწყობს ხელს.
- მოწაფეები სწორედ მაშინ არ იშურებენ ძალ-ღონეს წარმატების მისაღწევად, როდესაც სხვათაგან გამორჩევის სურვილი უჩნდებათ და სკოლისგანაც კეთილგანწყობას გრძნობენ. უმცირესობათა ჯგუფების მოწაფეების დაწყებით კლასებში მშობლიურ ენაზე სწავლება, სკოლას უსაფრთხო ადგილად აქცევს. სკოლისადმი მოწაფეთა პოზიტიუ-

რი განწყობა მათ სწავლის გაგრძელებისაკენ უბიძგებს.

- სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართვა უმცირესობათა ჯგუფების მოწაფეთათვის დაწყებითი განათლების მშობლიურ ენაზე რეალიზებისათვის საუკეთესო ინვესტიციაა. უმცირესობათა ჯგუფების მოწაფეები სკოლას უფრო ხშირად ანებებენ თავს, ნაკლები წვლილი შეაქვთ ეკონომიკის განვითარებაში და უფრო ხშირად არღვევენ კანონს, ამიტომაცაა, რომ მოგვიანებით მათზე სახელმწიფო რესურსები მეტად იხარჯება. აქედან გამომდინარე, უმცირესობათა ჯგუფის ბავშვებისათვის მშობლიურ ენაზე განათლების მიცემა მათი სკოლაში დაკავების უფრო ეფექტური გზაა.
- საუბარი ენობრივი ნიშნით უმცირესობათა ჯგუფის საზოგადოებისაგან მარგინალიზაციაზე გადაჭარბებულია. უმცირესობათა ჯგუფის მოწაფეებს ყველანაირი სტიმული აქვთ საიმისოდ, რომ შეისწავლონ და გამოიყენონ უმრავლესობის ენა, ასევე, თავადვე განივითარონ და დახვეწონ თავიანთი მეტყველება იმისათვის, რომ თავი გაიტანონ და წარმატებას მიაღწიონ. დაწყებით საფეხურზე ამ მოწაფეებისათვის მშობლიურ ენაზე განათლების მიცემა მოზარდობისას, საზოგადოებასთან ინტეგრაციაში, მათ ხელს არ შეუშლის.

N2. არგუმენტირებული მსჯელობა. განსჯის საგანი.

- უნდა დააფინანსოს თუ არა ჩვენმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ უმცირესობის ჯგუფების ბავშვთა დაწყებითი განათლება მშობლიურ ენაზე? „არა-კონტრარგუმენტები განსახილველი საკითხის მხარდასაჭერად“:
- უმცირესობათა ენების სწავლება კეთილგანზრახული, თუმცა მცდარი კურსია. ენას მით უფრო უკეთ ითვისებ, რაც უფრო ახალგაზრდა ხარ. ამის საპირისპიროდ, დაწყებით საფეხურზე უმცირესობათა ჯგუფის ახალგაზრდების მშობლიურ ენაზე სწავლება, შეანელებს სახელმწიფო ენის მაღალ დონეზე ათვისების პროცესს. ამის შედეგად, ბევრი ადამიანი ვეღარ მოახერხებს სახელმწიფო ენაზე თავისუფლად მეტყველებას და, საბოლოო ჯამში, მარგინალ, მეორეხარისხოვან მოქალაქედ იქცევა;
- ეს არ არის სახელმწიფო სახსრების გონივრული ხარჯვა. სახელმწიფო ენა ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს და რაც უფრო ადრიდანვე ისწავლიან უმცირესობები მას, მით უკეთ იგრძნობენ თავს ქვეყნის მოქალაქედ და სახელმწიფო ერთიანობაც გარანტირებული იქნება;
- დომინანტური ენის სწავლება ხელს შეუწყობს მეტ სოციალურ ინტეგრაციასა და შემწყნარებლობას. როდესაც ბავშვები თავიდანვე სწავლობენ სახელმწიფო ენას, მოწაფეები – როგორც უმცირესობის, ისე უმრავლესობის ჯგუფებიდან – უფრო მეტად უახლოვდებიან და უმეგობრდებიან ერთმანეთს. ამის საპირისპიროდ, უმცირესობათა ჯგუფის ახალგაზრდების მშობლიურ ენაზე სწავლება არა მარტო აცალკევებს

მათ უფრო მოზრდილი საზოგადოებრივი დაჯგუფებებისაგან, არამედ მათ შორის ეროვნულ შუღლსაც აღვივებს;

- მოსწავლეები სკოლაში მარტო წერა-კითხვას და მიმატება-გამოკლებას როდი სწავლობენ. სკოლაში ისინი შეისწავლიან ქვეყნის ისტორიას, კულტურას და სახელმწიფო ენა მათ ამგვარი სწავლების არსებითი ნაწილია. რამდენადაც პიროვნებისთვის მისეული კულტურული ტრადიციები ძალზე მნიშვნელოვანია, იგი ამ ტრადიციებს ითვისებს შინ, ან კერძო პირის მიერ დაფინანსებულ კერძო სასწავლებელში, არაფორმალური თუ არაოფიციალური განათლების ფორმატში და არა საჯარო სკოლაში;
- მარგინალიზებული აღარ ნიშნავს თანაბარუფლებიანს. დაწყებით საფეხურზე უმცირესობათა ჯგუფის ახალგაზრდების მშობლიურ ენაზე სწავლება შექმნის პარალელურ სასკოლო სისტემას. უმცირესობათა ჯგუფის მოსწავლეებს, უმრავლესობის ენობრივ ერთობასთან შედარებით ნაკლები შესაძლებლობები აქვთ. მოწაფეებს უმრავლესობის ენობრივ ჯგუფებში ხელი მიუწვდებათ უფრო მეტ წყაროსა და უკეთეს მასწავლებლებზე, ამიტომ ისინი მეტი ყურადღებითაც ისარგებლებენ. შედეგად კი უმცირესობათა ჯგუფის მოსწავლეები მეორეხარისხოვან განათლებას მიიღებენ.

დისკუსიის დასრულებისა და ჯგუფების შეფასების შემდეგ სტუდენტებს ჰკითხეთ:

- ეთანხმებოდნენ იმ პოზიციას, რომლის დაცვაც უხდებოდათ ამ აქტივობაში?
- რა პოზიციას იზიარებდნენ დისკუსიის დაწყებამდე?
- შეიცვალეს პოზიცია დისკუსიის დასრულების შემდეგ?
- რამ განაპირობა მათი პოზიციის ცვლილება?
- რა ისწავლეს ამ დისკუსიიდან?
- როგორ ფიქრობენ, რამდენად გამოადგებათ ცხოვრებაში დისკუსიიდან მიღებული ცოდნა და უნარები?

დავალება N1.

სტუდენტებს სთხოვეთ მომდევნო ლექციისათვის მოამზადონ მცირე ესე: რა სახის ეკოლოგიური პრობლემებია ქალაქში, რაიონში, სოფელში, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ? თქვენ რით შეგიძლიათ დაეხმაროთ საკუთარ ქალაქს, რაიონს, სოფელს პრობლემის დაძლევაში.

დავალება N2.

ადამიანის უფლებების თავის დასრულების შემდეგ სტუდენტებთან იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

- თქვენი აზრით, რა არის ადამიანის უფლება?
- როგორ გესმით თავისუფლება?
- რა სხვაობაა თავისუფლებასა და თვითნებობას შორის?
- თქვენი აზრით, კანონი ზღუდავს ადამიანს, თუ იცავს მის თავისუფლებას?
- თქვენი აზრით, რას ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგი?
- რა მოხდებოდა, რომ არ არსებულიყო კანონი?
- როგორ გესმით, რა არის ვალდებულება?
- თქვენი აზრით, რა ვალდებულება აქვს სახელმწიფოს მოქალაქის წინაშე?
- არის თუ არა მოქალაქე სახელმწიფოს წინაშე ვალდებული?

თავი 14. ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები ეროვნულ დონეზე

ლექციის დაწყებამდე სტუდენტებს ჰკითხეთ, რა იციან ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების შესახებ. რა ინფორმაციას ფლობენ საქართველოს სასამართლო სისტემაზე და სახალხო დამცველის ინსტიტუტზე.

აქტივობა

დასვით სტუდენტები წრეზე. დაფაზე დაწერეთ კითხვა – „არსებობს თუ არა რაიმე კონკრეტული ეროვნული, კულტურული ან რელიგიური ტრადიცია, ადათი, შეხედულება, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის რომელიმე უფლებას?“ კითხვაზე პასუხის მოფიქრებისათვის სტუდენტებს მიეცით 10 წუთი და სთხოვეთ, საკუთარი მოსაზრება შეძლებისდაგვარად გაამყარონ მაგალითებით რეალური ცხოვრებიდან, ლიტერატურიდან, ისტორიული წარსულიდან და სხვა. ხუთი წუთის შემდეგ სათითაოდ ყველა სტუდენტს გამოათქმევინეთ საკუთარი აზრი.

შემთხვევის ანალიზი (Case-study)

შემთხვევის ანალიზი (Case study) – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რაც საკითხის ყოველმხრივ და საფუძვლიანად შესწავლის საშუალებას იძლევა. მაგალითად, სამოქალაქო განათლების სწავლების პროცესში შესაძლებელია გამოვიყენოთ კონკრეტული ამბები: ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები, რეალური ამბავი საარჩევნო უბნიდან – არჩევნების სამართლიან და კონკურენტულ გარემოში ჩატარების შესახებ. სამოქალაქო საზოგადოების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ და სხვა.

ამ მეთოდის გამოყენების წინ ლექტორი წინასწარ განსაზღვრავს სტუდენტების შესაძლებლობებს. ანალიზისათვის წარმოდგენილი სიტუაცია (შემთხვევა, ამბავი რეალური ცხოვრებიდან) უნდა შეესაბამებოდეს სტუდენტების მიერ შესწავლილ თემებს. შემთხვევის ანალიზისათვის ქეისის მომზადება შესაძლებელია ინტერნეტსივრცეში მოძიებული მასალის საფუძველზე, ქეისად შესაძლებელია ასევე, გამოვიყენოთ საგაზეთო და ჟურნალის სტატია, მცირე ზომის ესე, მოთხრობა, ნაწყვეტი მხატვრული ლიტერატურიდან, პუბლიკაციები. ქეისად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დოკუმენტური ანდა მხატვრული ვიდეომასალაც. ასევე, ლექტორს თავად შეუძლია შექმნას ქეისი. თუკი ქეისის ტექსტის სახით გამოყენებას გადაწყვიტავთ, წინასწარ დაბეჭდეთ იმდენი ეგზემპლარი, რომ ყველა სტუდენტს შეეძლოს ტექსტის გაცნობა. თუკი ტექსტი მცირე ზომისაა, მაშინ აჯობებს ვიდეოპროექტორის საშუალებით გააზიაროთ ეკრანზე და მთელი აქტივობის მანძილზე დატოვოთ გაზიარებული, რომ სტუდენტებს პერმანენტულად შეეძლოთ ტექსტში მოცემული ფაქტების გახსენება.

ამ მეთოდის გამოყენებისას ლექტორმა წინასწარ უნდა გააცნოს სტუდენტებს აქტივობის განხორციელების წესები. თემის შინაარსიდან გამომდინარე დაგეგმოს დროის ლიმიტი. მონაწილეთა და გამომსვლელთა რიგითობა. ასევე, ლექტორმა წინასწარ უნდა მოამზადოს კითხვები, რომლებსაც დაუსვამს სტუდენტებს. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას შეგვიძლია ისე დავგეგმოთ აქტივობა (თემის შინაარსიდან გამომდინარე), რომ ლექტორი არც კი ჩაერიოს დისკუსიაში და განხილვაში და ის მხოლოდ პასიური დამკვირვებლის როლს ასრულებდეს. თუმცა, შესაძლოა მოვლენები ისე განვითარდეს (წესების არდაცვა, დისკუსიის არასწორი ფორმატით წარმართვა, თემიდან გადახვევა და ა.შ), რომ აუცილებელი გახდეს ლექტორის ჩარევა. ასევე, შესაძლებელია ლექტორმა აქტივობაში საკუთარი როლი (ფასილიტატორი, მოდერატორი) წინასწარ განსაზღვროს.

შემთხვევის ანალიზის მეთოდის გამოყენება სტუდენტებთან შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. მცირერიცხოვან ჯგუფებში შესაძლებელია სტუდენტებმა ინდივიდუალურად მიიღონ მონაწილეობა. შედარებით დიდ ჯგუფებში სტუდენტები დაყავით მცირე ჯგუფებად. ჯგუფები შეიძლება გაიყოს ლექტორის მიერ, მაგრამ აჯობებს თუკი სტუდენტებს მივცემთ მეტ თავისუფლებას და ვთხოვთ, ჯგუფებში თავად განაწილდნენ საკუთარი სურვილით.

შემთხვევის ანალიზის მეთოდი, ისევე როგორც სხვა ინტერაქტიული მეთოდები სტუდენტებს უვითარებს კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებას. ამ მეთოდის მომხიბვლელობა იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტები რეალური ემპირიული ცხოვრებიდან აღებული ამბების, ფაქტების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე იძენენ პასუხისმგებლიანი და აქტიური მოქალაქის უნარებს. შემთხვევის ანალიზის მეთოდი საშუალებას იძლევა სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ სწორი დემოკრატიული ღირებულებები და დემოკრატიული საზოგადიოების მოქალაქის მსოფლმხედველობა.

ქეისის მაგალითები

თემა: ოჯახური ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა

„მე ვცხოვრობ სახლში, სადაც მეზობლები ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და ერთმანეთთან ხშირი კონტაქტი გვაქვს. ცოტა ხნის წინ ჩვენთან საცხოვრებლად ახლადდაქორწინებული წყვილი გადმოვიდა. გადმოსვლის დღიდან მათი ბინიდან გვესმოდა ჩხუბის ხმა, ყვირილი, ჭურჭლის მტვრევის ხმები. ყოველ ჯერზე პატრულს ვურეკავდით და პოლიცია მოდიოდა. მაგრამ სამწუხაროდ, გოგო ყოველ ჯერზე უარყოფდა ძალადობას... ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ ისინი ჩვენი სახლიდან გადავიდნენ. ქმარმა ცოლი სხვა ადგილას გადაიყვანა. როგორც ჩანს, ჩვენ მათ დისკომფორტს ვუქნიდით. სულ ვფიქრობ, მეტი დრო რომ გვქონოდა, იქნებ შეგვძლებოდა იმ გოგოს დახმარება...“

ეს ოჯახში ძალადობის 400 შემსწრიდან იმ ერთ-ერთის მონათხრობია, ვინც მეზობლის სახლიდან ჩხუბის ხმის გაგონებისას არ გაჩუმდა და ჩაერია.

- როგორ ფიქრობთ, როგორ იქცევიან ადამიანები, რომლებიც ოჯახში ძალადობის შემსწრენი ხდებიან?
- იმაზე თუ გიფიქრიათ, რამდენად გადამწყვეტი შეიძლება იყოს მათი მოქმედება?
- რა უშლით ხელს მათ მოქმედებაში?

დამატებითი მასალა ქეისის მოსამზადებლად

გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) და ჩეხეთის საელჩოსთან თანამშრომლობით გამოაქვეყნა დასკვნა. ამ დასკვნას საფუძვლად დაედო 400 რესპონდენტის მონათხრობი.

რესპოდენტების უმრავლესობა თვლის: „ოჯახური ძალადობის შემსწრეები რეაგირებისაგან თავს იკავებენ, რადგან თვლიან, რომ მათ ჩარევის უფლება არა აქვთ, ან უბრალოდ არ იციან, რა სახის დახმარება შეუძლიათ გაუწიონ ძალადობის მსხვერპლებს“.

ამ ადამიანების ნახევარს უცდია ოჯახურ ძალადობაზე რეაგირება, რაც მათივე თქმით, სასიკეთოდ აისახა მსხვერპლის მდგომარეობაზე. ხოლო ისინი ვინც არ ჩაერია, საკუთარ გადაწყვეტილებას ხსნიდნენ იმით, რომ არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა დახმარებოდნენ მსხვერპლს, ან ფიქრობდნენ, რომ ეს მათი საქმე არ იყო (51% სხვის კონფლიქტში არ ჩაერთო, 49% – პირიქით). ამ ამბებმა ისიც აჩვენა, რომ ხშირად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები თავად ამბობენ უარს დახმარებაზე. მათ არც პოლიციის ჩარევა სურთ.

იმ რესპონდენტების დიდმა ნაწილმა, ვინც ოჯახურ ძალადობაში ჩაერია, გადაწყვიტა, რომ შესაბამის უწყებებთან დაკავშირების ნაცვლად, თავად დაპირისპირებოდა მოძალადეს. გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილმა, 23%-მა დარეკა 112-ში და სხვა ცხელ ხაზებზე. 22%-მა განაცხადა, რომ არ იცოდა, ვისთვის მიემართა დახმარებისთვის, ხოლო 29%-მა ჩათვალა, რომ დახმარების არსებული სამსახურები პრობლემას ვერ მოაგვარებდნენ.

ოჯახში ძალადობის შემსწრეთა ქცევა ორ გამოკვლევაში – ორი მეთოდით შეისწავლეს – პირველ კვლევაში შემსწრეთა ქცევას აკვირდებოდნენ ქცევითი მიდგომის გამოყენებით, მეორეში კი მიკრონარატივების კვლევით.

UNDP-ის ინოვაციების სპეციალისტმა ხათუნა სანდოშვილმა რადიო თავისუფლებას უთხრა, რომ პირველ შემთხვევაში ძალადობის შემსწრის ქმედებას ე.წ. ფეისბუქინტერვენციის გზით სწავლობდნენ: „ჩვენ ადამიანებს ფეისბუქმესიჯების სახით ვთავაზობდით სწორ ინფორმაციას იმ ბარიერების საპირისპიროდ, რაც ძალადობის შემსწრეებს გაჩუმების-

კენ უბიძგებს და ვაკვირდებოდით მათ. მაგალითად, ვამბობდით, რომ საქართველოში ძალიან ცოტა ადამიანი ფიქრობს, რომ უნდა გაჩუმდეს მაშინ, როცა მის ნაცნობს პარტნიორი არასათანადოდ ექცევა. თან ვეუბნებოდით, რომ მათ შეეძლოთ მსხვერპლის დახმარება და კონკრეტულ უწყებებთან დაკავშირება. შემდეგ ვეკითხებოდით, შენ რით შეგიძლია დახმარება? და ვთავაზობდით რა უნდა ექნათ და ა.შ. ვზომავდით, რას მოიმოქმედებდნენ კონკრეტული ადამიანები, გადავიდოდნენ თუ არა თუნდაც შემდეგ გვერდზე“ - ამ დაკვირვებამ აჩვენა, რომ ინტერესი თემის მიმართ იყო ძალიან მაღალი.

რატომ სწავლობდნენ სწორედ შემსწრეთა ქცევას? იმიტომ, რომ ეს ის ხალხია, ვისაც ძალადობის ფაქტების შემცირებაში, ხელის შეშლაში, მსხვერპლის გადარჩენასა და რაც მთავარია, დამნაშავისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საქმეში ხშირად გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ.

რა ბარიერები ეღობება წინ ძალადობის შემსწრეთა მოქმედებას?

ნეგატიური სოციალური ნორმები:

- მიიჩნევენ, რომ ძალადობა ორ ადამიანს შორის პირადი საქმეა;
- მიიჩნევენ, რომ საზოგადოების სხვა წევრები მათ ჩარევას ჩათვლიან ოჯახის საქმეებში ჩარევად და ოჯახის დაშლის ხელშეწყობად;
- მათი აღქმით, ქალები ვალდებულნი არიან შეინარჩუნონ ოჯახი.

ინფორმაციის ნაკლებობა:

- მათ, უბრალოდ, არ იციან რა სერვისებია ხელმისაწვდომი ან როგორ შეუძლიათ მსხვერპლებს ამ სერვისებზე წვდომა;
- არ იციან, როგორ ამოიცნონ არაფიზიკური ძალადობა.

უმწეობის შეგრძნება:

- მათ სჯერათ, რომ ძალადობა იმდენად ჩვეულებრივი რამაა, რომ ვერაფერს იზამ. ეს ცხოვრების ნაწილია;
- სჯერათ, რომ დახმარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ძალადობის მსხვერპლი ადამიანი ოჯახიდან მიდის, რაც ნაკლებად სავარაუდოა.

შურისძიების შიში:

- იმის შიში, რომ მოძალადე მასზე შურს იძიებს;
- და რომ მსხვერპლი მასვე შეუტევს.

და კიდევ არის ერთი ბარიერი – საზოგადოებრივ აზრთან დაპირისპირების შიში. ხშირად, ძალადობის შემსწრე, შესაძლოა, სულაც იზიარებდეს გავრცელებულ სოციალურ ნორმებს, მაგრამ შეეშინდეს ხალხისგან გასამართლების, რადგან ის უმრავლესობის წინააღმდეგ წავიდა.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ის ადამიანები, ვინც გაჩუმებას ჩარევას ამჯობინებდნენ, საკუთარ გადაწყვეტილებას ასე ხსნიდნენ:

- მათი ჩართვის შემთხვევაში მათ სერვისებიც დაეხმარებოდა;
- რომ ჩარევა მათი პირადი ვალდებულება იყო;
- და რომ იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ.

„კარგი ის არის, რომ წინა წლებთან შედარებით მომართვიანობა გაზრდილია“, – გვეუბნება ელისო ამირეჯიბი, „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ წარმომადგენელი. თუმცა, მისი შეფასებითაც, დღემდე პრობლემად რჩება ის, ოჯახში ძალადობის შემსწრენი პოლიციას და სხვა შესაბამის ორგანიზაციებს მხოლოდ უკიდურეს მომენტში მიმართავენ ხოლმე. მსხვერპლი კი, არც თუ იშვიათად მოძალადეს ხელს აფარებს და ძალადობას უარყოფს. (*https://www.radiotavisupleba.ge/*).

რეალური ამბები ოჯახური ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ:

ამბავი N1.

„თეა ხაჩიროვი ახალგორის რაიონის სოფელ ყანჩავეთიდანაა. გარდა 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიისა, როდესაც იძულებული გახდა, ოჯახთან ერთად ფუძე დაეტოვებინა და წეროვანში დასახლებულიყო. მას პირადი მძიმე ისტორია აქვს: წლების მანძილზე, ქმრისგან სასტიკი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფის ატანა უწევდა.

თეა ხაჩიროვი: ყოფილა შემთხვევა, ქმარს ისე ვუცემივარ, რომ თავად მასაც კი მკვდარი ვეგონე. როდესაც „საფარს“ მივმართე, ჩემი მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო.

– კონკრეტულად რა იურიდიული მომსახურება მიიღეთ აქ?

– „საფარი“ სხვადასხვა პრობლემების გადაჭრაში დამეხმარა: ალიმენტის დანიშვნაში, დამცავი ორდერის გაცემაში, ამჟამად კი ქონებრივი დავის მოგვარების პრობლემაზე ვმუშაობთ. ჩემი ყოფილი ქმარი ბავშვებს საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას და მოხარული ვარ, რომ ალიმენტის გადახდა დაეკისრა.

– დიდი ხანია, რაც ამ ძალადობრივ გარემოში გიწევთ ცხოვრება?

– 12 წელი... არანაირი ინფორმაცია არ მქონდა, რომ ამ კოშმარისთვის წერტილის დასმის შესაძლებლობა არსებობდა, რომ ჩემი უფლებების დაცვა შემეძლო, რომ ამ ძალადობრივი პროცესის ზოგადად დასრულება შესაძლებელი იყო.

– „საფარი“ როგორ აღმოაჩინეთ?

– ჩემზე განხორციელებული ძალადობის ერთ-ერთი მორიგი შემთხვევისას, პოლიციაში განვაცხადე. პოლიციამ დევნილებისთვის განკუთვნილ ფსიქოლოგიურ სერვისთან გადამამისამართა. ჩემი ისტორიის გაცნობის შემდეგ, ფსიქოლოგმა ორგანიზაცია „საფარში“ მოსვლა მირჩია. მან მითხრა, რომ ეს ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადამედგა, რადგან ოჯახში დარჩენის შემთხვევაში, ჩემს სიცოცხლეს მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრებოდა. რაღა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ასევე საშინლად აისახებოდა ბავშვების ფსიქიკაზე.

– ბავშვები როგორ შეხვდნენ თქვენს გადაწყვეტილებას?

– ისინი 10 და 12 წლისანი არიან. საოცრად უხარიათ, ამ ჯოჯოხეთს თავი რომ დავაღწიეთ.

– თავად მოძალადე რას ამბობს?

– ამ მდგომარეობას ვერანაირად ვერ შეეგუა, მემუქრება, როგორც ზოგადად მოძალადეებს სჩვევიათ ხოლმე. თუმცა, მე მისი უკვე აღარ მეშინია, რადგან გვერდით მიდგას „საფარი“, მისი ადვოკატები. ისინი ყველანაირად მეხმარებიან და მაძლიერებენ. თავიდანვე რომ ასეთი მხარდაჭერა მქონოდა, ამ საშინელებაში ამდენი წელი არ ვიცხოვრებდი…

– რას ურჩევდით ქალებს, რომლებიც თქვენნაირად ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი არიან და დღემდე ამ გარემოში ცხოვრებას განაგრძობენ?

– მათ ვეტყოდი, რომ აუცილებლად უნდა გადადგან მკვეთრი ნაბიჯები. არსებობს ორგანიზაცია, რომელიც მათ იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას გაუწევს და მიმდინარე პრობლემებს მოუგვარებს. „საფარი“ მათ უფლებებს დაიცავს, ყველანაირად მხარში დაუდგება და ბოლომდე მათ გვერდით იქნება. პირველ რიგში, ბავშვებზე უნდა იფიქრონ, ბავშვებისთვის აუცილებელია, ამ ძალადობრივ გარემოში არ იზრდებოდნენ. რა თქმა უნდა, ასე უფრო უკეთესები გაიზრდებიან და არც ფსიქიკა დაუმახინჯდებათ. მე პირადად, ძალიან ვნანობ მოძალადე კაცთან გატარებულ 12 წელს და მიხარია, რომ თავისუფალი ვარ, ვაკეთებ იმას, რაც მინდა, მშვიდად მძინავს და არ მეშინია, რომ ყოფილი ქმარი საიდანღაც მოვა და ისევ შეურაცხყოფას და ძალადობას დაიწყებს. ესაუბრა შორენა გაბუნია

ამბავი N2.

„ეკატერინე გოგოლიშვილი წარმოშობით აჭარელია. იგი მოტყუებით დაქორწინდა და მას შემდეგ, მის მიმართ ფსიქოლოგიური, ფიზიკური და ეკონომიკური ძალადობა არ შეწყვეტილა. მოძალადე ნარკო და ალკოჰოლდამოკიდებული პიროვნებაა, რომელიც არაერთხელ არის ნასამართლევი სხვადასხვა დანაშაულზე, მათ შორის ოჯახში ძალადობაზე. ძალადობის ბოლო შემთხვევა ფატალური შედეგით დამთავრდებოდა, რომ არა ყოჩაღი მეზობელი, რომელმაც ეკატერინე სიკვდილს გადაარჩინა. პოლიციამ ეკას დასახმარებლად არაფერი გააკეთა. უფრო მეტიც: პოლიციის უმოქმედობით გათამამებული მოძალადე კვლავ უხეშად განაგრძობდა მსხვერპლზე ძალადობას.

ეკატერინე გოგოლიშვილი: ძალიან დიდი პრობლემა მქონდა, პირველ რიგში იმისა, რომ სანამ „საფარს“ არ დავუკავშირდი, ვერანაირად ვერ დავამყარე კონტაქტი სამართალდამცავ ორგანოებთან. ანუ, რეალურად, ჩემი მოსმენა არავის უნდოდა, პროვოკატორად აღმიქვამდნენ. თავს ძალიან დამცირებულად ვგრძნობდი. ისიც კი მითხრეს პოლიციაში, შეიძლება, იქით დასაჭერი ხარო.

ჩვენთან, ქალის მოსმენა არავის უნდა. ეს მსხვერპლს საქმეს ძალიან ურთულებს. არცერთ ადვოკატს არ სურს ასეთი საქმისთვის ხელის მოკიდება, ყველა გაურბის, რადგან, დათანხმების შემთხვევაში, ადვოკატები თავადვე ხდებიან დაცინვის და ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლნი. თუ ადვოკატი ქალია, აშანტაჟებენ. სასოწარკვეთილი დავეძებდი ადამიანს, რომელიც ჩემ ინტერესებს დაიცავდა, ახლობელსაც ვთხოვე, მაგრამ ამაოდ – არავინ მოკიდა ხელი ჩემ საქმეს. იმის მტკიცებაც კი დამჭირდა, რომ საკუთარი თავი არ მიცემია, რომ სისხლი საიდანღაც არ მომიტანია და სახეზე არ წამისვამს.

გასული წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ასეთ დღეში ვარ. ოქტომბერში, იძულებული გავხდი, სახლი დამეტოვებინა და არასრულწლოვან შვილთან ერთად, საცხოვრებლად დედაჩემთან გადავსულიყავი. მივმართე გენერალურ ინსპექციას, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ ვერანაირი პასუხი ვერ მივიღე.

– როგორც ვიცი, თქვენი ყოფილი ქმრის მხრიდან ძალადობას წლების მანძილზე ითმენდით. რა გიბიძგებდათ ძალადობაში ცხოვრებისკენ?

– ეს ძალადობა დაიწყო ქორწინების შემდეგ, ქორწინებამდეც კი, და 17 წლის მანძილზე გრძელდებოდა. ჩემს ყოფილ ქმართან გაცილებული კი ვარ, მაგრამ იგი მაინც არ მეშვება (საერთო შვილს იმიზეზებს). წლების მანძილზე, ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ადამიანთან ცხოვრებას ვიტანდი. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემმა ყოფილმა ქმარმა ინსცენირება დადგა, თითქოს მის მოკვლას ვცდილობდი, ეს მაშინ, როდესაც ადამიანს არც კი შევხებივარ. საზოგადოებამ ისევ მე გამკიცხა, რატომ იჩივლაო, ბრალი დამდეს. არადა, არც კი მიჩივლია, პირიქით, თავის მართლება მომიწია, ჩვენება მივეცი, რომ დანას არ შევხებივარ და თავს არავის დავსხმივარ.

ჩვენ, ძალადობაში მცხოვრები ქალები, მუდმივად ვიმეორებთ, რომ ამდენ დისკომფორტს და ძალადობას ბავშვების გამო ვითმენთ. მაგრამ, მოხდა ისე, რომ ნარკოტიკული საშუალების თრობის ქვეშ მყოფმა ჩემმა მეუღლემ ჩვენი მცირეწლოვანი ბავშვი მანქანაში ძალით ჩაისვა. მოხდა ავარია, ბავშვი გარდაიცვალა. სწორედ ამის შემდეგ მივხვდი, რომ ამ ძალადობის თმენა, თუნდაც ბავშვების კეთილდღეობის მოსაზრებით, ჩემი მხრიდან დიდი შეცდომა იყო. თუ გინდა, რომ შვილი ცოცხალი და ბედნიერი გყავდეს, არ უნდა მოითმინო არაფერი!

– ირგვლივ თუ გყავდათ თანამოაზრეები?

– ჩემთვის ყველაზე მძიმე გადასატანი ის ფაქტორი იყო, რომ ჩემ

ირგვლივ მყოფი არც ერთი ქალი არ დამხმარებია. მე და ჩემი შვილი სრულიად მარტონი ვიყავით. ჩემს დას, რძალს, დედაჩემს, ჩემი მხარდაჭერის ყველას ეშინოდა. მას შემდეგ, რაც ჩემს სრულიად უიმედო საქმეში „საფარი“ ჩაერთო, სიტუაცია მთლიანად შეიცვალა. ჩემმა ადვოკატმა, ელისო რუხაძემ, უპირველესად, სამართალდამცავებს უჩვენა, რომ ჩემი უმძიმესი მდგომარეობა სრულიად რეალური იყო. ქალს არ სურს, რომ კაცის პოზიცია დაიკავოს, მას სურს, რომ იყოს ცოცხალი, რომ არ ჩაგრავდნენ, რომ მისი შვილები არ დაიჩაგრონ. ჩემი მეორე შვილი, ძალადობის მსხვერპლია ფიზიკურადაც და მორალურადაც. იმ დროს, როდესაც მას სკოლის დამამთავრებელი და უმაღლესში მისაღები გამოცდები უნდა ჩაებარებინა, მუდმივი ძალადობის მსხვერპლი იყო. ოჯახში ნამდვილი კატასტროფა ტრიალებდა, რასაც არ ითვალისწინებდა არც საზოგადოება და არც სამართალდამცავი ორგანოები. „საფარმა“ ყველაზე რთული ამოცანა შეასრულა – სამართალდამცავები აიძულა, კანონის მიხედვით ემოქმედათ, რაც მანამდე სანატრელი მქონდა. მათი მხრიდან დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ბოლოს სიტუაცია ისე შემობრუნდა, რომ ისინი ჩემს ადვოკატს ურეკავდნენ და კონსულტაციებს ეკითხებოდნენ.

– ამის შემდეგ, რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში?

– აღსანიშნავია, რომ „საფარის“ ჩარევის შემდეგ, ჩემ ირგვლივ არსებული ვითარება მხოლოდ იურიდიული კუთხით კი არ შეიცვალა, არამედ თვითონ ადამიანებიც შემობრუნდნენ ჩემკენ (პოლიცია საზოგადოებასთან მჭიდრო კონტაქტშია). ჩემმა ნათესავმა ქალებმა, რომლებსაც მანამდე თავიანთი პოზიციის დაფიქსირების ეშინოდათ, უკვე დამირეკეს და თავიანთი დახმარება შემომთავაზეს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში მათი ჩვენება გახდება საჭირო. გარდა ამისა, აქამდე არც ერთი მეზობელი არ გვესალმებოდა. ადამიანი, რომელიც წლების მანძილზე სასტიკი მოძალადე იყო, საზოგადოებაში ლამის სახალხო გმირის პატივით სარგებლობდა. „კაცმა რაც არ უნდა გააკეთოს, ის მართალია. მერე რა, რომ ნარკომანი და ლოთია, სამაგიეროდ, კაცია და თავისი სიმართლე აქვს“, – აი, ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ. არც ერთი ადამიანი არ გამოჩენილა ჩვენს მხარდასაჭერად. მე და ჩემი შვილი ხანდახან ვფიქრობდით, იქნებ მართლა დამნაშავენი ვართო. მოსკოვში წავედი იმის გამო, რომ ამ ხალხში ცხოვრება უკვე გაუსაძლისი იყო, სამსახურიც ვეღარ შევინარჩუნე. ახლა ვითარება სრულიად სხვაგვარი გახდა, ქუჩაში გასვლის აღარ მეშინია.

ჩემს ყოფილ ქმარს ამჟამად წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული. სექტემბერში სასამართლო გაიმართება, დიდი იმედი მაქვს, რომ დაუსჯელი არ დარჩება. თუ იგი სასჯელს გადარჩება, ე. ი. ყველას დაუსჯელობის სინდრომი ექნება და ყველა კაცი იმას გააკეთებს თავის ოჯახში, რასაც ეს წლების მანძილზე სჩადიოდა. მინდა ვთქვა, რომ ნახევარი ქობულეთი ასეთ მდგომარეობაშია. ჩვენს კაცებს, ქალებთან მი-

მართებაში, საშინელი დაუსჯელობის სინდრომი აქვთ. კაცი, რომელიც მკლავდა, რომელმაც სიცოცხლე გაუმწარა ჩემს შვილს და რომლის გამოც ჩემი უმცროსი შვილი ცოცხალი აღარაა, დაუსჯელობის სინდრომს არ უნდა განიცდიდეს და არ უნდა ფიქრობდეს, რომ „მაგარია“, რომ სწორად იქცევა და რომ სხვა არის დამნაშავე მის უბედურებაში. იმედი მაქვს, საზოგადოება ამ კაცს ადვოკატისა და საპროცესოს თანხას არ შეუკრებს, როგორც ეს ამას წინათ გააკეთეს.

ყველა ქალმა უნდა იცოდეს, რომ არაფერი მოითმინოს და სჯობს, თავიდანვე გაეყაროს მოძალადე ქმარს, რომ შვილებიც ცოცხალი ჰყავდეს და თავადაც ჯანსაღი ფსიქიკა და ფიზიკური მდგომარეობა შეინარჩუნოს.

– ელისო რუხაძე, „საფარის“ იურისტი: ეკატერინეს საქმეში ჩვენი ჩართვის შემდეგ, მომზადდა დამცავი ორდერი, რომელიც ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული. კერძოდ, მოძალადეს მსხვერპლთან მიახლოება აეკრძალა. ასევე, გამოიცა სხვა დაცვითი ღონისძიებები. ჩვენი მოთხოვნა, დამცავი ორდერის მოქმედება განსაზღვრულიყო ყველგან, სადაც მსხვერპლი იმყოფებოდა, ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა და მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა. აღნიშნული გასაჩივრდა სააპელაციო წესით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც ჩვენი მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა.

ასევე, ჩვენი ორგანიზაციის დახმარებით, მოძალადის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა 126 მუხლის 2 ნაწილით და მოძალადეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა. „საფარი“ ამზადებს სარჩელს შსს-ს წინააღმდეგ, პოლიციის უმოქმედობისა და მიყენებული ზიანის თაობაზე. ესაუბრა შორენა გაბუნია. (*https://sapari.ge).*

თავი 15. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

ლექციის დაწყებამდე სტუდენტებს ჰკითხეთ, რა ინფორმაციას ფლობენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესახებ.

დავალება

სტუდენტებს დაურიგეთ ტექსტი – „სულხან მოლაშვილის საქმე.“ სთხოვეთ, მოიძიონ მასალა და პასუხი გასცენ ტექსტის ბოლოს დასმულ კითხვებს.

სულხან მოლაშვილის საქმე

2004 წლის 22 აპრილს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და უკანონო ფინანსური მაქინაციების ბრალდებით დააპატიმრეს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი.

მის დაპატიმრებას წინ უძღვოდა მისი პრესკონფერენცია, სადაც განაცხადა, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარედ მუშაობისას მოპოვებული ჰქონდა დოკუმენტაცია, რომელიც ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების კორუფციასთან კავშირს ადასტურებდა.

დაპატიმრებიდან სამ თვეში კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს ვაკე-საბურთალოს სასამართლომ უკვე მოხდილი სამთვიანი პატიმრობა კიდევ სამი თვით გაუგრძელა. იგი სტენოკარდიული შეტევით ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. სულხან მოლაშვილის ადვოკატებმა და ზოგიერთმა ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ სულხან მოლაშვილი იყო პოლიტიკური პატიმარი და წინასწარი დაკავების იზოლატორში მას სასტიკად აწამებდნენ. ალტერნატიულმა სამედიცინო ექპერტიზამ (ექსპერტი მაია ნიკოლაიშვილი) დაადასტურა მისი ელექტროშოკითა და სიგარეტის ნამწვებით წამების ფაქტი. სულხან მოლაშვილის ადვოკატი შალვა შავგულიძე For.ge-სთან საუბარში იხსენებს: „სულხანი პირველად მე ვნახე, რომ მოიყვანეს, ზურგი სულ ამომწვარი ჰქონდა სიგარეტით. ვერ იძინებდა, ისეთ მდგომარეობაში იყო ტკივილისაგან. მაშინაც ამბობდა ვინ აწამა და გვარებს ასახელებდა. ამბობდა, რომ ხმები ზუსტად მახსოვს ვინ იყვნენო. მან ხმებით იცნო ეს ხალხი, რადგან თავზე გადაფარებული ჰქონდა და ისე აწამებდნენ“.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ – ელენე თევდორაძემ წინაწარი დაკავების საკანში კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის მონახულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა: „ის რაც ვნახეთ, შოკში ვართ, კამერაში გაუსაძლისი პირობებია“. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა მათიას

იორშმა მოლაშვილის წინასწარი დაკავების საკანში მონახულების შემდეგ 8 ივლისს ბრიფინგზე განაცხადა: „თუკი ასეთი საქმეები გასაჩივრდება ევროპის სასამართლოში, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო, გარწმუნებთ, რომ საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგო გადაწყეტილებას გამოიტანს“.

2004 წელს სულხან მოლაშვილმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სარჩელით მიმართა. 2008 წელს პატრიარქის თხოვნით და მძიმე ავადმყოფობის გამო, სულხან მოლაშვილი შეიწყალეს. გათავისუფლების შემდეგ ხელისუფლება მისი ოჯახის წევრებზე ზეწოლით ცდილობდა ეიძულებინა მოლაშვილისთვის ევროპული სამართლოდან სარჩელის გამოტანა. მოლაშვილმა დატოვა სამშობლო, მაგრამ სარჩელი ევროპული სასამართლოდან არ გამოუტანია.

ათწლიანი ლოდინის შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ საბოლოო ვერდიქტი მიიღო. გადაწყვეტილებას წინ უძღვოდა მხარეთა შორის მორიგება. საქართველოს სახელმწიფომ აღიარა ევროკონვენციის არაერთი მუხლის დარღვევა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 მარტის წერილის საფუძველზე, ხელისუფლებამ სულხან მოლაშვილის წამების ფაქტის საფუძვლიანად გამოძიებისა და სამი თვის ვადაში მოლაშვილის სასარგებლოდ 20000 ევროს გადახდის ვალდებულება აიღო. ციხეში არაადამიანური წამების შედეგად მძიმედ დაავადებული სულხან მოლაშვილი, სრულიად ახალგაზრდა – 46 წლის, 2016 წლის 29 ივნისს გარდაიცვალა. (*აბაშიძე ზ. და სხვ. 2020. გვ. 116-117*).

? შეკითხვები:

- ადამიანის რომელი უფლებები დაარღვია საქართველოს სახელმწიფომ სულხან მოლაშვილის მიმართ?
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის რომელი მუხლების დარღვევაში დაადანაშაულა ევროპულმა სასამართლომ საქართველო?
- იფიქრეთ და იმსჯელეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების არსებობა?

თავი 16. ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტი

ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტის განხორციელებაში სტუდენტებს დაეხმარებათ შემდეგი საფეხურების გავლა:

1. საზოგადოებაში არსებული პრობლემის გამოვლენა;
2. განსახილველი პრობლემის ან პრობლემების განსაზღვრა;
3. პრობლემის გამოკვლევა მთავრობის მიერ განსახორციელებელი მოქმედებების ჭრილში;
4. კვლევის საფუძველზე პრობლემის აღწერის დახვეწა;
5. პრობლემის კვლევა ადამიანის უფლებების ჭრილში;
6. პრობლემის შესწავლა სამოქალაქო საზოგადოების ჭრილში;
7. პრობლემის შესწავლა მოქალაქის ინდივიდუალური მონაწილეობის ჭრილში;
8. სამოქმედო გეგმის შემუშავება;
9. გეგმის განხორციელება;
10. პრეზენტაციის მომზადება.

პროექტის პრეზენტაციის მომზადებაში დაგეხმარებათ წარმოდგენილი სტრუქტურა და კითხვები, კერძოდ:

- შესავალი
- რა არის პროექტის თემა?
- რატომ ავირჩიე ეს თემა?
- პრობლემის ანალიზი (რამდენად პრობლემატურია საკითხი საქართველოს მასშტაბით? გლობალური თვალსაზრისით?)
- რა არის ჩემი პროექტის მიზანი?

კითხვები პრობლემასთან მიმართებით ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულების კვლევისათვის:

- რა კეთდება ამ პრობლემის გადასაჭრელად ხელისუფლების დონეზე? როგორ მოვიპოვე ინფორმაცია ხელისუფლების მხრიდან აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე განხორციელებული პროექტებისა და საკანონმდებლო აქტების შესახებ?
- რა ქმედით ღონისძიებებს მიმართავს სამოქალაქო საზოგადოება პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით? რომელი არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან მოვიპოვე აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია?
- მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე რომელი განხორცელებული ქმედითი ღონისძიებაა უფრო ეფექტური?

კითხვები პრობლემასთან მიმართებით პირადი ინიციატივების განსაზღვრისა და საქმიანობის დასაგეგმად:

- რა შემიძლია გავაკეთო მე?
- ვისი თანადგომა და მხარდაჭერა დამჭირდა? ვინ დამეხმარა?
- როგორია პრობლემის გადაწყვეტის ჩემეული ვერსია?
- დასკვნა
- რამდენად შევძელი დასახული მიზნის მიღწევა?
- რა შევიტყვე აღნიშნული პრობლემის შესახებ პროექტის დასრულების შემდეგ?
- პროექტი წარმატებულია?
- რა მომცა ამ პროექტმა (შევიძინე მეტი ცოდნა; ვისწავლე ვის უნდა მივმართო ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში დახმარებისათვის; უკეთ გავიცანი ჩემი მეგობრები, ვისწავლე გუნდური მუშაობა; და ა.შ)
- რა მოლოდინებით დავიწყე პრეზენტაციაზე მუშაობა?
- როგორ განვითარდა ჯგუფში თანამშრომლობა?
- რა მომეწონა ყველაზე მეტად?

მიზნების ხე

ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტის გეგმის შედგენაში სტუდენტებს დაეხმარება „მიზნების ხე“, რომლის აგების პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: ქვედა დონეზე წარმოდგენილი მიზნები უნდა ემსახურებოდეს ზედა დონეზე მითითებული მიზნის მიღწევას. ყოველი ქვედა რგოლის მიზანი ემსახურება მთავარი მიზნის განხორციელებას.



მიზნების ხის აგებისას არ არსებობს უნივერსალური წესები. მიზნების ხის აგებისას მთავარია გავითვალისწინოთ, რომ მიზანი რომელსაც ვისახავთ, იყოს კონკრეტული, ზუსტი და თანმიმდევრული და რაც მთავა-

რია, რეალისტური. რაც არ უნდა მიმზიდველად გამოიყურებოდეს ჩვენი მიზანი, რაც არ უნდა ჰუმანური და სასარგებლო იყოს ის, თუკი მიზნის განხორციელება ჩვენივე ძალებს აღემატება, რაც არ უნდა სწორად ავაგოთ მიზნების ხე, იგი მიზნის განხორციელებაში ვერ დაგვეხმარება.

მიზნების ხის აგების ეტაპები

- **სტრატეგიული მიზნის ჩამოყალიბება.** უმაღლესი მიზანი ესაა ხის კენწერო. მიზანი პასუხობს კითხვებს: 1. მე (ჩვენ, ჯგუფმა) რა მსურს მივიღო (ან გვსურს მივიღოთ) გარკვეულ ვადებში? 2. რას მინდა მივაღწიო? ვინ მინდა ვიყო? ამ კითხვებზე პასუხს ვწერთ „ხის კენწეროში";
- **ვწერთ პირობას, რომელიც განაპირობებს ძირითადი მიზნის მიღწევას.** პასუხობს კითხვაზე: რა სახის ამოცანები და მიზნებია გადასაჭრელი ძირითადი მიზნის განხორციელებისათვის?
- **გამოვყოფთ მიზანს ან ამოცანას,** რომელიც უშუალოდ ჩვენზეა დამოკიდებული, ან ირიბად არის დამოკიდებული ჩვენს გავლენაზე, ან პირიქით საერთოდ არაა ჩვენზე დამოკიდებული (ეს პუნქტი ზოგ შემთხვევაში აუცილებელი, ხოლო ზოგ შემთხვევაში, საერთოდ არ არის საჭირო);
- **შემდეგი პუნქტის შესავსებად ვიმეორებთ იმავე პროცედურას** და ვაგებთ შუალედურ იერარქიას იქამდე, სანამ არ ამოვწურავთ მიზნის მისაღწევ ამოცანებს.



პრობლემის ანალიზი

ზოგიერთი პრობლემის საბოლოოდ გადაჭრა, ხშირად სტუდენტთა შესაძლებლობებს აღემატება. შესაძლოა სტუდენტებმა პრობლემა სრულად ვერ აღმოფხვრან, მაგრამ მის მოგვარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ. პრობლემის ანალიზი დაეხმარებათ სტუდენტებს პრობლემის სრული სპექტრით წარმოჩენაში და მის მოგვარებაში საკუთარი რეალური წვლილის დანახვაში.

ვასახელებთ პრობლემას. ხის ნაყოფში ვწერთ შედეგებს (რა შედეგი დგება?) ხის ფესვებში ვწერთ მიზეზებს (რამ გამოიწვია პრობლემა?). პრობლემების ხე თვალსაჩინოს ხდის იმ მიზეზებს, რასაც საბოლოოდ პრობლემამდე მივყავართ. „ფესვებში“ განთავსებული რომელიმე მიზეზის აღმოფხვრა ან მისი შესუსტება, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პრობლემის გადაწყვეტის პერსპექტივას.



ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტის პრეზენტაციის მომზადება და შეფასება

პრეზენტაციის არსი და მიზანი

პრეზენტაცია არის ინფორმაციის თვალსაჩინო წარმოჩენა აუდიოვიზუალური საშუალებების გამოყენებით. ის წარმოადგენს კომპიუტერული ანიმაციის, გრაფიკის, მუსიკისა და ვიდეოგამოსახულების შერწყმას ერთ სივრცეში. პრეზენტაცია აგებულია გარკვეულ სცენარზე და გააჩნია სტრუქტურა. პრეზენტაციის განსაკუთრებული ნიშანი მისი ინერაქტიულობაა. პრეზენტაციის მიზანია აკადემიურ თემატიკასთან შესაბამისობაში სტუდენტის მიერ განხორციელებული სამუშაოს აუდიტორიისათვის საჯარო გაცნობა. ასევე, მოდულით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების, კომპეტენციებისა და ცოდნის დემონსტრირება.

ჯგუფების შექმნა და პრეზენტაციის ჩატარების ვადები

პროექტზე მუშაობას სტუდენტები იწყებენ სწავლის დაწყებიდან მეხუთე-მეექვსე კვირაში. შესაბამისად, მერვე კვირაში სტუდენტებს უკვე გამოკვეთილი უნდა ჰქონდეთ ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტის თემა. თემის სირთულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ერთ

თემაზე იმუშაოს სამმა ან ოთხმა სტუდენტმა. გამონაკლის შემთხვევებში, თუ სტუდენტები დაასაბუთებენ, რომ პროექტის თემატიკიდან გამომდინარე, მათ მიერ შესასრულებელი სამუშაო, მეტ ადამიანურ რესურს მოითხოვს, შესაძლებელია ერთ პროექტზე იმუშაოს არაუმეტეს ხუთი სტუდენტისაგან შემდგარმა ჯგუფმა (ჯგუფში ხუთი სტუდენტი მაქსიმუმია).

ჯგუფების შექმნის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ლექტორი სიის მიხედვით ან გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვით ქმნის ჯგუფებს. ლექტორი ისე აკომპლექტებს ჯგუფებს, რომ თითო ჯგუფში მოხვდნენ როგორც ძლიერი სტუდენტები, ასევე შედარებით სუსტი სტუდენტები.

საუკეთესო ვარიანტია სტუდენტებს მივცეთ მეტი თავისუფლება და მათთვის საინტერესო თემატიკის მიხედვით თვითონ შექმნან ჯგუფები. ლექტორი მხოლოდ მაშინ ეხმარება, თუკი სტუდენტები დამოუკიდებლად ვერ ქმნიან ჯგუფებს, ან დარჩენილია რამდენიმე სტუდენტი ჯგუფის გარეშე.

პრეზენტაცია ტარდება სემესტრის ბოლო კვირას. თუ ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა აღემატება 25 სტუდენტს, ან პროექტების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ სტუდენტები ვერ ჩაეტევიან ცხრილით განკუთვნილ დროში, ასეთ შემთხვევაში შეიძლება პრეზენტაციის ჩასატარებლად გამოვყოთ ბოლო ორი კვირა.

ახალგაზრდულ სამოქალაქო ჩართულობის პროექტს ხელმძღვანელობს და წარმართავს ლექტორი. საპრეზენტაციო ფორმატი უნდა ატარებდეს ოფიციალურ ხასიათს, რაც გულისხმობს ეტიკეტის შესაბამისი ნორმების დაცვას.

საპრეზენტაციო ნაშრომი სტუდენტების მიერ ლექტორს უნდა გაეგზავნოს პრეზენტაციის ჩატარებამდე ორი დღით ადრე, რათა ლექტორი გაეცნოს პრეზენტაციის შინაარს და ტექნიკურად მოამზადოს ვიდეოპროექტორზე გასაშვებად. პლაგიატიზმის შემცველი ნაშრომი არ შეფასდება. ასევე მიუღებელია ნაშრომში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ სასწავლო ლიტერატურად ამოკრებილი ტექსტების კომპილაცია.

ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტის პრეზენტაციაში ნათლად უნდა ჩანდეს სტუდენტის შემოქმედება, კლევა, საკუთარი პოზიცია.

პრეზენტაციის ჩატარების ეტაპები

ჯგუფური პრეზენტაცია მიჰყავთ სტუდენტებს და ისინი აუდიტორიის წინაშე ჯგუფურად წარმოადგენენ მას. სტუდენტები თანაბრად ინაწილებენ წარმოსადგენ მასალას. პრეზენტაციას ხსნის ერთ-ერთი ჯგუფის წევრი, ის წარუდგენს აუდიტორიას პროექტზე მომუშავე სტუდენტებს და პროექტის თემას. საპრეზანტაციო ნაშრომი უნდა მოიცავდეს მიზნისა და პრიორიტეტების განსაზღვრას, პრობლემის ანალიზს, პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზებს (იდეების გენერირებას), სტუდენტების მიერ განხორციელებული სამუშაოს აღწერას და შედეგებს, პროექტის თვითშეფასებას (რამდენად შეძლეს სტუდენტებმა დასახული მიზნის მიღწევა და რამდენად კმაყოფილები არიან საკუთარი და გუნდის მუშაობით).

პრეზენტაციის ჩატარების დრო არის რეგლამენტირებული. ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტის პრეზენტაციისათვის თითოეულ ჯგუფისთვის რეკომენდირებულია 15 წუთიანი რეგლამენტი.

პრეზენტაციაში წარმოდგენილი როგორც ტექსტური, ისე ვიზუალური მასალა უნდა იყოს მარტივი, რათა დამსწრე საზოგადოებამ შეძლოს და ერთდროულად მოისმინოს და გააანალიზოს პრეზენტატორების გამოსვლა და ამასთანავე, შეძლოს თვალსაჩინოების აღქმა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ პრეზენტატორებსა და აუდიტორიას შორის უნდა გაიმართოს დისკუსია, რომელსაც ხელმძღვანელობს ლექტორი. ამგვარი აქტივობა აუცილებლად უნდა აისახოს ლექტორის მეირ პროექტის საბოლოო შეფასებაში.

პრეზენტაციის შეფასება

პრეზენტაცია ფასდება შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. პრეზენტაციის შეფასება ხდება ლექტორის მიერ. შესაძლებელია პროექტის პრეზენტაცია შეფასდეს კომისიური წესით – ადმინისტრაციის წარმომადგენლის ან კოლეგა-ლექტორის თანამონაწილეობით. პრეზენტაციის თითოეულ კომპონენტს ენიჭება შესაბამისი ქულა. ფასდება: პრეზენტაციის შინაარსი, ტექნიკური მხარე, სტუდენტის პრეზენტაბელურობა, პრეზენტაციის კრეატიულობა, დისკუსიის უნარი. პროექტის პრეზენტაციისადმი უპასუხისმგებლო და ზერელე დამოკიდებულების შემთხვევაში (პრეზენტაციაზე მოუმზადებელი გამოცხადება) სტუდენტი მოიხსნება პრეზენტაციიდან. პრეზენტაცია აღდგენას არ ექვემდებარება.

პრეზენტაციის შეფასების ფორმა

N	პრეზენტატორის სახელი, გვარი	პრეზენტაციის შინაარსი 50%	პრეზენტაციის ტექნიკური მხარე (სლაიდები) 10%	სტუდენტის პრეზენტაბელურობა (მზაობა, მეტყველების კულტურა, აუდიტორიაზე ზემოქმედების უნარი, პრეზენტატორის გარეგნული მხარე) 20%	პრეზენტაციის კრეატიულობა 10%	დისკუსიის უნარი 10%	ქულათა (პროცენტების) ჯამი
1							
2							

შეფასების ნიმუშები

დახურული შეკითხვების მაგალითები

1. ადამიანის პოლიტიკურ უფლებებს არ მიეკუთვნება:
ა. სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლება
ბ. გაერთიანებებისა და კავშირების შექმნის უფლება
გ. საარჩევნო უფლება
დ. უდანაშაულობის პრეზუმფცია

2. საქართველოს კონსტიტუციაში ვკითხულობთ: „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი, ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.“ ადამიანის რომელ უფლებას ამყარებს კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი?
ა. სიცოცხლის უფლებას
ბ. ადამიანის ღირსებისა და პატივის ხელშეუხებლობის უფლებას
გ. თავისუფალი სასამართლოს უფლებას
დ. თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას

3. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან, რომელია მცდარი?
ა. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობა კანონის თანახმად უფასოა
ბ. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლების შექმნა ისჯება კანონით
გ. საქართველოს სახალხო დამცველის ფუნქციებში შედის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და რეაგირებისათვის შესაბამისი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდება

4. არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმისათვის დამახასიათებელია:
ა. ხელისუფლების ფორმირებაში ხალხის რეალური მონაწილეობა
ბ. მოქალაქეთა ფართო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების რეალური კონსტიტუციური გარანტიების არარსებობა
გ. პოლიტიკური პლურალიზმი და მოსახლეობის ფართო ფენების მოთხოვნების აღიარება
დ. ხელისუფლების გამჭვირვალობა

5. ხელისუფლების პოზიტიური ვალდებულება (status positivus) ეს არის:
ა. სახელმწიფოთა ვალდებულება შექმნან გარემო ადამიანის უფლებათა რეალიზებისათვის

ბ. სახელმწიფოთა ვალდებულება უზრუნველყოს მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა
გ. მოქალაქეთა ვალდებულება კანონმდებლობის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების შესახებ
დ. მოქალაქეთა ვალდებულება დაიცვას და პატივი სცეს თანამოქალაქეთა უფლებებს

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ხელისუფლების ნეგატიურ ვალდებულებას (status negativus) წარმოადგენს:
ა. შექმნას გარემო სოციალური თანასწორობისათვის
ბ. შექმნას გარემო ჯანდაცვის უფლების არადისკრიმინაციული და თანასწორ პირობებში რეალიზებისათვის
გ. შექმნას განათლების უფლების, არადისკრიმინაციული და თანასწორ პირობებში რეალიზების გარემო
დ. არ მოისმინოს სატელეფონო საუბრები

7. საქართველოს კანონმდებლობით რომელი ტიპის ინფორმაციის გასაიდუმლოებაა დაშვებული:
ა. ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშორების შესახებ, რომელიც ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას
ბ. საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას
გ. საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები
დ. არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია

8. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა მცდარი – საქართველოს კონსტიტუციით დაუშვებელია:
ა. საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა
ბ. მოქალაქეობის ჩამორთმევა
გ. მოქალაქის ქვეყნის ტერიტორიიდან გაძევება
დ. არცერთი არ არის მცდარი

9. ჩამოთვლილთაგან, რომელი არ გამოხატავს ადამიანის უფლებათა თვისებას?
ა. განუსხვისებლობა
ბ. საყოველთაობა
გ. უნივერსალურობა
დ. მოცულობითობა

10.იმისათვის, რომ ადამიანი ფლობდეს ადამიანის ბუნებით უფლებებს საკმარისი და აუცილებელი პირობაა მისი:

ა. ადამიანად დაბადება
ბ. ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობა
გ. ხელისუფლებისადმი ლოიალური განწყობილება
დ. არასამთავრობო ორგანიზაციის წევრობა

11. უდანაშაულობის პრეზუმფცია ნიშნავს:

ა. პირის უფლებას უდანაშაულოდ ითვლებოდეს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე
ბ. პირის უფლებას სხვისი ქონებითა და მისი შემოსავლით სარგებლობისა იმ პირობით, თუ ამ ქონებას არაფერი დააკლდება
გ. პირის უფლებას ისარგებლოს რეგულარული შემოსავლით, რომელსაც იძლევა კაპიტალი, ქონება ან მიწა
დ. პირის უფლებას უარი თქვას დამცველზე და თავი დაიცვას დამოუკიდებლად

12. ადამიანის რომელი უფლებაა აბსოლუტური?

ა. სიცოცხლის უფლება
ბ. თავისუფალი გადაადგილების უფლება
გ. სიტყვის თავისუფლება
დ. ღირსებისა და პატივის უფლება

13. სად მდებარეობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო?

ა თბილისში
ბ. ბათუმში
გ. გორში
დ. ქუთაისში

14. 1948 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიღებულ იქნა:

ა. ერთა ლიგის მიერ
ბ. ევროპის საბჭოს მიერ
გ. ტრანსატლანტიკური ალიანსის მიერ
დ. გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ

15. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის უფლება არ აქვთ:

ა. საქართველოს მოქალაქეებს
ბ. თავდაცვის ძალების შემადგენლობაში მყოფ პირებს
გ. დროებით ბინადრობის მქონე პირებს
დ. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს

16. ადამიანის უფლებები არის იმ ღირებულებების ორიენტირი, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის. ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს ეწოდება:

ა. პროგრესული
ბ. პირდაპირი
გ. ვერტიკალური
დ. ჰორიზონტალური

17.ინდივიდებს შორის ურთიერთობებს ეწოდება:

ა. ჰორიზონტალური
ბ. შვეული
გ. ვერტიკალური
დ. ირიბი

18.რომელი მსჯელობა შეესაბამება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას?

ა. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ნიშნავს საკუთარი აზრისა და შეხედულების გამოთქმის უფლებას
ბ. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში იგულისხმება საკუთარი აზრის საიდუმლოდ შენახვის უფლება
გ. სიტყვის თავისუფლება ყველაფრის თქმის უფლებას ნიშნავს
დ. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება აბსოლუტურად ყველა სახის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას გულისხმობს

19.საქართველოს კანონმდებლობით, როგორ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეობის არსი?

ა. პირის სამართლებრივი კავშირი სახელმწიფოსთან
ბ. საერთო ეთნიკური წარმომავლობის მქონე ინდივიდთა ერთობა
გ. პიროვნების კონფესიური მიკუთვნებულობა სახელმწიფო რელიგიასთან
დ. საზოგადოებისა და ინდივიდის ურთიერთთანამშრომლობა საერთო მიზნის მისაღწევად

20.საქართველოს ხელისუფლების რომელი ორგანო ახორციელებს მართლმსაჯულებას?

ა. სასამართლო
ბ. პარლამენტი
გ. სახალხო დამცველის აპარატი
დ. შინაგან საქმეთა სამინისტრო

დახურული შეკითხვების პასუხები

კითხვა N				
1	ა	ბ	გ	დ
2	ა	ბ	გ	დ
3	ა	ბ	გ	დ
4	ა	ბ	გ	დ
5	ა	ბ	გ	დ
6	ა	ბ	გ	დ
7	ა	ბ	გ	დ
8	ა	ბ	გ	დ
9	ა	ბ	გ	დ
10	ა	ბ	გ	დ
11	ა	ბ	გ	დ
12	ა	ბ	გ	დ
13	ა	ბ	გ	დ
14	ა	ბ	გ	დ
15	ა	ბ	გ	დ
16	ა	ბ	გ	დ
17	ა	ბ	გ	დ
18	ა	ბ	გ	დ
19	ა	ბ	გ	დ
20	ა	ბ	გ	დ

ჩასვით გამოტოვებული სიტყვა

1. მიუხედავად იმისა, რომ კერძო საკუთრების ფლობა მოქალაქის ერთ-ერთი ძირეული უფლებაა, მთელ რიგ შემთხვევებში სახელმწიფოს აქვს მისი ---------- უფლება. მაგალითად, თუ ეს საკუთრება მოქალაქემ დანაშაულებრივი გზით დააგროვა.
   ა) ინვესტირების
   ბ) რეგისტრაციის
   გ) კონფისკაციის
   დ) ლეგალიზების

2. დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეები ნებაყოფლობით ირჩევენ ხელისუფლებას და აღიარებენ მის ძალაუფლებას. ასეთი ხელისუფლება ---------- ითვლება, ის ხალხის ნებაზეა დამოკიდებული და ცდილობს, რომ არ დაკარგოს მხარდაჭერა და პასუხისმგებლობით მოეკიდოს საქმეს.
   ა) ლეგიტიმურად

ბ) თეოკრატიულად
გ) ავტორიტარულად
დ) რატიფიცირებულად

3. დემოკრატიული საზოგადოება ხშირად შედგება სხვადასხვა კულტურის, რასის, რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთაგან, რომელთაც ბევრ რამეზე მოსახლეობის უმრავლესობისაგან განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ. დემოკრატიული საზოგადოება მდიდარია თავისი მრავალფეროვნებით. თუ უმრავლესობა არღვევს ---------- უფლებებს და ძირს უთხრის მას, ის ამით ძირს უთხრის დემოკრატიასაც.
ა) პოლიციელის
ბ) ხელისუფლების
გ) უმცირესობის
დ) საშუალო ფენის

4. ბევრი დემოკრატიული ქვეყანა ირჩევს შეიმუშაოს უფლებების კანონპროექტი, რათა მოქალაქეები დაიცვას ძალის ---------- გამოყენებისგან. უფლებების კანონპროექტი უფლებებისა და თავისუფლებების ჩამონათვალია, რომელიც კონსტიტუციითაა გარანტირებული ქვეყნებში. როცა უფლებების კანონპროექტი ქვეყნის კონსტიტუციის ნაწილი ხდება, ---------- მათი აღსრულების საშუალება უჩნდებათ. უფლებების კანონპროექტი ზღუდავს მთავრობის ძალაუფლებას და შესაძლოა დააკისროს პასუხისმგებლობები კერძო პირებს ან ორგანიზაციებს.
ა) ადეკვატურად
ბ) კეთილად
გ) ბოროტად
დ) სათანადოდ

5. დემოკრატიაში არავინ დგას კანონზე მაღლა, მათ შორის არც მეფე და არც პრეზიდენტი. ამ ცნებას კანონის უზენაესობა ჰქვია. კანონის უზენაესობაში იგულისხმება ის, რომ ყველამ თანაბრად უნდა დაიცვას კანონი და თანაბრად აგოს პასუხი კანონის დარღვევაზე. დემოკრატიულ სისტემაში აუცილებელია კანონის თანასწორად, სამართლიანად და თანმიმდევრულად ინტერპრეტაცია. სწორედ ეს იგულისხმება კანონის _____ აღსრულებაში.
ა) რეგლამენტირებულ
ბ) სტრატეგიულ
გ) პოპულარულ
დ) ადეკვატურ

პასუხები

1	ა	ბ	**გ**	დ
2	**ა**	ბ	გ	დ
3	ა	ბ	**გ**	დ
4	ა	ბ	**გ**	დ
5	ა	ბ	გ	**დ**

ღია შეკითხვის მაგალითები

1. რას ნიშნავს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება და სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება? რატომ ეწოდა ეს სახელი? მოიყვანეთ მაგალითები.
2. როგორ არის მოწყობილი საქართველოში სასამართლო სისტემა და რას უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლო?
3. ადამიანის უფლებების ისტორია მჭიდროდ უკავშირდება კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ემპირიულ გამოცდილებას. ყოველ საუკუნეს საკუთარი წვლილი შეჰქონდა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ჩამონათვალში. გაიხსენეთ ისტორიულად ყველაზე უკეთ რომელ ეპოქაში გამოიკვეთა ადამიანის უფლებათა არსი?
4. ადამიანის უფლებათა სფეროში პირველი საყოველთაოდ აღიარებული დოკუმენტი 1948 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაა. გაიხსენეთ 1948 წლამდე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიღებული სხვა მნიშვნელოვანი შეთანხმებები.
5. გაიხსენეთ როდის წარმოიშვა ადამიანის უფლებების ქრონოლოგიური კლასიფიკაცია და რამდენ თაობად ყოფენ მათ?
6. თქვენი აზრით რატომ არ არის სიცოცხლის უფლება ადამიანის აბსოლუტური უფლება? მოიძიეთ შესაბამისი მასალა კონსტიტუციიდან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საერთაშორისო კონვენციებიდან და თქვენი მსჯელობა გაამყარეთ არგუმენტებით.
7. რატომ იკავებს თავს საერთაშორისო თანამეგობრობა ადამიანის სიცოცხლის უფლების აბსოლუტურ უფლებად გამოცხადებისაგან?
8. თუკი ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება, რატომ არ აქვს უფლება არჩევანი გააკეთოს სიცოცხლესა და სიკვდილს შორის? იმსჯელეთ ევთანაზიის მორალურ და ეთიკურ ასპექტებზე.
9. თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი სიტყვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოებისათვის? რატომ ეზღუდებათ ტოტალი-

ტარული რეჟიმების დროს ეს უფლება მოქალაქეებს? რა საფრთხეს ხედავს სიტყვის თავისუფლებაში ტოტალიტარული ხელისუფლება?

10. გამონაკლისის სახით ვის ეზღუდება შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის უფლება და რატომ? დაფიქრდით და იმსჯელეთ, რა ტიპის რისკებისაგენ იცავს საზოგადაობას ეს შეზღუდვა?
11. რას ნიშნავს „საქართველო არის სოციალური სახელმწიფო?“ იმსჯელეთ საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5. სოციალური სახელმწიფოს მიხედვით.
12. დაასახელეთ საერთაშორისო მნიშვნელობის პირველი დოკუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, სადაც ადამიანის უფლება განათლებაზე საყოველთაო უფლებადაა აღიარებული.
13. როგორ გესმით თანასწორობა და ტოლერანტობა კულტურულ მრვალფეროვნებათა კონტექსტში?
14. რატომ ეწოდებათ კოლექტიურ უფლებებს სოლიდარობის უფლებები?
15. თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის საკითხი სახელმწიფოსათვის? იმსჯელეთ საქართველოს მაგალითზე.
16. თქვენი აზრით, რა ღონისძიებები უნდა ტარდებოდეს სახელმწიფოში ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესის ხელშეწობისათვის?
17. როგორ არის მოწყობილი საქართველოს სასამართლო სისტემა?
18. რა კატეგორიის საქმეებს განიხალავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?
19. ვის არ აქვს უფლება გახდეს ნაფიცი მსაჯული? თქვენი აზრით, რატომ?
20. თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი დემოკრატიულ სახელმწიფოში სახალხო დამცველის ინსტიტუტის არსებობა?
21. თქვენი აზრით, რა ისტორიული მნიშვნელობის მატარებელია სტამბოლის კონვენცია?
22. როგორ ფიქრობთ, რამდენად ახალისებს მოძალადეს საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპები ქალის როლზე?
23. რას უწევს ზედამხედველობას ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო? რა შემთხვევაში და ვის შეუძლია მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს?

წერითი გამოკითხვის შეფასების კრიტერიუმები

2 – ქულა – პასუხი ვრცელი, დამაჯერებელი, სიღრმისეული, დასაბუთებული და თანმიმდევრულია; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს

პროგრამით გათვალისწინებულ მასალას; პასუხი მოიცავს საკითხების კომპლექსურ ანალიზს;

1.5 – ქულა – პასუხი ვრცელი, დამაჯერებელი და სიღრმისეულია; მსჯელობა მეტწილად დასაბუთებული და თანმიმდევრულია; პასუხი მოიცავს ორიგინალურ მოსაზრებებს და დასკვნებს; სრულად არის გამოყენებული პროგრამით გათვალისწინებული მასალა; პასუხი მეტწილად მოიცავს საკითხის კომპლექსურ ანალიზს.

1 – ქულა – პასუხი ზოგჯერ შემოიფარგლება მშრალი ფაქტების ზოგადი გადმოცემით; შეიცავს რამოდენიმე უზუსტობას, თუმცა უმნიშვნელოს; მსჯელობა მეტწილად დასაბუთებულია, თუმცა მისი თანმიმდევრულობა ზოგჯერ არის დარღვეული; პროგრამით გათვალისწინებული მასალა მეტწილად არის გამოყენებული; პასუხი ზოგჯერ მოიცავს საკითხის კომპლექსურ ანალიზს, ორიგინალურ მოსაზრებებს და დასკვნებს.

0.5 – ქულა – პასუხი მოკლე, ზოგადი და არადამაჯერებელია; პასუხში არის რამოდენიმე მნიშვნელოვანი უზუსტობა; მსჯელობა ზოგჯერ არ არის დასაბუთებული, მისი თანმიმდევრულობა ზოგჯერ დარღვეულია; პროგრამით გათვალსწინებული მასალა ნაწილობრივ არის გამოყენებული; პასუხი ზოგჯერ მოიცავს საკითხის კომპლექსურ ანალიზს, თუმცა მასში იშვიათად არის ორიგინალური მოსაზრებები და დასკვნები.

0 – ქულა – პასუხი არ არის ან პასუხი ძალზე მოკლე, ზოგადი და არადამაჯერებელია; პასუხში არის მნიშვნელოვანი უზუსტობები; მსჯელობა არ არის დასაბუთებული, ან არასაკმარისად დასაბუთებული; მსჯელობის თანმიმდევრულობა ხშირად დარღვეულია; პროგრამით გათვალსიწინებული მასალა არ არის გამოყენებული ან გამოყენებულია მისი უმნიშვნელო ნაწილი; პასუხი არ მოიცავს საკითხის კომპლექსურ ანალიზს; მასში არ არის მოცემული ორიგინალური მოსაზრებები და დასკვნები.

ქეისი

„ქეისი“ ესაა ამბავი, შემთხვევა, რომელიც თქვენგან განსჯას, გაანალიზებასა და შესწავლას მოითხოვს. თქვენ სასწავლო კურსის გავლის დროს აუდიტორიაში მიღებული გამოცდილების შედეგის დაფიქსირება მოგიწევთ. ქეისის ელემენტებია: რეალური ამბავი, ფაქტები და მონაცემები, ღია ტიპის შეკითხვები.

ქეისის განხილვისას უნდა გამოავლინოთ ამბის სიღრმისეული ცოდნა, ფაქტების სიზუსტის დაცვა, კითხვაზე სრული მრავალრაკურსიანი პასუხის გაცემა, არსებულ მოვლენასთან დაკავშირებით კითხვების გენერირება.

ღია ტიპის კითხვა-დავალებებში ერთი სწორი პასუხი არ არსებობს. სასწავლო პროცესში გამოვლენილი კრიტიკული აზროვნების უნარები ამ დავალების შესრულებას გაგიადვილებთ.

შეუსრულებელი დავალება შეფასდება: ტექსტის გააზრება, ამბის სიღრმისეული ცოდნა და ფაქტების სიზუსტის დაცვა – 1.5 ქულა; საკუთარი მოსაზრების დასაბუთება და კითხვაზე სრული მრავალრაკურსიანი პა-

სუხის გაცემა – 1.5 ქულა; შედარებითი ანალიზი – 3 ქულა. ამ ნაწილში ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა – 6 ქულა.

ნიმუში

„წარმოვიდგინოთ ძველი ჩინეთის ეპოქა – ქრისტეშობამდე 221 წელი. უკვე 200 წელიწადზე მეტია, ჩინელები ერთმანეთს ებრძვიან, რაც ქვეყანას ხლეჩს და ყველას გულისტკივილს, ტანჯვას აყენებს. ხელისუფლების სათავეში ექცევა იმპერატორი ცინ შიხუანგი, რომელიც ქვეყანას აერთიანებს. მისი მმართველობის წლებში (ძვ.წ. 259-210) ჩინეთი აღორძინდება: ვითარდება ვაჭრობა, მკვიდრდება საერთო ენა და აიგება ჩინეთის დიდი კედელი. როგორ შეძლო ერთმა კაცმა, ბოლო მოეღო საუკუნოვანი ომისათვის, გაეერთიანებინა და აეღორძინებინა ქვეყანა?! პასუხი ცინ შიხუანგის მმართველობის სტილში უნდა მოვიძიოთ. მან სრული წესრიგი დაამყარა იმის წყალობით, რომ ღალატში ეჭვმიტანილებს, განურჩევლად ყველას, სიკვდილით სჯიდა. მის სამხედრო კამპანიასა და თავდასხმებს ათასობით კაცის სიცოცხლე შეეწირა – ინტელექტუალები თუ სხვა ათასი ჯურის ხალხი ტანჯვასა და კატორღულ შრომაში ასრულებდნენ სიცოცხლეს. ცინ შიხუანგიმ მკაცრი ცენზურა დააწესა და ყველა წიგნი, რომლის დედაარსი ხელს უშლიდა დამკვიდრებული თვალსაზრისის გაბატონებას ცეცხლს მისცა, ურჩი სწავლულნი – ცოცხლად დაამარხვინა. იმპერატორი სამხედრო ძალას იშველიებდა მის მიერ გამოცემული კანონების ხორცშესასხმელად და ქვეყანაში სიკვდილით დასჯის ულმობელი წეს-ჩვეულების დასამკვიდრებლად.''

- როგორ ფიქრობთ, რა გრძნობებს აღძრავდა ხალხში მათი მესვეური?
- ღირსეულად ემსახურა თუ არა იმპერატორი ცინ შიხუანგი ჩინელ ხალხს? მან ხომ ბოლო მოუღო სამოქალაქო ომს და ქვეყანა განვითარების გზაზე დააყენა?
- იყო თუ არა აუცილებელი ამხელა მსხვერპლის გაღება და ღირდა თუ არა ამ ფასად წინსვლა უფრო განვითარებული საზოგადოების შესაქმნელად?
- ამართლებს თუ არა საბოლოო მიზანი იმ საშუალებებს, იმპერატორმა რომ გამოიყენა ჩინეთის გაერთიანებისა და აღორძინებისათვის?
- ქვეყნის წარმატების უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო თუ არა ცინ შიხუანგის მიერ გატარებული ღონისძიებები?

იმპერატორ ცინ შიხუანგის მმართველობა განიხილეთ ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის ფონზე:

“ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის უდავო ჭეშმარიტება, რომ ყველა ადამიანი დაბადებულია, როგორც თანასწორი არსება, რომ მათ ღვთის მიერ მინიჭებული აქვთ გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორიცაა: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ ლტოლვა;

რომ ამ უფლებათა განსამტკიცებლად იქმნებიან მთავრობები, რომლებიც თავიანთ კანონიერ ძალაუფლებას ღებულობენ მათივე თანხმობით, ვისაც ისინი განაგებენ;

რომ თუ მართვის რაიმე ფორმა ოდესმე ამ მიზნის შემლახავი გახდება, ხალხს უფლება ეძლევა შეცვალოს ან გააუქმოს იგი, და შექმნას ახალი ხელისუფლება, დააფუძნოს იგი ისეთ პრინციპებზე და ისეთი ძალაუფლებით აღჭურვოს, როგორიც, მისი აზრით, ყველაზე ხელსაყრელი იქნება მისი უსაფრთხოებისა და ბედნიერებისათვის.“ (*ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან; დემოკრატიის კლასიკური დოკუმენტები. 1994, გვ. 35*).

შეფასების კრიტერიუმი

1. მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)

არადამაკმაყოფილებელი 0-1	**დამაკმაყოფილებელი 2-4**	**კარგი 5-6**
საკითხი ან ტექსტი არაადეკვატურად არის გაგებული, მსჯელობა გაუგებარია	მსჯელობა ნაწილობრივ მკაფიოა, ნაწილობრივ არგუმენტირებულია. არ არის გამყარებული ტექსტური მასალით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა	მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია. არგუმენტები გამყარებულია ტექსტური/ ფაქტობრივი მასალით

2. ლექსიკა და სტილი

არადამაკმაყოფილებელი 0-1	**დამაკმაყოფილებელი 2-4**	**კარგი 5-6**
აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ სტილისტურად გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა	აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტური ხარვეზები	აზრი მკაფიოდ და ზუსტად არის გამოხატული, ნაწერი სტილისტურად გამართულია

3. ორთოგრაფია-მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია

არადამაკმაყოფილებელი 0-1	დამაკმაყოფილებელი 2-4	კარგი 5-6
ამ ტიპის შეცდომა ექვსზე მეტია	არ არის ამ ტიპის ექვსზე მეტი შეცდომა	არ არის ამ ტიპის სამზე მეტი შეცდომა

სტუდენტებს მიეცით დავალება ინდივიდუალურად დაწერონ ესე მათ მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.

თემა: „ჩემი პროექტი“

დაწერეთ მცირე ესე თქვენ მიერ განხორციელებული ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტის შესახებ, სადაც პასუხს გასცემთ შემდეგ შეკითხვებს:

- რა არის პროექტის თემა და რატომ აირჩიეთ ეს თემა?
- რაში მდგომარეობს პროექტის პრობლემის არსი?
- რა არის პროექტის მიზანი?
- როგორ მოიპოვეთ ინფორმაცია, რომელიც თემის დასამუშავებლად გამოიყენეთ?
- როგორ წარიმართა ჩვენი ჯგუფის მუშაობა, როგორ იყო დანაწილებული შრომა?
- რა გზებით შეიძლება პრობლემის გადაჭრა?
- რატომ ავირჩიეთ პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტული ვერსია?
- რისი გაკეთება შევძელით?
- რამდენად შევძელით დასახული მიზნის მიღწევა?
- რისი გაკეთება ვერ შევძელით? რამ შეგვიშალა ხელი?
- რა შევიტყვე აღნიშნული პრობლემის შესახებ პროექტის დასრულების შემდეგ?
- თვლით, რომ პროექტი წარმატებულია?
- რა მომცა ამ პროექტმა? (შევიძინე მეტი ცოდნა; ვისწავლე ვის უნდა მივმართო ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში დახმარებისათვის; უკეთ გავიცანი ჩემი მეგობრები; ვისწავლე გუნდური მუშაობა და ა.შ);
- თემის მაქსიმალური შეფასებაა 5 ქულა.

ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტების ნიმუშები

(ამონარიდები სამოქალაქო განათლების საუნივერსიტეტო კურსის „დემოკრატია და მოქალაქეობის“ ფარგლებში შესრულებული სტუდენტთა სამოქალაქო ჩართულობის პროექტების კრებულიდან)

გაიგე ფენინოკეტონურია, დაეხმარე ინტეგრაციაში!

პროექტის მიზანია მოსახლეობაში გაგვეზარდა ცნობიერება ფენინოკეტონურიის დაავადების შესახებ. დაავადება 10000-15000 ახალშობილში ერთს უვლინდება. ამ დაავადების შესახებ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროშიც მწირი ინფორმაცია ჰქონდათ. არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა ფენინოკეტონურიით დაავადებულ ბავშვებზე. ხშირად მედიკოსებსაც უჭირთ სწორი დიაგნოზის დასმა. ფენინოკეტონურია – ფენილალანინის ზედმეტი დოზაა ორგანიზმში. ფენილალანინი ცილების საშენი მასალაა. სახელმწიფო დაავადებულებს უფასოდ ურიგებს მედიკამენტს, რომელიც აუცილებელია მათი სიცოცხლისათვის.

ფენინოკეტონურიით დაავადებულ ბავშვებს სჭირდებათ განსაკუთრებული საკვები, რომელიც საქართველოში ძნელად მოიპოვება. ჩვენ მივმართეთ „გუდვილისა“ და „სმარტის“ დირექციას თხოვნით შემოეტანათ საქართველოში ფენინოკეტონურიით დაავადებული ბავშვებისათვის სპეციალური საკვები და არაკომერციულ ფასში გაეყიდათ. ორივე სუპერმარკეტის დირექცია დაგვპირდა, რომ იფიქრებდნენ ამ საკითხზე. ჩვენ კიდევ ვაპირებთ მათ შევახსენოთ ამ პრობლემის შესახებ.

პროექტის ფარგლებში დავუკავშირდით საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „ოჯახის ექიმის“ ავტორსა და წამყვანს ქალბატონ მარი მალაზონიას და ჩვენი პროექტის შესახებ ვესაუბრეთ. მოვაწყვეთ აქცია გაიგე ფენინოკეტონურია, დაეხმარე ინტეგრაციაში! ჩვენმა აქტიურობამ შედეგი გამოიღო. საზოგადოებრივ მაუწყებელზე ქალბატონმა მარიმ ერთი გადაცემა ფენინოკეტონურიის დაავადებას მიუძღვნა, სადაც ჩვენი აქციაც გაშუქდა.

გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ, იმედს ვიტოვებთ, სახელმწიფოც დაინტერესდება პრობლემით და წაახალისებს საქართველოში სპეციალური საკვების წარმოებას. ალბათ, გამოჩნდებიან კეთილი ადამიანები, ვინც საქართველოში ფენინოკეტონურიით დაავადებულთათვის საკვების შემოტანას უზრუნველყოფენ.

სამოქალაქო ჩართულობის პროექტის ჯგუფი: მიქაბერიძე თეკლა, გელაძე დავითი, მხეიძე გიორგი, ქავთარაძე ნატო.

გაიღე სისხლი უანგაროდ, გადაარჩინე სიცოცხლე!

პროექტის მიზანია უანგარო დონაციის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში. ყოველდღე გვესმის მოწოდება სისხლის საჭიროებაზე. კვლევების თანახმად, მოსახლეობის 80 პროცენტს არასდროს ჩაუბარებია სის-

ხლი. დონორთა 95 პროცენტი კი დონაციაში ჰონორარს იღებს. პროექტის ფარგლებში შევეცადეთ აგვემაღლებინა ცნობიერება, რომ უანგარო დონორი სიცოცხლის გადამრჩენელია და, ამასთან, სასარგებლოა დონორის ჯანმრთელობისათვისაც.

პროექტის ფარგლებში ვითანამშრომლეთ ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკთან. მოვაწყვეთ აქცია უნივერსიტეტში, დავარიგეთ საინფორმაციო ბუკლეტები. სოციალური ქსელის მეშვეობით მოვუწოდეთ ჩვენს თანატოლებს მონაწილეობა მიეღოთ სისხლის უანგაროდ დონაციაში. კავკასიის უნივერსიტეტს ეწვია ექიმთა ბრიგადა ნატალია კვანტალიანის სისხლის ბანკიდან. ერთი დღის განმავლობაში უანგაროდ 50-მა სტუდენტმა გაიღო სისხლი.

უანგარო დონორებს სისხლის ბანკმა სპეციალური სერტიფიკატები და ერთწლიანი დაზღვევა გადასცა. ამაყები ვართ, რადგან როგორც ქალბატონმა ნატალია კვანტალიანმა გვითხრა, ერთი დონორი საშუალოდ სამი ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენს. ექვსი თვის შემდეგ ჩვენ კვლავ ვაპირებთ უნივერსიტეტში უანგარო დონაციის დღის მოწყობას.

სამოქალაქო ჩართულობის პროექტის ჯგუფი: ხელაძე თეონა, მალანია ხატია, მამუკაშვილი ელზა, აფციაური სალომე.

დედისთვის დახატული გულები

პროექტის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი ოჯახის დახმარება, სადაც შვიდი ობოლი ბავშვი იზრდება. ინტერნეტში შემთხვევით წავიკითხეთ წერილი „შვიდშვილიანი ოჯახი და დედისთვის დახატული გულები“. სტატიიდან შევიტყვეთ, რომ აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდა კაცს ორი წლის წინ მეუღლე გარდაეცვალა და 7 ობლადდარჩენილ ბავშვს მარტო ზრდიდა შიო მღვიმის გზაზე მიტოვებულ აგარაკზე, სადაც მძიმე პირობებია მცირეწლოვანი ბავშვებისათვის. პროექტის ფარგლებში ვესტუმრეთ ოჯახს, ვესაუბრეთ ბავშვებს, გავეცანით მათ პრობლემებს და გადავწყვიტეთ დავხმარებოდით ამ ოჯახს.

ბავშვები თავიდან უნდობლად გვიყურებდნენ, შემდეგ ნელ-ნელა დაგვიმეგობრდნენ. ყველაზე უფროსი 14 წლისაა, სულ უმცროსი კი მხოლოდ ორის. ჩვენი მეგობრების დახმარებით ბავშვებს სათამაშოები და ტანსაცმელი შევუგროვეთ, ოჯახს კი აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთები შევუძინეთ. მაღაზიათა ქსელმა „სუპერმა“, რომ შეიტყო ჩვენი პროექტის შესახებ, საყოფაცხოვრებო ნივთები მნიშვნელოვანი ფასდაკლებით მოგვყიდა. პროექტის ფარგლებში დახმარებისათვის მივმართეთ პარფიუმერიათა ქსელს „ვულე ვუ“-ს, რომელმაც ბავშვებისათვის საბავშვო პირადი მოხმარების ნივთებით სავსე სასაჩუქრე ჩანთები გადმოგვცა.

ბავშვებს ვთხოვეთ საახალწლო სურვილები დაეწერათ „თოვლის ბაბუასთვის“. გადავწყვიტეთ ბავშვების სურვილები ჩვენ აგვესრულებინა. აღმოჩნდა, რომ ბავშვებს არასდროს ენახათ „მაკდონალდსი“ და დიდი სურვილი ჰქონდათ ერთი დღე „მაკდონალდსში“ გაეტარებინათ. ჩვენ დიღმის „მაკდონალდს“ მივაკითხეთ, გვსურდა მოვლაპარაკებოდით ბა-

ვშვების სტუმრობაზე. „მაკდონალდსის“ დირექციამ რომ გაიგო ჩვენი საქველმოქმედო აქციის შესახებ, საკუთარი ტრანსპორტით სრულიად უსასყიდლოდ ჩამოიყვანა ბავშვები „მაკდონალდსში“ და ანიმატორებთან ერთად საუცხოო საახალწლო დღესასაწაული მოუწყო.

ვფიქრობთ, შევძელით დასახული მიზნის განხორციელება. ჩვენ ამ ბავშვებთან მეგობრობას მომავალშიც გავაგრძელებთ და შეძლებისდაგვარად, გვერდში დავუდგებით ამ ოჯახს.

სამოქალაქო ჩართულობის პროექტის ჯგუფი: შანიძე ანი, შეყლაშვილი ანა, კეკელიძე თამარი.

მე ვირჩევ პროფესიას

პროექტის მიზანი – მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვები სკოლის დამთავრების შემდეგ ხშირად უპროფესიოდ და სრულიად უსახსროდ რჩებიან. ჩვენ გადავწყვიტეთ დავხმარებოდით ასეთ ბავშვებს მომავალი პროფესიის არჩევაში. პროექტის ფარგლებში ვესტუმრეთ SOS-Kinderdorf, სადაც უფროსკლასელებს ვესაუბრეთ მათ მომავალ პროფესიაზე. გაირკვა, რომ ბავშვებს ინფორმაციის არქონის გამო უჭირდათ მომავალი პროფეისიის არჩევა.

მოთხოვნადი პროფესიებისა და პროფესიული სწავლების შესახებ ინფორმაცია განათლების სამინისტროს პროფესიული სწავლების ცენტრში მოვიპოვეთ. ყურადღება პროფესიულ კოლეჯ „მერმისზე“ შევაჩერეთ. პროექტის ფარგლებში SOS-Kinderdorf-ის ბავშვებთან ერთად ვესტუმრეთ „მერმისს“, სადაც კოლეჯის დირექციამ და პედაგოგებმა ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს ბავშვებს მომავალი პროფესიების შესახებ. ვფიქრობთ, ჩვენი პროექტი მნიშვნელოვნად დაეხმარა ბავშვებს მომავალი პროფესიის არჩევაში.

უფროსკლასელებმა გამოთქვეს სურვილი უკეთ დაუფლებოდნენ ინგლისურ ენას. ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდით კვირაში ორჯერ ვესტუმროთ SOS-Kinderdorf-ს და ბავშვებს უფასოდ ჩავუტაროთ ინგლისური ენის გაკვეთილები. უფროსკლასელებთან საუბრისას გაირკვა, რომ ერთ-ერთ გოგონას ძალიან უნდა ჟურნალისტობა. ის სკოლაშიც კარგად სწავლობს. SOS-Kinderdorf-ის დირექციას აქვს საშუალება გოგონას დაუფინანსოს უმაღლესი განათლება სახელმწიფო გრანტის ფარგლებში. კავკასიის უნივერსიტეტში სწავლა გაცილებით ძვირი ღირს. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დავითანხმეთ, რომ იმ შემთხვევაში თუკი გოგონა კავკასიის უნივერსიტეტში ჩაირიცხებოდა, მისი სწავლის საფასური სახელმწიფო გრანტის ოდენობას არ აღემატებოდა.

სამოქალაქო ჩართულობის პროექტის ჯგუფი: გოგნიაშვილი ირინა, ქათამაძე იმა, კაკაბაძე მარიამი.

მე ვხედავ თითებით

პროექტის მიზანი – სუსტი მხედველობისა და უსინათლოთა ინტეგრაცია საზოგადოებაში. პროექტის ფარგლებში შევისწავლეთ უსინათლოთა პრობლემები. ვესტუმრეთ 202 საჯარო სკოლას, სადაც სუსტი მხედველობისა და უსინათლო ბავშვები სწავლობენ და ფონიჭალის უსინათლოთა დასახლებას. სახელმწიფო მათ პენსიას უხდის, უსინათლო ბავშვებისათვის ბრაილის შრიფტით იბეჭდება სახელმძღვანელოები, მაგრამ რადგან ბრაილის შრიფტით ბეჭდვა ძალიან ძვირი ჯდება, ბავშვებს სახელმძღვანელოების გარდა სხვა წიგნები არ აქვთ. სამოქალქო სექტორიც აქტიურადაა ჩართული უსინათლოთა პრობლემის მოგვარებაში, მაგრამ მათ მაინც ძალიან ბევრი პრობლემა აქვთ. როგორც აღმოჩნდა, ხშირ შემთხვევაში უსინათლო ბავშვების ინტეგრაციას ხელს თვით მათი მშობლები უშლიან. მათ რცხვენიათ საკუთრ შვილებს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები რომ აქვთ და საზოგადოებაში მათ გამოჩენას ერიდებიან.

პროექტის ფარგლებში ფონიჭალის უსინათლოთა დასახლებაში მცხოვრები ბავშვები საახალწლოდ საჩუქრებით გავახარეთ. ჩავწერეთ ინტერვიუები უსინათლო პოეტთან, მწერალთან, მომღერალთან. გადავიღეთ სოციალური კლიპი. საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემამ „რეალური სივრცე“ ჩვენს პროექტს სიუჟეტი მიუძღვნა და ჩვენ მიერ გადაღებული კადრებით ძალიან ემოციური ვიდეორგოლი ააწყო, რაც ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ მიაპყრობს საზოგადოების ყურადღებას უსინათლოთა საჭიროებებზე.

პროექტის მთავარ წარმატებად მიგვაჩნია, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „STEP“-ის დახმარებით, ჩვენი შეთავაზებითა და ძალისხმევით 10 უსინათლო ახალგაზრდა ზაფხულში მონაწილეობას მიიღებს „გაეროს ახალგაზრდული ასამბლეას სამიტში.“

სამოქალაქო ჩართულობის პროექტის ჯგუფი: კანთელაძე ქეთი, შემოზაშვილი შორენა, ბალარჯიშვილი დიანა, გურგენიძე ირინა.

ჩემი ქალაქი – რამდენი რამ გტკივა თბილისო

მიზანი – გაგვერკვია ყველაზე მეტად რა პრობლემები აწუხებს ჩვენი დედაქალაქის მოსახლეობას და შეძლებისდაგვარად, დავხმარებოდით ამ პრობლემის გადაწყვეტააში. პროექტის ფარგლებში ჩავატარეთ გამოკითხვა. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ტრანსპორტში. თბილისელებს მივმართავდით ერთი კითხვით, როგორც თბილისელებს, ყველაზე მატად რა პრობლემა აწუხებდათ. აღმოჩნდა, რომ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად თბილისელების ტკივილი დაბინძურებული გარემო, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობაა.

პროეტის ფარგლებში აღმოვაჩინეთ, რომ ქალაქის დაბინძურებას გაუმართავ ტრანსპორტთან ერთად მშენებლობის დროს გარემოს უსაფრთხოების ზომების უგულვებელყოფაა. ვესტუმრეთ თბილისის საკრებუ-

ლოს, სადაც ერთ-ერთმა დეპუტატმა აღვითქვა დახმარება მშენებლობის დროს გარემოს დაბინძურების საკითხის მოგვარებაში. პროექტის ფარგლებში შევხვდით არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებსაც. ჩვენი აზრი გავუზიარეთ „საქართველოს ახალგაზრდა მწვანეების“ წარმომადგენლებს, მათ მომავალში ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. შევისწავლეთ ნორიოს ნაგავსაყრელის მდგომარეობა, რომლის მშენებლობაც სახელმწიფოს რამდენიმე მილიონი დაუჯდა და სტანდარტების დარღვევითაა აგებული. გაუმართავი ნაგავსაყრელი აბინძურებს მდინარეებს და გარემოს.

ვფიქრობთ, ერთ-ერთი პრობლემა მოსახლეობის დაბალი თვითშეგნებაა. კითხვა დავუსვით საკუთარ თავსაც, რას ვაკეთებ მე ჩემი ქალაქისათვის? ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ ერთ დღეს, დილით 5 საათზე, სანამ ქალაქი გაიღვიძებდა, მოგვერგო სპეც. ფორმები და მერიის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად დაგვესუფთავებინა ქალაქი. იმ დღეს ძალიან ციოდა, მაგრამ ჩვენ გვათბობდა სიამაყის გრძნობა. ჩვენ ჩვენ ქალაქს ვასუფთავებდით, ვეფერებოდით. ასევე, მახათას მთაზე დავრგეთ ნერგები, რომელთაც ხშირად მივაკითხავთ და მოვუვლით.

სამოქალაქო ჩართულობის პროექტის ჯგუფი: ბუიშვილი ირაკლი, ბობოხიძე თორნიკე, რამიშვილი ირაკლი, ბაციკაძე ალექსანდრე.

დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სამოქალაქო განათლების კურსის მასწავლებლის გზამკვლევი მოიცავს შემდეგ საკვანძო საკითხებს: დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური აქტორების როლი და მოქალაქის ურთიერთმიმართების საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები. აღნიშნული საკითხები კი თემატურად მოიცავენ: ხელისუფლების დანაწილების პრინციპს; ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციებსა და მასში მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობებს; დემოკრატიული და არადემოკრატიული რეჟიმების ძირითად მახასიათებლებს; სამოქალაქო საზოგადოებასა და მის მახასიათებლებს; არჩევნებს და საარჩევნო სისტემებს საქართველოში; მედიის როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში; ტრადიციული და ახალი ფორმის მედიის ხელმისაწვდომობასა და მათთან ინტერაქციის შესაძლებლობებს; პოლიტიკურ პარტიებსა და პარტიულ სისტემებს საქართველოში; ადამიანის უფლებებს, მის არსსა და კლასიფიკაციას; ადამიანის უფლებათა დაყოფას თაობებად; ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არსებულ მექანიზმებს. ამ თემების ღრმა ცოდნა დაეხმარება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სამოქალაქო განათლების კურსის სტუდენტებს აქტიურად ჩაერთონ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ჩამოუყალიბდეთ დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული აქტიური მოქალაქის უნარები.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის განკუთვნილი სამოქალაქო განათლების მოდული აგებულია თეორიული და პრაქტიკული სწავლების სინთეზზე. თეორიულ ცოდნასთან ერთად სტუდენტები განახორციელებენ ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტებს და გადაჭრიან თემში არსებულ პრობლემებს. მოდულის ასეთი სახით წარმოდგენა ცოდნასთან ერთად სტუდენტებს უვითარებთ დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქის უნარებს.

წარმოდგენილი მასწავლებლის გზამკვლევის მიზანია დაეხმაროს სამოქალაქო განათლების პედაგოგებს სასწავლო პროცესის საინტერესოდ და წარმატებით წარმართვაში. გზამკვლევში მოდულის შესაბამისად სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით შემოთავაზებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდები: დისკუსიები, დებატები, შემთხვევის (ქეისის) ანალიზი და განხილვა, დამატებითი სასწავლო ლიტერატურა და სხვა. აღნიშნული მეთოდოლოგიური სავარჯიშოები და სასწავლო რესურსი დაეხმარება როგორც პედაგოგებს, ასევე სტუდენტებს საკითხის უკეთესად გააზრებაში. მოდულის სწავლების დასკვნითი ნაწილი პრაქტიკულია და ეფუძნება პროექტულ სწავლებას, რაც ხელს უწყობს ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ დაუფლებას. სწავლების დასკვნით ეტაპზე სტუდენტები ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტის საშუალებით მიიღებენ ახალ და საინტერესო ინფორმაციას, ისწავლიან საზოგადოებაში არსებული პრობლემის აღმოჩენას და მისი გადაჭრის გზების ძიებაში

სწორი არჩევანის გაკეთებას, თანატოლების დაინტერესებას და მობილიზებას საზოგადობისთვის მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაჭრელად. პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებისათვის ოპტიმალური გზების ძიების პროცესში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სამოქალაქო განათლების კურსის სტუდენტები კრიტიკულად შეაფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს, შეიძენენ ადგილობრივ თვითთმართველობასთან თუ ცენტრალურ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის უნარებს, ისწავლიან როგორც საკუთარი ინტერესების (თვითადვოკატირება), ასევე, სხვათა ინტერესების (ადვოკატირება) დაცვას.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სამოქალაქო განათლების კურსის მასწავლებლის გზამკვლევში დეტალურად არის წარმოდგენილი პროექტის განხორციელების ეტაპები, რაც პედაგოგებს დაეხმარება პროექტული სწავლების წარმატებით განხორციელებაში. გზამკვლევში ასევე წარმოდგენილია: პროექტის პრეზენტაციის მომზადების წესები და შესაძლებლობები, შეფასების რუბრიკები, ღია და დახურული კითხვების ნიმუშები, შუალედური და საბოლოო შეფასების კრიტერიუმები.

მასწავლებლის გზამკვლევის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სამოქალაქო განათლების მოდულის ხარისხიანი სწავლების ხელშეწყობა. გზამკვლევში წარმოდგენილი ინფორმაცია და სასწავლო რესურსი დაეხმარება პედაგოგებს სამოქალაქო განათლების მოდულის სწავლების პროცესის ეფექტიან წარმართვაში.

ბიბლიოგრაფია

1. აბაშიძე ზ. მუხიგული ქ. დუნდუა ს. ქარაია თ. ბოროუსი გ. (2017). *დემოკრატია და მოქალაქეობა.* მასწავლებლის წიგნი. IFES. თბილისი.
2. აბაშიძე ზ. მუხიგული ქ. დუნდუა ს. ქარაია თ. ბოროუსი გ. (2020). *დემოკრატია და მოქალაქეობა.* სტუდენტის სახელმძღვანელო. IFES. თბილისი.
3. გვაძაბია მ. (07.01.2021). *კონგრესმა საბოლოოდ დაადასტურა ბაიდენის გამარჯვება. ნეტგაზეთი.* https://netgazeti.ge/news/510965/ (მოძიებულია: 02.01.2021).
4. გულიაშვილი მ. (2015). *ავჭალის აუდიტორია.* CIVICUS N1. თბილისი.
5. დოჩანაშვილი გ. (2018). *სამოსელი პირველი.* მერიდიანი. თბილისი.
6. *ედვარდ სნოუდენი: ჩემი მისია შესრულებულია* (24.12.2013). https://tabula.ge/ge/news/559283-edvard-snoudeni-chemi-misia-shesrulebulia (მოძიებულია: 12.12.2020).
7. ელბაქიძე ე. (2017). *არაერთგზის შეცვლილი კონსტიტუცია – მთავარი კანონის დახვეწა თუ ძალაუფლების გამყარების სურვილი?* https://factcheck.ge/ka/story/31496-1995-tslidan-dghemde-araerthgzis-shetsvlili-konstitutsia-mthavari-kanonis-dakhvetsa-thu-dzalauphlebis-gamqharebis-survili (მოძიებულია: 12.12.2020).
8. *ერაყის ციხიდან საქართველოს მოქალაქის 3 შვილი თბილისში ჩამოიყვანეს* (13.10.2018) https://reginfo.ge/people/item/10040-eraybis-zixidan-saqartvelos-moqalaqis-3-shvili-tbilisshi-chamoiybvanes (მოძიებულია: 12.12.2020).
9. *ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კეთილმოწყობისა და მცირე სკვერის გაკეთების შესახებ.* http://petition.lsg.ge/keda/petitions/view/3 (მოძიებულია: 02.10.2020).
10. ზურაბიშვილი თ. (2016). *მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში.* საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS) https://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/07/GRASS-ganathlebis-uphleba-galis-raionshi1.pdf (მოძიებულია: 11.11.2020).
11. თეთვაძე ლ. (რეჟ.) *როგორ ინგრევა კედელი.* https://www.youtube.com/watch?v=9rWl94gDC2k
12. *თსუ-ის ბიბლიოთეკაში შშმ სტუდენტებისთვის სამკითხველო კუთხე გაიხსნა* (04.12.2015). http://cela.ge/ge/news/55-tsu-s-bibliotekashi-shshm-studentebistvis-samkitxvelo-kutxe-gaixsna (მოძიებულია: 22.10.2020).
13. კინწურაშვილი თ. ხორბალაძე თ. გელავა ს. რაფავა ნ. პეტრიაშვილი მ. ქურდაძე დ. (2019). *მედია და ინფორმაციული წიგნიერების სწავლება* http://mdfgeorgia.ge/uploads/library/105/file/media_da_informaciuli_wignierebis_swavleba.pdf

14. მაღედანი თ. (2016). *გრძელი რიგი თავისუფლებამდე.* CIVICUS N5. თბილისი.
15. მაცაბერიძე მ. (2020). *სალექციო კურსი: პოლიტიკური მეცნიერება – სკოლები და კონცეფციები (ხელნაწერის უფლებით).* თბილისი.
16. მელაშვილი თ. (2013). *კატო მიქელაძე. ფემინიზმის უცნობი ისტორიები.* Heinrich Boll Stiftung.
17. მენაბდე ვ. (2014). *დამფუძნებელი მამების დილემა. ლიბერალი.* http://liberali.ge/blogs/view/5871/damfudznebeli-mamebis-dilema (მოძიებულია: 22.10.2020).
18. *მთავრობის 2 წლის და გუბერნატორის 1 წლის მუშაობის ანგარიშების პრეზენტაცია სამეგრელო-ზემო სვანეთში* (24.12.2014). http://gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=288&info_id=46289 (მოძიებულია: 14.10.2020).
19. *მოქალაქე.* http://resources.ctf.org.ge/5%20Local%20Tvitmmartveloba %20reading.pdf (მოძიებულია: 14.10.2020).
20. პოლიტიკა (2007) *ცნობილი გამონათქვამები დემოკრატიის შესახებ.* N2. თბილისი.
21. *რა არის ყალბი ახალი ამბავი* (Fake News) https://factcheck.ge/ka/story/28452-ra-aris-qhalbi-akhali-ambavi-fake-news (მოძიებულია: 14.10.2020).
22. *სამოქალაქო განათლება ყველასთვის* (2019). https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-18 (მოძიებულია: 19.01.2021).
23. სარედაქციო წერილი (12.05.2016) *ბრაზილიის პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით გადააყენეს.* https://www.allnews.ge/მსოფლიო/147206-ბრაზილიის-პრეზიდენტი-იმპიჩმენტის-წესით-გადააყენეს.HTML (მოძიებულია: 19.12.2020).
24. სარედაქციო წერილი (03.05.2017*) ვადამდელი არჩევნების გამო დიდი ბრიტანეთის პარლამენტი დაითხოვეს.* https://imedinews.ge/ge/msoflio/11696/vadamdeli-archevnebis-gamo-didi-britanetis-parlamenti-daitkhoves (მოძიებულია: 19.12.2020).
25. საქართველოს პარლამენტი (15.07.2015). *საინფორმაციო ფურცელი კანონპროექტისთვის „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-2/354).*
26. საქართველოს პარლამენტი (1995). *საქართველოს კონსტიტუცია.* საქართველოს *საკანონმდებლო მაცნე.* https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 (მოძიებულია: 19.10.2020).
27. საქართველოს პარლამენტი (2009*). საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=41 (მოძიებულია: 22.12.2020).
28. საქართველოს პარლამენტის ქალთა საინფორმაციო ცენტრი (N/A). http://www.parliament.ge/uploads/other/75/75724.pdf (მოძიებულია: 04.11.2020).

29. *სახალხო დამცველის ანგარიში თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ* (04.03.2021). https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-angarishi-tbilisis-fsikikuri-janmrtelobis-tsentrshi-gankhortsielebuli-monitoringis-shesakheb (მოძიებულია: 22.10.2020).
30. ქევანიშვილი ე. (2017). *მეშახტის ცოლის სიმღერა.* https://reginfo.ge/reginfo/item/367-meshaxtis-zolis-simgera (მოძიებულია: 14.10.2020).
31. ქეშელაშვილი ა. (3.04.2018). *7 ცნობილი ჟურნალისტური გამოძიება.* https://www.mediachecker.ge/ka/wiki/resursebi/article/50251-7-cnobili-zhurnalisturi-gamodzieba (მოძიებულია: 14.10.2020).
32. *ჩვენს ბავშვებს უცხო ქვეყნის ციხეში ვერ მივატოვებთ–თეა წულუკიანი* (13.10.2018). https://reginfo.ge/people/item/10043-chvens-bavshvebs-uzxo-qveybnis-zixeshi-ver-mivatovebt-tea-xulukiani (მოძიებულია: 12.12.2020).
33. ჰეივუდი ე. (2015). *პოლიტიკური თეორია.* (თარგმანი სალექციო კურსისთვის პოლიტიკური თეორია). თბილისი.
34. ჰენრიკ კაიტ ჰანსენი (2008). *სამართლიანი და დაბალანსებული არჩევნების ანგარიში.* დაიბეჭდა ევროპის საბჭოს მიერ. თბილისი.
35. Abdurashid Solijonov. *Voter Turnout Trends around the World* https://www.idea.int/sites/default/files/publications/voter-turnout-trends-around-the-world.pdf (მოძიებულია: 12.12.2020).
36. IDFI. (27.12.2017) *საქართველოში პეტიციების ელექტრონული პორტალი ამოქმედდა.* https://idfi.ge/ge/electronic_portal_of_petitions_was_launched (მოძიებულია: 05.01.2021).
37. MILLAB. *ყალბი ინფორმაცია.* http://millab.ge/ka/mil-resources/any/15/any/ (მოძიებულია: 22.01.2020).
38. *Murals and street arts.* https://www.pinterest.com/pin/162481499036777923/ (მოძიებულია: 12.12.2020).
39. Stickney (2009). *Warm Up Activity-10 minutes What does it take to create a new country?* https://slideplayer.com/slide/9101883/ (მოძიებულია: 23.11.2020).
40. Welsh Huggins A. (27.05.2019). *Exhibit highlights cartoonists' focus on First Amendment.* https://abcnews.go.com/Lifestyle/wireStory/exhibit-highlights-cartoonists-focus-amendment-63304611 (მოძიებულია: 22.12.2020).